საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაციტრა მედია

ლაღი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ივნისი **სამშაბათი** 2011
№ 137 (13434) ფასი 80 თეთრი

ლევან ყენწიშს აგვისტო უთხრეს

3

40 მილიონი შვაინშტაიგერისთვის?

8

ქართული ევროპათეული

მოკრივეთა ნაკრები თურქეთისკენ

11

ბასილი ბასილი

ბერძენი ბერძენი

15

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

ონიანის მეორე პირად-გუნდური ჩიჩული

2

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

საუკეთესო მცველი: გიორგი ონიანი (ზესტაფონი)

"ზესტაფონის" ჩემპიონობა სოლიდური შემტევი პოტენციალის გარდა მტკიცე დაცვამაც განაპირობა. ჩემპიონებმა, იმის გარდა, რომ ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს, ყველაზე ცოტაც გაუშვეს, რაშიც ლომის წილი "ლელოს" მიერ სეზონის საუკეთესო მცველად დასახელებული გიორგი ონიანისაა.
გამოცდილმა უკანახაზელმა სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა, ისიც დისკვალიფიკაციის გამო. ამას გარდა, 3 გოლიც გაიტანა, რაც მისი ამპლუის ფეხბურთელისთვის არცთუ ურიგო შედეგია.
ონიანს კარიერაში არაერთი წარმატებული სეზონი ჩაუტარებია, "ზესტაფონთან" ერთად კი მეორედ გაჩემპიონდა. "ლელოს" აღიარებამ ძალიან გაახარა.

დოსიე

დაიბადა: 23 ნოემბერი, 1983
სიმაღლე 184 სმ, წონა 81 კგ

კარიერა:

2002-05 - ლოკომოტივი (თბილისი)
2006 - დინამო (ბათუმი)
2006-07 - ოლიმპი (რუსთავი)
2007-08 - ერლ ცაისი (გერმანია)
2008-09 - ოლიმპი (რუსთავი)
2009 წლიდან ზესტაფონი
გასულ ჩემპიონატში - 35 მატჩი, 3 გოლი
ეროვნულ ნაკრებში - 2 მატჩი

ტიტულები:

საქართველოს 2-გზის ჩემპიონი (2007 - ოლიმპი, 2011 - ზესტაფონი)
საქართველოს თასის მფლობელი (2005 — ლოკომოტივი)

გიორგი ონიანის მეორე პირად-გუნდური ჯიჯული

- ჩემთვის ნებისმიერი აღიარება დიდი პატივია, პრესის შეფასებას კი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ბედნიერი ვარ, რომ შრომა ასე დამიფასდა და ჩემპიონობასთან ერთად ინდივიდუალური წოდებაც დავიმსახურე.

- ალბათ, გასული სეზონი შენს კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგაჩნია.

- რა თქმა უნდა. საქართველოს ჩემპიონატი სულაც არ არის იოლად მოსაგები ტურნირი, იგი ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. საბედნიეროდ, მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ყველა გამოცდა წარმატებით ჩავაბარეთ და ტიტული აბსოლუტურად დამსახურებულად მოვიპოვეთ. საკუთარ თამაშსაც დადებითად შევაფასებდი, ღვთის მადლით, სეზონი უტრავმოდ ჩავამთავრე და საკუთარი პოტენციალის გამოვლენა შევძელი. დაგეთანხმებით, ეს სეზონი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ჩემს კარიერაში. ასევე სასიამოვნოდ მახსენდება 2007 წელი, როცა ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპთან" ერთად გავხდი და მაშინაც საუკეთესო მცველად დამასახელეს.

- შენ გარდა, კიდევ რომელმა მცველებმა ჩაატარეს სეზონი მაღალ დონეზე?

- თავს მხოლოდ ცენტრალური მცველების შეფასების უფლებას მივცემ. უპირველესად, ჩემს პარტნიორებს, გიორგი ხიდეშელსა და მამუკა კობახიძეს გამოვარჩევ, მათ გარდა, მაღალი დონის ცენტრალური მცველები არიან რეხვიაშვილი, კაკუბავა, თომაშვილი... საქართველოს ჩემპიონატში კვალიფიციური მცველების დეფიციტი ნამდვილად არ გვაქვს.

- გასულ სეზონში დაცვის ცენტრში ხან ხიდეშელთან ერთად თამაშობდი, ხანაც - კობახიძესთან...

- ორივე საიმედო მეწყვილეა. ხიდეშელს გულშემატკივრები კარგად იცნობენ და ბევრი დახასიათება არ სჭირდება. მიხარია, რომ სწრაფად პროგრესირებს. კობახიძე კი ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ბიჭია, მშრომელიცაა და დარმუნებული ვარ, ბევრს მიაღწევს.

- ყველაზე მეტად რომელმა მატჩებმა განაპირობა "ზესტაფონის" ჩემპიონობა?

- რომ არა სტაბილურად ჩატარებული ჩემპიონატი, ჩემპიონობას მხოლოდ უშუალო კონკურენტების დამარცხების ხარჯზე ვერ მივაღწევდით, თუმცა მდევრებთან გამარჯვებას მაინც სულ სხვა ფასი ჰქონდა. განსაკუთრებით ფასეული იყო მეოთხე წრეში "დინამოსთან" და "ოლიმპთან" მოგება. შეიძლება, ოქროს მედლები ამის გარეშეც მოგვეპოვებინა, მაგრამ როცა უშუალო კონკურენტებს ამარცხებ, ყველა აღიარებს, რომ ჩემპიონობა ღირსეულად, ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე მოიპოვე. სწორედ ეს მიხარია, რომ ყველა მეტოქეს ვაჟკაცურ ბრძოლაში ვაჯობეთ.

- საკუთარი გოლებიდან რომელიმეს თუ გამოარჩევ?

- "ყველაზე ფასეული სამტრედიაში გატანილი ბურთი იყო. ისე კი, იმის მიუხედავად, რომ ჩემი მთავარი ფუნქცია მეტოქის შეტევების ჩაშლაა, გოლის გატანა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

- რა შეგძინა "ზესტაფონში" გატარებულმა პერიოდმა?

- "ზესტაფონი" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადი კლუბია, სადაც ფეხბურთელს განვითარებისთვის ყველა პირობა აქვს შექმნილი. ასაკის მიუხედავად, მეც კი ვგრძნობ, რომ თამაშს მოვუმატე და სხვადასხვა კომპონენტი დავხვეწე.

- საზღვარგარეთ უკვე გითამაშია და სამომავლოდაც თუ აპირებ უცხოეთში ბედის ცდას?

- "ზესტაფონთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ზუსტად ვიცი, რომ მომავალ სეზონს აქ გავატარებ, მერე კი ვნახოთ, როგორი პერსპექტივა მექნება. მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ ქვეყანაც ნორმალური იქნება და პირობებიც. უაზრო სინჯებზე არ ვივლი და საეჭვო შემოთავაზებებსაც არ განვიხილავ. გაურკვევლობაში თავის ამოყოფას "ზესტაფონში" დარჩენა მირჩევნია.

- საქართველოს ჩემპიონატში თამაშის დიდი გამოცდილება გაქვს. როგორ ფიქრობ, უმაღლეს ლიგაში ახლა უკეთესი დონეა თუ მაშინ, როცა პროფესიულ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს დგამდი?

- საქართველოს ჩემპიონატში 2002 წლიდან ვთამაშობ და მაშინ უმაღლეს ლიგაში დღევანდელზე გაცილებით მეტი ძლიერი გუნდი იყო. შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი ჩემპიონატი წინ მიდის, მაგრამ მე მსგავსს ვერაფერს ვხედავ. სანამ სტადიონების პრობლემას არ მოევლება და ქართულ ფეხბურთში ფული არ ჩაიდება, სულ ერთი ადგილის ტკეპნაში ვიქნებით.

- რას ელით მომავალი სეზონისგან?

- ვიბრძოლებთ ჩემპიონობის შენარჩუნებისა და თასის მოპოვებისთვის, მანამდე კი ძალებს ჩემპიონთა ლიგაზე მოვსინჯავთ, რასაც დიდი იმედებით ველით. ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და გვჯერა, რომ "ზესტაფონი" თავის სიტყვას ევროპაშიც იტყვის.

- წლების წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების რეალური კანდიდატი იყავი და ორი მატჩიც ჩაატარე. თუ გაქვს ნაკრებში დაბრუნების იმედი?

- ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი და ჯერაც არ ვკარგავ იმის იმედს, რომ ეს პატივი ისევ მხვდება წილად. გულახდილად რომ ვთქვა, ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრების დაცვა უჩემოდაც ძლიერია და თემურ ქეცბაია ნაკრებში საუკეთესოებს იძახებს. თუმცა, თუ ოდესმე ნაკრებს დავჭირდი, მისი ღირსების დაცვა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება.

● U16

ეროვნული ნაკრები ორი სპარინგის სომხეთთან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები სომხეთში გაემგზავრა, სადაც 15 და 17 ივნისს ადგილობრივ თანატოლებთან ამხანაგურად ითამაშებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გელა შეყილაძემ** საერევნოდ ეს ფეხბურთელები შეარჩია: **დავით ბაბაზოვი, ოთარ კობახიძე, ლუკა ზარანდია, ცოტნე მესხი** (ყველა — 35-ე სკოლა), **გიორგი ჩაფიძე** (ტექ. უნივერსიტეტი), **ზურაბ გელაშვილი, რევაზ ბარამიძე, ზურაბ ჯაფიაშვილი, გიორგი ხორხელი** (ყველა — „ოლიმპი", თბილისი), **ბაკურ გაბედავა, ზურაბ მალანია, გიორგი თევზაძე, თენგიზ გოროზია** (ყველა — „ბაია", ზუგდიდი), **ანრი არველაძე, ოთარ ჭიჭალუა, გიორგი ხარაიშვილი** (ყველა — „საბურთალო"), **ლუკა წითლიძე** („დინამო" თბილისი), **რომან ჭანტურია** („ლოკომოტივი", თბილისი), **გაგი მარგველაშვილი** („კოლხიდა", ქუთაისი).

ერევანში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებმა შეკრება ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე გაიარა.

● მსაჯები

ფიფა ქართველ მსაჯებზე ზრუნავს

თბილისში 12 ივნისს დაიწყო და 16 ივნისს დასრულდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფას მიერ ერთობლივად ორგანიზებული სამსაჯო კურსები, სადაც ცოდნას უმაღლეს ლიგაში მომუშავე 30 ქართველი მსაჯი იღრმავებს. მსმენელთა რანგში კი კურსებს ქვედა ლიგის 10 მსაჯი ესწრება. კურსები მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, სათამაშო სიტუაციების სიმულირებას. სასწავლო პროცესს ფიფას სამსაჯო ინსტრუქტორი, ახლო წარსულში ცნობილი რუსი არბიტრი **ვალენტინ ივანოვი** და ფიფას ფიტნესინსტრუქტორი **გუეგოუ კრზოსეკი** უძღვებიან.

კურსები სასტუმრო "ბომონდ გარდენში" სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** და სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელმა **ლევან ფანიაშვილმა** გახსნეს.

მსგავსი ტიპის კურსები საქართველოში პირველად ტარდება. სფფ-ის ვებსაიტის ცნობით, ამ ღონისძიებისთვის ფიფამ ჩვენი მსაჯთა კორპუსი სრული ეკიპირებით, სასწავლო ლიტერატურით, ელექტრონული მოწყობილობითა და ბურთებით უზრუნველყო.

16 ივნისს კურსების მონაწილე ყველა მსაჯს ფიფას სპეციალური სერტიფიკატი გადაეცემა.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გვაძლევთ და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ლეგიონერი

თაობა, რომელსაც იმედით ველით

ლევან ყენიას აგვისტო უთხრეს

ლევან ყენია აგვისტოში მოედანს დაუბრუნდება. ეს სასიხარულო ამბავი საქართველოს ნაკრებისა და გელზენკირხენის "შალკეს" შემტევ ნახევარმცველზე ბიძამისმა, ქუთაისის "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი კიკნაძემ** გვითხრა.

"ლევანი უკვე ჩვეულებრივად დადის, რეაბილიტაციის პროცესშია და ველოსიპედზე ვარჯიშობს. ექიმებმა უთხრეს, რომ აგვისტოში მოედანს აუცილებლად დაუბრუნდება" – გვითხრა კიკნაძემ.

აგვისტოში ექვსი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც ყენიამ ფრანკფურტში კოჭის ოპერაცია იმ ექიმთან გაიკეთა, რომელმაც გამოჯანმრთელების გარანტია მისცა.

გელზენკირხენის „შალკეს" 20 წლის ქართველ ლეგიონერს ორ წელზე მეტია, არ უთამაშია. წოლითი რეჟიმის შემდეგ სპეციალური ფეხსაცმლით სიარულის უფლება მისცეს და როდესაც წყლის პროცედურები დაასრულა, ტრენაჟორებზე ვარჯიშსაც შეუდგა. ახლა კი ეს დამაიმედებელი ამბავიც შევიტყვეთ.

"შალკეს" ექიმი ამბობს, რომ ამგვარი ტრავმა ფეხბურთელებში უჩვეულო მოვლენა არ არის და ქართველს მოურჩენელი არაფერი სჭირს. წესით, ლევანი აგვისტოში ვარჯიშს შეძლებს, ოქტომბერ-ნოემბრიდან კი - თამაშსაც.

როგორც ექიმმა დაასკვნა, ყენიას ხშირი ტრავმიანობის მიზეზი "შალკეს" ყოფილი დამრიგებლის, "დესპოტად" მონათლული **ფელიქს მაგათის** მეტისმეტად მკაცრი მოთხოვნები იყო, რომელსაც ამის გამო ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გაექცა. მაგათის მოთხოვნები ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე გადის და მოთამაშეთა ინდივიდუალურ მდგომარეობას არ ითვალისწინებს.

ასე, მაგალითად: ლევანს 2010 წლის ზაფხულში ოპერაცია იმიტომ დასჭირდა, რომ ვარჯიში ნაადრევად დაანყებინეს. იგივე განმეორდა 2011 წლის იანვარში, როდესაც მაგათმა ყენია თურქულ შეკრებაზე გუნდთან ერთად ავარჯიშა და ტრავმა კიდევ ერთხელ გაუმიზეზდა –კოჭი ოთხ ადგილას ჰქონდა დაზიანებული. ნაადრევი ვარჯიშისა და არასწორი რეაბილიტაციის შედეგმა მალე იჩინა თავი და იანვრის შუა რიცხვებში მორიგი ტრავმა მიიღო.

მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა "შალკეს" ქართველმა - რაც უნდა მოეთხოვა მაგათს, დაუჯერებდა მხოლოდ ექიმის რეკომენდაციას. საბედნიეროდ, გელზენკირხენელებმა მაგათი მოხსნეს და ყენიას აღარ აჩქარებენ.

არადა, ფეხბურთელი, რომელიც შარშან იტალიურმა „გუერინ სპორტივომ" მსოფლიოს რჩეული ტალანტების ტოპოცეულში დაასახელა და მდიდარი ევროპული თუ რუსული კლუბები ("ზენიტი", "ტრაბზონი" და სხვანი) იწვევდნენ, კარიერის დასრულებას აპირებდა. **რალფ რანგნიკმა**, რომელიც "შალკეს" მწვრთნელად მაგათის ნაცვლად დანიშნეს, ყენია გაამხნევა.

ჩვენთვის ყენიას მოედანზე დაბრუნება დიდი იმედია. ყველაფერი კარგად თუ წარიმართა, იქნებ საქართველოს ნაკრებს ევრო2012-ის ბოლო ჯგუფურ მატჩში, თბილისში 11 ოქტომბერს საბერძნეთთან დაეხმაროს. 2 სექტემბერს თბილისში ლატვიასთან და 6 სექტემბერს გასვლაზე მალტასთან კი, სავარაუდოდ, ლევანის თამაში გამორიცხული უნდა იყოს.

ყენიას მსგავსი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებს ჰაერივით სჭირდება. ყენია, **ლევან მჭედლიძე, გიორგი ჭანტურია, ჯანო ანანიძე** („გუერინ სპორტივოსთან" ერთად, ანანიძე მსოფლიოს რჩეული ტალანტების სიაში ესპანურმა „დონ ბალონმაც" დაასახელა) ის ფეხბურთელები არიან, ფერმკრთალ ნაკრებს ელფერსა და ქართულ სტილს რომ დაუბრუნებენ. ასე რომ, გვქონდეს ყენიას სევდიანი ისტორიის კეთილად დასრულების იმედი.

მერაბ მამულაშვილი

● საქართველოს ჩემპიონატი

გია ცეცაძე

ეს ხილი გორში უცხოა: უცხოეთი

გორის "დილას" წლევანდელი მოსამზადებელი გეგმები განსხვავდება იმ ნაცნობი და მობეზრებული სქემისგან, რომელსაც შეჩვეულები ვიყავით. როდესაც "დილა" უმაღლესი ლიგიდან პირველში და უკან "მოგზაურობდა", გუნდი თავის წვენში იხარშებოდა და სერიოზული ამბიცია არც ჰქონია. მოსამზადებელ ეტაპზეც, ფაქტობრივად, საქართველოს არ გასცდენია.

უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნებული "დილას" მესვეურებს მოსამზადებლად ამბიციური გეგმა აქვთ – კლუბი ორ უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებას აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მთავარ მწვრთნელს **გია ცეცაძეს** ჩანაფიქრის ხარისხიანად განხორციელების საშუალება მიეცემა.

"15 ივნისს ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაიცლიან, 17-დან 27 ივნისამდე გორში მოვემზადებით. ამის შემდეგ ორი უცხოური შეკრება დაიგეგმა: სავარაუდოდ, ორი კვირა, 15 ივლისამდე უკრაინაში მოვემზადებით, იქიდან კი ასევე ორი კვირით სლოვაკეთში გადასვლა გვსურს, სადაც იქაური უმაღლესი ლიგის ოთხ გუნდთან შეხვედრები დავგეგმეთ. საქართველოში 29 ან 30 ივლისს უნდა დავბრუნდეთ" – ამბობს ცეცაძე.

"დილას" მთავარი მწვრთნელის თქმით, წესით, წლეულს გუნდს ფინანსური პრობლემები არ უნდა შეექმნას: *"მართალია, ჯერ "დილას" ანგარიშზე თანხა არ ჩარიცხულა, მაგრამ რაიონის და მხარის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება დამაიმედებელია. ჩვენი ვარაუდით, საკმაოდ კარგი ბიუჯეტი უნდა გვქონდეს"*.

ცეცაძე ამბობს, რომ "დილას" გაძლიერებას გამოცდილი ფეხბურთელებით აპირებს: *"ნიჭიერი ბიჭები გვყავს, მაგრამ გაძლიერება გვჭირდება, რადგან საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრა გვინდა. მხოლოდ ირაკლი ცნობილაძემ და ლევან თედიაშვილმა დაგვტოვეს, ვაპირებთ რამდენიმე ცნობილი და გამოცდილი მოთამაშის დამატებას. ვარჯიშების პარალელურად, საკონტროლო შეხვედრებზე გასასინჯებსაც დავაკვირდებით. ჯერ კი კონტრაქტი არავისთან გაგვიფორმებია"*.

მერაბ მამულაშვილი

● მერანი



მალხაზ ყვანია

სამი შეკრება და ერთი ახალწვეული

მარტვილის "მერანი" ახალი სეზონისთვის მზადებას რამდენიმე დღეში შეუდგება. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ყვანიამ** გვითხრა, დაგეგმილია სამი შეკრების მონყობა – ბაკურიანში, მარტვილსა და ურეკში.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტთა პირველი ახალწვეული კი **თორნიკე შალიკაშვილია**. ახალგაზრდა მცველმა წინა სეზონი "სამტრედიაში" გაატარა.

მალე მარტვილის სტადიონზე ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება დაიწყება და თუ სამუშაოები სეზონის დაწყებამდე ვერ დასრულდა, "მერანს" ერთი ან რამდენიმე საშინაო მატჩის ჩატარება სხვა ქალაქში მოუწევს.

ლევან ჯანეზაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

გიორგი ჭედია: დინამო, გაგრა თუ დილა?

გიორგი ჭედია უახლოეს დღეებში გაარკვევს, სად გააგრძელებს კარიერას. აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლესი-გელი თავუზის "თურანის" თავდამსხმელმა გვითხრა, რომ სხვა შემოთავაზებები აქვს და არჩევანს მალე გააკეთებს.

22 წლის ჭედიას "თურანთან" კონტრაქტი დაუსრულდა და, როგორც ჩანს, აზერბაიჯანში დარჩენის დიდი სურვილი არ შერჩა.

"კლუბთან კონტრაქტი სეზონის დასრულების შემდეგ ამომწურა. "თურანში" ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა, აზერბაიჯანში ცნობილი სპეციალისტი ასკერ აბდულაევი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში და აზერბაიჯანის ბევრ ცნობილ კლუბში ჩევანი დაახლოებით ერთ კვირაში გეცოდინებათ" – ამბობს ჭედია.

ჭედიას აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბოლო ორი თვე არ უთამაშია. მიზეზი ტრავმა იყო: *" ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი კუნთის ტრავმის გამო გამიცდა. თუმცა ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და დარწმუნებული ვარ, სეზონის განახლებამდე ფორმას აღვიდგენ"*.

საინტერესო სიახლეებს გვიმხელს ჭედიას მენეჯერი **გია ხურციძე:** *"კლუბში ბევრი რამ იცვლება. კონტრაქტი დაუმთავრდა და წავიდა ოლეგ გველესიანი. სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ ბოლნისის "სიონის" ლიდერი ალეკო გოგობერიშვილი დაიმატონ. ახალი მთა-*

გიორგი ჭედია

უმუშავია - "ბაკიში", "ნეფთჩიში"... აქედანაც ჩანს, რომ მომავალი სეზონიდან "თურანის" გაძლიერება სურთ. ის დარჩენას მთავაზობს, მაგრამ ჯერ თანხმობა არ მითქვამს, რადგან საქართველოში რამდენიმე კლუბი მიწვევს და თუ კარგ პირობებს შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები. უახლოეს დღეებში გადაწყდება, კონტრაქტს ვისთან გავაფორმებ. მოლაპარაკებები დაწყებულია თბილისის "დინამოსთან", გორის "დილასთან" და "გაგრასთან". ჩემი არ-

ვარი მწვრთნელი ასკერ აბდულაევი მას "ბაკისა" და "ნეფთჩიში" ავარჯიშებდა და ენდობა. კლუბში რჩებიან გიორგი ბერიაშვილი და ჩემი შვილი, ზურაბ ხურციძე. ჭედიამ კი თავისი ამბავი უკვე გითხრათ. ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში ასეთი სწრაფი და აგრესიული ფეხბურთელების დეფიციტია და გამიხარდება, ჭედია საქართველოს პირველობას თუ დაუბრუნდება".

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებას გამოთქვამენ ქუთაისის „ტორპედოს" ვეტერანი ფეხბურთელის

ჯუმბერ ხაჟალიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და ქუთაისის „ტორპედოს" ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი თანაგუნდელი

ჯუმბერ ხაჟალია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს XXIII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი. პროექტი

I ნრე 2011 წ.

I ტური

6 აგვისტო. შაბათი

გაია (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი)-დილა (გორი)

7 აგვისტო. კვირა

მეტალურგი (რუსთავი)-კოლხეთი (ფოთი)
გაგრა-მერანი (მარტვილი)
სპარტაკი (ცხინვალი)-დინამო (თბ.)
ტორპედო (ქუთაისი)-ზესტაფონი

II ტური

13 აგვისტო. შაბათი

სიონი-გაგრა
დილა-ტორპედო

14 აგვისტო. კვირა

დინამო-ვიტ ჯორჯია
მერანი-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი
მეტალურგი-გაია

III ტური

20 აგვისტო. შაბათი

გაია-კოლხეთი
გაგრა-მეტალურგი
სპარტაკი-სიონი
ვიტ ჯორჯია-მერანი

21 აგვისტო. კვირა

ტორპედო-დინამო
ზესტაფონი-დილა

23-24 აგვისტო. სამშაბათი-ოთხშაბათი

დ. ყიფიანის სახ თასის 1/16 ფინალი

IV ტური

27 აგვისტო. შაბათი

სიონი-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-სპარტაკი
გაია-გაგრა

28 აგვისტო. კვირა

დინამო-ზესტაფონი
კოლხეთი-დილა
მერანი-ტორპედო

V ტური

10 სექტემბერი. შაბათი

გაგრა-კოლხეთი
სპარტაკი-გაია
ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
ტორპედო-სიონი
ზესტაფონი-მერანი
დილა-დინამო

13 სექტემბერი. სამშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები



VI ტური

17 სექტემბერი. შაბათი

მერანი-დილა
მეტალურგი-ტორპედო
გაია-ვიტ ჯორჯია
გაგრა-სპარტაკი
კოლხეთი-დინამო
სიონი-ზესტაფონი

21 სექტემბერი. ოთხშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/8 ფინალი

VII ტური

25 სექტემბერი. კვირა

ვიტ ჯორჯია-გაგრა
ტორპედო-გაია
სპარტაკი-კოლხეთი
ზესტაფონი-მეტალურგი
დილა-სიონი
დინამო-მერანი

VIII ტური

1 ოქტომბერი შაბათი

კოლხეთი-მერანი
გაგრა-ტორპედო
მეტალურგი-დილა
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია

2 ოქტომბერი. კვირა

სიონი-დინამო
გაია-ზესტაფონი

IX ტური

15 ოქტომბერი. შაბათი

ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
ტორპედო-სპარტაკი
ზესტაფონი-გაგრა
დილა-გაია
დინამო-მეტალურგი
მერანი-სიონი

18 ოქტომბერი. სამშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები

X ტური

22 ოქტომბერი. შაბათი

კოლხეთი-სიონი
მეტალურგი-მერანი
გაია-დინამო
გაგრა-დილა
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

XI ტური

26 ოქტომბერი. ოთხშაბათი

ტორპედო-კოლხეთი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დილა-სპარტაკი
დინამო-გაგრა
მერანი-გაია
სიონი-მეტალურგი

II ნრე. 2011 წ.

XII ტური

30 ოქტომბერი. კვირა

კოლხეთი-მეტალურგი
სიონი-გაია
მერანი-გაგრა
დინამო-სპარტაკი
დილა-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-ტორპედო

XIII ტური

5 ნოემბერი შაბათი

გაგრა-სიონი
გაია-მეტალურგი
სპარტაკი-მერანი
ტორპედო-დილა

6 ნოემბერი. კვირა

ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-კოლხეთი

XIV ტური

19 ნოემბერი. შაბათი

კოლხეთი-გაია
მეტალურგი-გაგრა
სიონი-სპარტაკი
მერანი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო
დილა-ზესტაფონი

22 ნოემბერი. სამშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/4 ფინალი

XV ტური

26 ნოემბერი. შაბათი

დილა-კოლხეთი
ზესტაფონი-დინამო
ტორპედო-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-მეტალურგი
გაგრა-გაია

XVI ტური

3 დეკემბერი. შაბათი

კოლხეთი-გაგრა
გაია-სპარტაკი
მეტალურგი-ვიტ ჯორჯია
სიონი-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი
დინამო-დილა

6 დეკემბერი. სამშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები

XVII ტური

10 დეკემბერი. შაბათი

დინამო-კოლხეთი
დილა-მერანი
ზესტაფონი-სიონი
ტორპედო-მეტალურგი
ვიტ ჯორჯია-გაია
სპარტაკი-გაგრა

XVIII ტური

17 დეკემბერი. შაბათი

კოლხეთი-სპარტაკი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
გაია-ტორპედო
მეტალურგი-ზესტაფონი
სიონი-დილა
მერანი-დინამო

საქართველოს ჩემპიონატი

მეჯამებელ. სპარტაკი

9		სულ							შინ							სტუმრად						
	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ
	სპარტაკი	36	7	11	18	32	42	32	18	6	5	7	27	20	23	18	1	6	11	5	22	9

„სპარტაკის“ ყველა მატჩი

I ეტაპი

I ნრე

II ტური	სპარტაკი-სამტრედია	2:2
III ტური	ზესტაფონი-სპარტაკი	4:0
IV ტური	სპარტაკი-სიონი	3:0
V ტური	ოლიმპი-სპარტაკი	2:0
I ტური	დინამო-სპარტაკი	1:0
VI ტური	სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	1:2
VII ტური	გაია-სპარტაკი	1:1
VIII ტური	სპარტაკი-ტორპედო	1:2
IX ტური	კოლხეთი-სპარტაკი	1:0

II ნრე

X ტური	სპარტაკი-დინამო	0:0
XI ტური	სამტრედია-სპარტაკი	1:0
XIV ტური	სპარტაკი-ოლიმპი	2:3
XII ტური	სპარტაკი-ზესტაფონი	1:1
XIII ტური	სიონი-სპარტაკი	2:0
XV ტური	ვიტ ჯორჯია-სპარტაკი	0:1
XVI ტური	სპარტაკი-გაია	2:0
XVII ტური	ტორპედო-სპარტაკი	1:0
XVIII ტური	სპარტაკი-კოლხეთი	4:0

II ეტაპი

III ნრე

XIX ტური	დინამო-სპარტაკი	1:1
XXI ტური	სპარტაკი-ზესტაფონი	1:2
XXII ტური	სპარტაკი-სიონი	3:0
XX ტური	სპარტაკი-სამტრედია	1:0
XXIII ტური	ოლიმპი-სპარტაკი	1:0
XXIV ტური	სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	0:1
XXV ტური	გაია-სპარტაკი	2:0
XXVI ტური	სპარტაკი-ტორპედო	2:2
XXVII ტური	კოლხეთი-სპარტაკი	0:0

IV ნრე

XXVIII ტური	სპარტაკი-დინამო	1:3
XXIX ტური	სამტრედია-სპარტაკი	0:0
XXX ტური	ზესტაფონი-სპარტაკი	2:0
XXXI ტური	სიონი-სპარტაკი	1:1
XXXII ტური	სპარტაკი-ოლიმპი	0:2
XXXIII ტური	ვიტ ჯორჯია-სპარტაკი	1:1
XXXIV ტური	სპარტაკი-გაია	3:0
XXXV ტური	ტორპედო-სპარტაკი	1:0
XXXVI ტური	სპარტაკი-კოლხეთი	0:0

„სპარტაკის“ ფეხბურთელების მონაგარი

ბადრი კვარაცხელია

მწვრთნელი

გოჩა ჩიქოვანი (I-VIII ტური)
ბადრი კვარაცხელია (IX-XXXVI ტური)

მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი-30, ნიკოლოზ დაუშვილი-6, იოსებ ხომერიკი-2;

მცველები: ლევან ჭაფოძე-36, ბოიომო ფრიდოლინი-33, ნიკა მგელაძე-21 (1), ბადრი ტეტუნაშვილი-17, გიორგი ალავიძე-15, ნუკრი მანჩხავა-10, მიხეილ კორსანტია-9, ერეკლე ხაჭვანი-7, გიორგი ოთარაშვილი-6, ლევან სარალიძე-6, მაკარ აქუბარდია-5, გიორგი თავბერიძე-5, დიეგო ლობჟანიძე-4, უჩა ბურძენაძე-2;

ნახევარმცველები: ბესიკ დეკანოიძე-30 (4), თეიმურაზ შონია-27 (5), ვალერი ბოლქვაძე-19 (2), შოთა კაშია-18 (1), გიორგი მამუჩიშვილი-17 (1), მიხეილ ბარაბაძე-15 (2), ვალერი კილასონია-14, ლაშა ჩალაძე-12, მიხეილ ჯიშკარიანი-11, გიორგი სეფიაშვილი-9, ვლადიმერ უგრეხელიძე-8, კახაბერ კაკაშვილი-8, ნიკოლოზ მაისურაძე-7 (1), გიორგი ნარიმანიძე-5, ვახტანგ ჯაყელი-4, თორნიკე თუხარელი-2, დავით მამუდოვი-2;

თავდამსხმელები: ტიერი-ანს კლოვისი-25 (4), ილია ბუზალაძე-18 (1), ზვიად მეტრეველი-16 (7), ლაშა ჯაკობია-10 (2), ზურაბ ძაგანია-8, გიორგი ბაბულაიძე-8, დავით ზერეკიძე-4.

ბოიომო ფრიდოლინი

● ამერიკული ამბები

სამი ჭიჭული, ორი დამშვიდობება და დაბრუნება

ამერიკის კონტინენტზე სამ ქვეყანაში გაირკვა ჩემპიონის ვინაობა - არგენტინაში „ველეს სარსფილდი“ და მისი ქომაგები ზეიმობენ, ურუგვაიში მონტევიდეოს „ნასიონალი“ გაჩემპიონდა, ხოლო ჩილეში - „უნივერსიდად დე ჩილე“. საინტერესო ამბები ამით არ ამოიწურება - „ვასკო და გამას“ რიგებში დებიუტი ჰქონდა ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჟუნინიო პერნამბუკანოს, მშობლიურ „ლა ბომბონერას“ კი ვეტერანი მარტინ პალერმო დაემშვიდობა.

არგენტინა

V ნიშნავს ვიქტორიას, V ნიშნავს ველესს

თვალცრემლიანი პალერმო ბომბონერას გამოეთხოვა

არგენტინის ჩემპიონატს მუდამ ჩახლართული სატურნირო მდგომარეობა აქვს, ასე იყო წლევანდელ კლაუსურაშიც. თუმცა, მოულოდნელად, ჩემპიონობის ბედი ბოლოსწინა ტურში გადაწყდა - „ველესმა“ სტუმრად 2:0 დაამარცხა „ურაკანი“ და კონკურენტთათვის მიუწვდომელი გახდა. ამ გუნდს კარგად აქვს დაცდილი „ურაკანის“ ძლევა - ბოლო ტიტულიც „ველესმა“ „ურაკანის“ დამარცხებით გაიფორმა, ეს იყო 2009 წელს. **რიკარდო გარეკას** ბიჭებიდან ამ შეხვედრაში თავი **სანტიაგო სილვამ** (თავით) და **დავიდ რამირესმა** (პენალტით) გამოიჩინეს. სხვათა შორის, ეს მატჩი მასპინძელთა სტადიონის დასჯის გამო ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართა. „ველესის“ ფეხბურთელებს ამის შემდეგაც ცდამ მოუწიათ, სანამ თავს ჩემპიონებად დაიბეგებდნენ - კონკურენტმა „ლანუსმა“ მოულოდნელად 0:1 დათმო „არხენტინოს ხუნიორსთან“ და ყველაფერი ცხადი გახდა.

ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე „ლანუსი“ ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლაუსურა-2011 „ველეს სარსფილდმა“ მოიგო. *„ჩვენ ეს დავიმსახურეთ, რადგან არგენტინის საუკეთესო გუნდი ვართ დღეისათვის“*, - განაცხადა „ველესის“ ნახევარმცველმა **რიკი ალვარესმა**.

კლაუსურაში კიდევ ბევრი რამ დარჩა გასარკვევი, „რივერ პლეიტი“ კვლავ გავარდნის საფრთხის პირასაა. „რივერის“ მოსისხლე მტრის, „ბოკა ხუნიორსის“ სტადიონ „ბომბონერაზე“ კი დიდი დამშვიდობება გაიმართა - ფეხბურთიდან გააცილეს ვეტერანი ფორვარდი, იქაურების კერპი - მარტინ პალერმო. „ელ ლოკოს“ სპეციალურად ამ თამაშისთვის შეკერილი მაისურა ეცვა, ოქროსფრად ამოქარგული 9-იანით. მაშ ასე, ფეხბურთელი, რომელმაც 300-ზე მეტი გოლი გაიტანა კარიერაში, კიდევ ერთ (საგარეო) მატჩსაც ითამაშებს და წავა... მარტინმა შინ ბოლოს „ბანფილდთან“ ითამაშა, ეს შეხვედრა კი 1:1 დასრულდა. პალერმოს გაცილებას კი ლეგენდარული **დიეგო მარადონა** დაესწრო.

ჩილე

სასწაული ფინალი

ზეიმი გამარჯვებულთა ტრიბუნაზე

ამ ქვეყანაში „უნივერსიდად დე ჩილემ“ სასწაული ფინალი მოიგო. ასეთ რამეს გუნდის ყველაზე ოპტიმისტი ფანებიც კი აღარ ელოდნენ, მას შემდეგ, რაც ფინალის პირველი მატჩი „უნივერსიდად დე კათოლიკასთან“ 0:2 წააგო. საპასუხო შეხვედრაში „უნივერსიდად დე ჩილემ“ **გუსტავო კანალესის** ჰეთ თრიკის წყალობით 4:1 მოიგო და მე-14-ედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

URUGUAY

აპერტურა თუ კლაუსურა

მარსელო გალიარდოს უკანასკნელი ტიტული

ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს აპერტურას გამარჯვებული „დეფენსორ სპორტინგი“ და კლაუსურას მომგები „ნასიონალი“ შეხვდნენ. მე-19 წუთზე „ელ ბოლსო“ **ტაბარე ვიუდესმა** დაანწინაურა და „ნასიონალმა“ შეძლო კიდევაც ამ ანგარიშის შენარჩუნება. გამარჯვებულებმა ტიტული მათ ყოფილ თანაგუნდელ **დიეგო როდრიგესს** უძღვნეს, რომელიც შარშან ავტოავარიაში დაიღუპა. ამ თამაშში „ნასიონალის“ გულშემატკივრებს დაემშვიდობა არგენტინელი **მარსელო გალიარდო**, რომელმაც 35 წლის ასაკში ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.

ბრაზილია

ჟუნინიოს დაბრუნება



ჟუნინიო სამშობლოში დაბრუნდა

ბრაზილიის ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და გუნდები ჯერ კიდევ ეგუებიან ახალ პირველობას, მაგრამ არის ერთი კლუბი, რომელსაც ადაპტაცია არ დასჭირვებია - „სან პაულუ“. „გრემიოს“ 3:1 დამარცხების შემდეგ „სან პაულუ“ 100%-იან შედეგს ინარჩუნებს. სხვათა შორის, სერია A-ს პირველი სამი ადგილი ქალაქ სან პაულუს გუნდებს უკავია, მოკლედ, ჯერჯერობით ბრაზილიაში „პაულისტა“ ყოჩაღობს.

შაბათს „საუ ჟანუარიოს“ სტადიონზე დიდი ზეიმი გაიმართა - „ვასკო და გამამ“ პუბლიკას ერთდროულად ორი შენაძენი წარუდგინა - ბრაზილიის თასი, რომელიც გუნდმა **ანდერსონ აკინოს** „კორიტიბასთან“ დუელში მოიპოვა და საქვეყნოდ ცნობილი ახალწვეული ჟუნინიო პერნამბუკანო. საჯარიმო დარტყმების დიდოსტატი. ჟუნინიო კლუბს 10-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა.

● ამბები

ბოლოს მაინც მანჩესტერმა გაიცინა

ფილ ჯონსი (მარცხნივ) კრის სმოლინგის თანაგუნდელი გახდა

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის მცველი **ფილ ჯონსი** ბოლოს მაინც „მანჩესტერ იუნაიტედს“ დარჩა - ამის შესახებ ინგლისის ჩემპიონთა ოფიციალურმა საიტმა აუწყა პუბლიკას. „ბლექბერნ როვერსის“ ნიჭიერი მცველით ერთბაშად ორი ინგლისური გრანდი, „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაინტერესდა. თავიდანავე „წითელი ეშმაკუნები“ იყვნენ ფავორიტები ამ ბრძოლაში. ფილ ჯონსმა სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა მანჩესტერში და ინგლისის ნაკრებთან ერთად დანიაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაემგზავრა. აი, სწორედ ამის მერე დაიწყო პრობლემები - „ბლექბერნის“ ინდოელი მფლობელები გაჯიუტდნენ და გუშინდლამდე ეს ტრანსფერი ჩაშლის პირას იყო, მაგრამ გუშინ „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ფილ ჯონსში 16,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

ფილ ჯონსი, რომელმაც გასულ სეზონში 40-ჯერ მოირგო „ბლექბერნის“ მაისურა, 5 წლით „იუნაიტედში“ დარჩება. ხელშეკრულებას ოფიციალური სახე მას შემდეგ მიეცემა, რაც ფეხბურთელი დანიიდან სამშობლოში დაბრუნდება და სატრანსფერო ფანჯარაც გაიხსნება (1 ივლისს). ასე რომ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჯონსი ახალგაზრდულ ნაკრებში მის მეწყვილე **კრის სმოლინგს** შეუერთდება. სწორედ ასეთად ესახებათ სპეციალისტებს „იუნაიტედის“ დაცვის ცენტრი მომავალ დეკადაში.

ელიტაში, 55 წლის შემდეგ

სერია A-ს განაცხადი მომავალი სეზონისთვის საბოლოოდ შეივსო - ბოლო საგზური „ნოვარამ“ მოიპოვა. „პადოვასთან“ საპასუხო მატჩში „ნოვარამ“ 2:0 იმარჯვა და, რადგან პირველი 0:0 დასრულდა, ეს გუნდი 55-წლიანი პაუზის შემდეგ იტალიური ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდა. პირველ ტაიმში თავი „ნოვარას“ თავდამსხმელმა **პაბლო გონსალესმა** გამოიჩინა, მეორეში კი ნახევარმცველმა **მარკო რიგონიმ** გაიტანა. მაშ ასე, „ნოვარა“, „ატალანტას“ და „სიენას“ შეუერთდა ტოპლიგაში, საიდანაც ამ სეზონის ბოლოს „სამპდორია“, „ბრეშა“ და „ბარი“ გავარდნენ.

ჩელსის ვერ შეელია

„ჩელსის“ გოლკიპერმა **ილარიომ** ლონდონურ კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. უკვე 6 წელია, რაც პორტუგალიელი „ჩელსიშია“ და ის სათადარიგოს როლით კმაყოფილდება, რადგან იქ პირველი მეკარე ჩეხი **პეტრ ჩეხია**. ბოლო სეზონში კი ილარიოზე წინ მწვრთნელები **როს ტერნბალსაც** კი აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, 35 წლის ილარიო ლონდონში არაფერს უჩივის. სხვათა შორის, მან ამდენი ხნის განმავლობაში სულ 37-ჯერ დაიცვა „ჩელსის“ კარი.

ვალენსია თუ ანდალუსია

პრიმერადივიზიონის ბოლო მონაწილის ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ელიტაში მოხვედრის კანდიდატი ორია - „ელჩე“ და „გრანადა“. ეს ორი კლუბი 15 და 18 ივნისს პლეი ოფის ფინალში გაარკვევს, თუ ვინ ითამაშებს აგვისტოდან პრიმერადივიზიონში. პირველი შეხვედრა გრანადაში, „ნუევო ლოს კარმენესის“ სტადიონზე გაიმართება, ხოლო საპასუხო - „მარტინეს ვალეროზე“. „ელჩეს“ 19 სეზონი აქვს ლა ლიგაში გატარებული, „გრანადას“ - 17. პირველი ვალენსიის მხარის გუნდია, მეორე - ანდალუსიის.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჰე

● ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲭᲘᲡ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ

„ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ ᲡᲘᲢᲘᲡ“ მწვრთნელი, **ალექს მაკლიში** გაექცა და თან არ იკითხავთ, როგორ? ნავედიო, ელექტრონული ფოსტით მოიწერა. აღშფოთებული კლუბი მზად არის ყველა ღონე იხმაროს, რათა შოტლანდიელ სპეციალისტს ხელი შეუშალოს, მით უფრო, რომ დაირხა ჭორი, თითქოს ის ბირმინგემისავე „ასტონ ვილაში“ აპირებს გადასვლას. საერთოდ ერთი და იმავე ქალაქის გუნდებს ერთმანეთი გულზე რომ არ ეხატებათ, ცნობილი ამბავია, მაგრამ ბირმინგემი ამ მხრივ გამორჩეულია. შესაძლოა, „სიტი“ და „ვილა“ ევროპული მასშტაბით ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ და არც პრემიერლიგაში მრისხანებენ („ბირმინგემი“ სულაც გავარდა), მაგრამ მათ შორის თამაშები სულ დღის სინათლეზე ინიშნება, ფანებმა სიბნელეში ერთმანეთი რომ არ დაასახიჩრონ.

მერედა, რა საოცარ დროს გაიქცა მაკლიში - როდესაც კლუბის პრეზიდენტი **პიტერ პენუ** ჰოლანდიაში იყო და თვითმფრინავში ჯდებოდა, შინ რომ გამოფრენილიყო. ის-ის იყო, პენუმ ნომერი აკრიბა, რათა „დიდი ეკის“ მეტსახელით ცნობილი მაკლიშისთვის ეხარებინა, ჩვენ მიერ შეგულებული ოთხივე ფეხბურთელის გადაბირების საქმე მოვაგვარეო, რომ გაირკვა, სასიხარულო არაფერი ჰქონია. დაზაფრულმა პრეზიდენტმა თქვა:

„ოთხი მოთამაშის დამატება უნდოდა. მათგან სამი, კრის ბარკი, მარლონ კინგი და მორგარო გომისი ერთი ხნის წინ ვუყიდე და ამსტერდამში მეოთხე საქმის მოსაგვარებლად ვიყავი, რომ მეილი მივიღე“.

რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ყველაფერი მაკლიშის „ვილაში“ გადასაყვანად მოხდა. პენუ თანაქალაქელ მტერთა ბანაკს, ჯერჯერობით, პირდაპირ ვერ ადებს ხელს და ვერ ამბობს, რომ „დიდი ეკის“ ზურგს უკან ისინი დგანან, მაგრამ ვითარება ნამდვილად დაიძაბა. „ბირმინგემის“ პრეზიდენტი აცხადებს, რომ თუ მაკლიშის გაქცევაში „ასტონ ვილას“ ხელი ურევია, ყველა ღონეს იხმარს, რათა დიდი ჯარიმა გადაახდევინოს.

„ამ საქმეს საფუძვლიანად ჩავუჯდები და გარწმუნებთ, ერთი კენჭი არ დამრჩება გადაუბრუნებელი. ერთი ხანია, ფეხბურთში ქცევის ახალი, უსინდისო ნორმები დაინერგა, მაგრამ მე ის კაცი არ ვარ, ვისაც შეგიძლია ხელი ჰკრა და გადააყირავო“, - თქვა პენუმ.

მეოთხე ფეხბურთელი, რომლის საყიდლადაც „ბირმინგემის“ პრეზიდენტი ჰოლანდიაში გახლდათ, „პსვ ეინდჰოვენის“ 32 წლის თავდამსხმელი **დენი კოევერმანსი** გახლდათ. მანამდე, ორი დღით ადრე, „სიტიმ“ „ქოვენთრისგან“ 31 **მარლონ კინგი** წამოიყვანა და თან საკმაოდ უხერხულ ვითარებაში - ფეხბურთელს სექსუალური ძალადობის გამო

ალექს მაკლიში

სახელმწიფოსთან პრობლემები ჰქონდა, 18 თვე მოუსაჯეს. თუმცა ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. დღეს პრესაში ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ კლუბი, რომელიც გამალებით ყიდულობს ფეხბურთელებს, ბუნებრივია, მწვრთნელის შეცვლაზე არ ფიქრობს.

რაც შეეხება „ასტონ ვილას“, აქ, ალექს მაკლიშს დიდ პატივს რომ სცემენ, ყველასთვის ყოველთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ კლუბის ოფიციალური პოზიცია ის გახლავთ, რომ მის მეპატრონეს, ამერიკელ **რენდი ლერნერს** სხვაგან მომუშავე მწვრთნელის გადაბირება არ სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, „ასტონ ვილას“ „ბირმინგემ სიტისთვის“ მაკლიშის თაობაზე არ მიუმართავს, და სწორედ ეს აღძრავს ეჭვს. სხვასთან კონტრაქტის მქონე მწვრთნელი არ მინდაო... დღეს, „მეილით გაქცეული“ მაკლიში, შეიძლება ითქვას, თავისუფალია და ლერნერს გზა ხსნილი აქვს.

ამასთან, არც ის უნდა იყოს მთლად მართალი, რომ „ასტონ ვილა“ სხვისი მწვრთნელებით არ არის დაინტერესებული. აბა, „უიგანისგან“ **რობერტო მარტინესის** გადაყვანის მცდელობა რა იყო? მართალია, მარტინესის შემთხვევაში „ვილას“ ქცევის წესები არ დაურღვევია და მწვრთნელთან მოლაპარაკების უფლება ჯერ კლუბის მეპატრონისგან აიღო, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ბირმინგემის კლუბს სხვისი თანამშრომლის წაყვანა უნდოდა?

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საკითხი: ალექს მაკლიშისა და „ბირმნიგემის“ დირექტორატის ურთიერთობაში ბოლო დროს ბზარი გაჩნდა. ამბობდნენ, რომ განხეთქილების მიზეზი სატრანსფერო ბაზართან იყო დაკავშირებული, მაგრამ, იმასაც ამბობდნენ, რომ სადავო საკითხების მიუხედავად, კლუბი და მაკლიში „ჩემპიონშიპში“ გავარდნილი გუნდის პრემიერლიგაში დაუყოვნებლივ დაბრუნებას აპირებდნენ.

მაკლიში „სენტ ენდრიუზე“ გამოცდილი ფეხბურთელების შენარჩუნებასაც ითხოვდა. ის ცდილობდა **ბენ ფოსტერი, როჯერ ჯონსონი** და **სკოტ დანი** არ გაეშვა, მაგრამ კლუბის დირექტორატს პრემიერლიგიდან გავარდნის გამო გაჩენილი ფინანსური ნაპრალები აქვს ამოსავსები. კიდევ, „დიდი ეკის“ მთავარი სკაუტი, **პოლ მონტგომერი** გაუშვეს სამსახურიდან, მაგრამ განა ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ხალხს წესიერად არც კი დაელაპარაკო და მეილით შეატყობინო, რომ სამსახურიდან მიდიხარ?

შეგახსენებთ, მართალია, ალექს მაკლიშის ხელმძღვანელობით „ბირმინგემ სიტი“ პრემიერლიგიდან გავარდა, მაგრამ „ქარლინგის თასიც“ მოიპოვა, რაც გუნდის ისტორიაში დიდი მიღწევა იყო.

● ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲡᲐᲛᲘᲠ!

„ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ“ თავკაცი **არსენ ვენგერი** თავის ფრანგ ფეხბურთელს, 23 წლის **სამირ ნასრის** აფრთხილებს, რომ ის ჯერ დასრულებული ვარსკვლავი არ არის, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს და ამიტომ, „ემირეიტ სთედიუმიდან“ გაქცევას მაინცდამაინც თუ არ იჩქარებს, მისთვისვე უკეთესი იქნება. შეგახსენებთ, რომ ნასრიმ „მეთოფეებთან“ კონტრაქტის თანახმად კიდევ ერთი წელიწადი უნდა გაატაროს, გაისად ამ დროს კი შეუძლია ქუდი დაიხუროს და თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს იქაურობა. ეს, თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ თუ ფეხბურთელი „არსენალთან“ ახლავე არ გააფორმებს ახალ კონტრაქტს, კლუბი წაგებაში დარჩება — ერთი წლის შემდეგ ნასრის სანაცვლოდ ფულს ვეღარ მიიღებს. შესაბამისად, შემტევი ნახევარმცველი ახლავე უნდა გაიყიდოს.

ნასრის ფასი 25 მილიონი ფუნტია. მისი შეძენით ევროპული გრანდები არიან დაინტერესებული. ინგლისელთაგან ფრანგის ყიდვა ყველაზე მეტად ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს და ამის შესახებ ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებებში ხშირად ლაპარაკობენ. ინგლისს გარედან კი გამორჩეულად „ინტერი“ და „ბაიერნი“ აქტიურობენ.

ბევრჯერ გვიხსენებია, რომ ვენგერს ამ ზაფხულს ძლიერი ფეხბურთელების შეძენა აქვს გადაწყვეტილი. ამბობენ, რომ „არსენალმა“ პოლიტიკა შეცვალა. მას მერე, რაც ახალი მეპატრონის, ამერიკელი **სტენ კროენკის** ხელში გადავიდა, ითქვა, რომ ეკონომია და იაფად ნაყიდი ყმაწვილებით ფონს გასვლა წარსულს ჩაჰბარდა. დიდი წარმატებისთვის გამოცდილი მებრძოლების დამატებაა საჭირო. თუმცა, მეორე მხრივ, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ „მეთოფეები“ სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან: ნასრის გარდა გუნდის კაპიტან **სესკ ფაბრეგასსაც** გაქცევაზე უჭირავს თვალი. ფაბრეგასს, მოგეხსენებათ, მისი მშობლიური ქალაქის გუნდი „ბარსელონა“ ეპატიჟება.

ვენგერმა თქვა: *„ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ნასრი „არსენალში“ დავიტოვოთ. ჩემი ამ ახალგაზრდასთან მუშაობის გაგრძელება ძალიან მსურს. თუ თავად გადახედავს საკუთარ წარსულს, დაინახავს, რომ ჩვენთან ერთად საკმაოდ დიდი გზა გაიარა. ამასთან, ვფიქრობ, რომ საუკეთესო თვისებების გამოსავლენად ჯერ კიდევ აქვს სამუშაო. ის ჯერ დასრულებული ვარსკვლავი არ არის. „არსენალი“ კი სწორედ ის კლუბია, რომელმაც ფეხბურთელების ვარსკვლავებად ქცევა იცის“.*

ფაბრეგასის შესახებ კი „მეთოფეთა“ თავკაცმა ასე ბრძანა: *„ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, რომ ჩემთვის ფაბრეგასი „არსენალის“ ფეხბურთელია და კიდევ ბევრ წელინადს დაჰყოფს „ემირეიტ სთედიუმზე“. რასაკვირველია, დადის ჭორი, რომელსაც ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით. საბედნიეროდ, უეფას მიერ „სატრანსფერო ფეარ პელის“ შემოღებამდე ერთი წელინადიღა დარჩა და დიდი ფულის დაყრით ფეხბურთელების გადაბირებასაც ბოლო მოეღება. ვფიქრობ, ეს ბოლო ცხელი ზაფხულია“.*

● ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲮᲐ

სტივ მაკლარენი

წყალი არ გაუვა: **სტივ მაკლარენი** ახალ სამსახურში მოეწყო, ის „ნოტინგემ ფორესტის“ თავკაცია. სპეციალისტი, რომელიც სამი-ოთხი წლის წინ ინგლისის ნაკრებს ედგა სათავეში, „ჩემპიონშიპში“ იმუშავებს. თან, საინტერესოა, რომ მაკლარენი „ფორესტში“ წინა მწვრთნელის, **ბილი დევისის** გაშვების მეორე დღესვე მიიყვანეს.

„სტივს ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება ფეხბურთში. მას „ნოტინგემ ფორესტის“ გაწვრთნა“ უდიდეს გამოწვევად მიაჩნია. ნოტინგემის კლუბი ხომ უდიდესი ისტორიის მქონეა“.

მართლაც, ბოლოდროინდელი სუპერგუნდების შემყურე გულშემატკივარს შეიძლება დაავიწყდა, რომ „ნოტინგემ ფორესტი“ გახლავთ კლუბი, რომელიც ორჯერ გახლდათ დღეს ჩემპიონთა ლიგად გადაკეთებული შეჯიბრების, ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული. ნოტინგემელებმა ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო 1979 და 1980 წლებში აღმართეს. ამასთან, გუნდმა 1979 წელს ევროპის სუპერთასიც მოიგო. რაც შეეხება ინგლისის ჩემპიონის ტიტულს, მას „ფორესტი“ 1978 წელს ფლობდა.

მაკლარენი კი ბოლოს გერმანიაში, კერძოდ კი „ვოლფსბურგში“ მუშაობდა, ოღონდ იქიდან თებერვალში გაუშვეს და მას მერე ისვენებდა. გაზაფხულზე მის სახელს პრემიერლიგის ბევრ გუნდთან აკავშირებდნენ. ამბობდნენ, რომ მას რომელიმე მათგანი ზაფხულში აუცილებლად მიიწვევდა სამუშაოდ. ბოლო ხანს, მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა „ასტონ ვილამაც“ შეიყვანა მაკლარენი ეგრეთ წოდებულ შორთ-ლისტში, მაგრამ შემდეგ გული აუცრუვდა.

მოგეხსენებათ, სტივ მაკლარენს საქმეს რეპუტაცია უფუჭებს. ეს ის მწვრთნელი გახლავთ, რომლის დროსაც ინგლისის ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ჯგუფში ჩარჩა და, კაცმა რომ თქვას, მას მერე თვალში ვერც გამოიხედა. ინგლისიდან დიდი ყიჟინით გაგდების შემდეგ მაკლარენი ჰოლანდიაში წავიდა, სადაც, 2010 წელს, „ტვენტე“ ჩემპიონი გახადა, მაგრამ თანამემამულეთა გული ამით, რა საკვირველია, ვერ მოიგო.

მიმომხილველები წერენ, რომ „ნოტინგემ ფორესტი“ მისთვის შესაფერისი გუნდია. „ფორესტმა“ ზემოხსენებული ბილი დევისის ხელმძღვანელობით პრემიერლიგის საგზური ვერ მოიპოვეს — პლეი ოფში კი მოხვდნენ, მაგრამ იქ „სუონსისთან“ დამარცხდნენ.

დევისი შოტლანდიელი სპეციალისტია, რომელიც ნოტინგემის გუნდში 2009 წელს მივიდა და, მართალია, გუნდი სწორი მიმართულებით წაიყვანა, კლუბის ხელმძღვანელობასთან დღენიადაგ კონფლიქტი ჰქონდა. ის დირექტორატს ახალი ფეხბურთელების საყიდლად ფულს სთხოვდა, დირექტორატი კი იაფი წარმატების იმედად იყო.

პირველ წელინადს დევისმა ახალ ფეხბურთელებში 4 მილიონი ფუნტი დახარჯა, რის შემდეგაც ზედიზედ 19 შეხვედრაში არ დამარცხებულა. ასეთმა მუშაობამ, 2010 წლის სეზონის ბოლოს გუნდი პლეი ოფამდე მიიყვანა, მაგრამ ეს ეტაპი იმ წელიწადსაც გადაულახავი აღმოჩნდა — „ბლექპულთან“ „უემბლიზე“ 6:4 დამარცხდა. ეს ის „ბლექპულია“, რომელმაც გასულ სეზონში, პრემიერლიგაში, შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მაინც „ჩემპიონშიპში“ დაბრუნდა.

● ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ

ნემანია ვიდიჩი

ᲬᲐᲕᲐ ᲕᲘᲓᲘᲩᲘ?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 29 წლის სერბი მცველის, **ნემანია ვიდიჩის** აგენტმა თქვა, რომ ხმები მისი კლიენტის „ოლდ ტრეფორდიდან“ წასვლის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. ვიდიჩს ინგლისის ჩემპიონთან კიდევ სამი წელიწადი აკავშირებს, მაგრამ დაირხა ჭორი, თითქოს მის გადაბირებას „იუვენტუსი“ ცდილობდა და გარიგებას არაფერი აკლდა. აგენტმა **სილვანო მარტინამ** თქვა:

„ნემანია ის ფეხბურთელია, რომლის შეძენაც ყველას უნდა. მე მას ამ გამოგონებული ტრანსფერის თაობაზე ვკითხე, მან კი მიპასუხა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი ვარ და დიდებულ ხელფასსაც მიხდიან, შესაბამისად სხვაგან გადასვლის არანაირი მიზეზი არ მაქვსო. მას გაუკვირდა, რატომ უნდა გადავიდეს ინგლისიდან იტალიაში, სადაც ფეხბურთი კრიზისშია. ერთი სიტყვით, ვიდიჩის პასუხი მეტისმეტად ნათელი იყო: ის რჩება გუნდში, სადაც შესანიშნავად გრძნობს თავს“.

გვერდი მოამზადა

ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ინტერვიუ. სტივ მანდანდა

სტივ მანდანდამ ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა

მომავალი მხოლოდ ველოდრომზე

სანაკრებო შეკრების დასრულების შემდეგ მარსელის "ოლიმპიკის" მეკარე სტივ მანდანდა ჟურნალისტებთან გასული სეზონის შეჯამებას დათანხმდა. ის სეზონის ყველაზე საინტერესო მომენტებს იხსენებს.

- მძიმეა კაპიტნის როლი?

- ამ როლს თანდათან ვეჩვევი. სიმართლე რომ ვთქვათ, მე სხვა კაპიტნებივით სხვების კარგად მოტივირება არ გამომდის, მაგრამ ყველაფერში რასაც მინდორზე ვაკეთებ, ვცდილობ, ჩემი თანაგუნდელებისთვის მისაბაძი მაგალითი ვიყო. ვცდილობ, ვიყო კარგი კაპიტანი. ამ თემაზე ბევრჯერ ვილაპარაკე მრავლისმნახველ და დაბრძენებულ კაპიტნებთან, მაგალითად გაბი ჰაინცესთან, ბენუა შეირუსა და ედუარ სისესთან. ასე რომ, მათთან ურთიერთობამ და ყოველი მატჩის შემდეგ მიღებულმა გამოცდილებამ მომცა საშუალება, რომ გავმხდარიყავი იმაზე ბევრად უკეთესი კაპიტანი, ვიდრე ამ სტატუსის მინიჭებამდე ვიყავი.

- მომავალ სეზონშიც თქვენ იქნებით გუნდისთავი?

- დიახ, ამის იმედი ნამდვილად მაქვს. თუმცა ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს? ფეხბურთში ხომ ყველაფერი ელვის სისწრაფით ხდება ხოლმე. ერთადერთი რაშიც დარწმუნებული ვარ, ის არის, რომ ჩემს მომავალს მხოლოდ "ველოდრომზე" ვხედავ. ვერც ერთ მიზეზს ვერ ვხედავ, რაც ხელს შემიშლის, მომავალ წელს კაპიტნად დავრჩე.

- თქვენ ლიგა 1-ის საუკეთესო მეკარედ დაგასახელეს.

- მოხარული ვიყავი, როცა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საუკეთესო მეკარედ მაღიარეს. ეს ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის, როცა ვიაზრებ, რომ სეზონის განმავლობაში მრავალმა გოლკიპერმა მოახერხა თავისი საუკეთესო თვისებების ნარმოჩენა. მოხარული ვარ, ამ პრიზის მფლობელი რომ გავხდი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი იმ დიდი შრომის დაფასება, რაც აქამდე გამინევია. გულწრფელად გეტყვით, ნებისმიერ სიტუაციაში გამიხარდებოდა დამსახურებული პრიზის მიღება.

- გაიხსენეთ საუკეთესო მომენტი აწ დასრულებული სეზონიდან.

- ყველაზე ლამაზი? ლანსში აღებულ მომენტს გამოვყოფდი, როცა 0:0-ზე ურთულესი ბურთი ავიღე. ლამაზიც იყო და მნიშვნელოვანიც, რადგან შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი გამოდგა.

- რა როლი ითამაშა თქვენმა პირადმა მწვრთნელმა ნიკოლა დეონამ?

- ნიკოსთან ერთად "ავრშიც" მიმუშავია. მან ყველაზე უკეთ იცის ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები და ისიც იცის, რას ვფიქრობ მასზე. ჩვენ ერთად ძალიან ბევრს ვმუშაობთ ჩემი თამაშის გასაუმჯობესებლად. რეგულარულად ვუყურებთ "მარსელის" ჩანაწერებს, ვარჩევთ სათამაშო ეპიზოდებს, ვმსჯელობთ შეცდომებზე, რაც დავუშვი. თუმცა მხოლოდ კრიტიკას არ ვუნდებით, ყოველთვის აღვნიშნავთ მომენტებს, როცა კარგად ვითამაშე. ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებთ, რომ სამომავლოდ გავითვალისწინო. ჩვენ ნაყოფიერი სამუშაოსთვის მშვენიერი პირობები გვაქვს შექმნილი. ნიკოლას სჯერა არა მხოლოდ ჩემი, არამედ "მარსელის" სხვა მეკარეებისაც. მთელი ეს დადებითი აურა კი ხელს მაძლევს, რათა გავიზარდო როგორც პროფესიონალი.

- მომავალი სეზონისთვის შექმნილი ფორმა თუ ნახეთ?

- დიახ, სამწუხაროდ მხოლოდ ნახვა მოვასწარი, ჩაცმა - ვერა. შემიძლია ვთქვა, რომ ლურჯ ფერებში რომელიც არის გადაწყვეტილი, ძალიან ლამაზია. ადრე უფრო ცისფერი ფორმა მომწონდა, რომელიც გასვლით შეხვედრებში გვეცვა ხოლმე და ახლა ორივე ძალიან კარგია. ჩემგან გულწრფელი აპლოდისმენტები ფორმის დიზაინერებს.

გამოსათხოვარი მატჩი

კანუ გაუცილეს



ნვანკვო კანუ

თავის დროზე **ნვანკვო კანუ** აფრიკაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად ორჯერ დასახელდა. ვეტერანი 34 წლისა შეიქნა თუ არა, იფიქრა, რომ იყო დრო, ნაკრებს დამშვიდობებოდა. მასთან გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში შავი კონტინენტის მთელი საფეხბურთო მილეთი შეიყარა. ნიგერიის ნაკრები 14 ათასი გულშემატკივრის წინაშე დანარჩენ აფრიკას დაეჭიდა. ქვემოთ უბრალოდ ჩამოგითვლით მათ ვინაობას, ვინც ამ შეხვედრაში კანუს პატივი დასდო: თავად ნვანკვო კანუ, **ჯეი ჯეი ოკოჩა, ტაიე ტაივო, უჩე იკეჩუკვუ, მუტიუ ადეპოჟუ, იაკუბუ აიგბენი, იკე შორუნმუ, პიტერ რუფაი, უჩე კალუ** (ნიგერია), **პიტერსიდე იდა** (სამხრეთ აფრიკა), **სამუელ ეტოო, რიგობერტ სონგი** (კამერუნი), **სალი მუნტარი, სამუელ კუფური** (განა), **ემანუელ ადებაიორი** (ტოგო), **კალუშა ბვალია** (ზამბია), **ემანუელ ებუე** (კოტ დ'ვუარი).

შეკრების მთავარმა გმირმა ორივე ნაკრებში თითო ტაიმი ითამაშა. პირველში მან ნიგერიის სახელით გოლის გატანაც შეძლო. კანუს გარჯას დუბლით შეეშველა უჩე იკეჩუკვუ, სტუმართა შორის კი თავი ადებაიორმა გამოიჩინა. საბოლოოდ ნიგერიამ 3:1 გაიმარჯვა.

კიევის დინამო

ყოველ ჯერზე სამი მილიონით მეტი

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** გულდანყვეტილმა აღნიშნა, რომ უცხოელი მაღალი კლასის ლეგიონერები თავს იკავებენ უკრაინაში კარიერის გაგრძელებისგან; თუმცა იქვე დაამატა, რომ ესმის მათი. მონოლოგის რეჟიმში გთავაზობთ მისი პრესკონფერენციის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს:

- რამდენიმე დღის წინ მითხრეს, თქვენ 30-40 მილიონის დახარჯვას გეგმავთ ტრანსფერებში, მაგრამ ჯერ არავინ გიყიდიათო. დიახ, ჯერ არავინ გვიყიდია, მაგრამ ვაკვირდებით. იური სიომინმა გასაგებად თქვა, ვიყიდით ან მაღალი კლასის ფეხბურთელებს, ან არავისაც არ შევიძენთო. ანუ ვყიდულობთ დღევანდელი დღის და არა პერსპექტივისთვის. უკვე მზა ვარსკვლავების გადმობირება კი ნარმოუდგენლად რთულია. პირდაპირ გეტყვით, კიევის "დინამოში" გადმოსვლის პერსპექტივას ისინი დიდი ენთუზიაზმის გარეშე ეკიდებიან. ამის მიუხედავად ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და მომავალშიც ვეცდებით ისეთი ფეხბურთელების მო-

იგორ სურკისს არ უკვირს, რომ ფეხბურთელები დინამოში გადასვლაზე უფხს ითრევენ

ნახვას, რომელთაც შეეძლებათ ხვალვე მოუტანონ სარგებელი გუნდს. აუცილებლად გვჭირდება შუა ხაზის ფეხბურთელი, რომელიც ოგნენ ვუკოვიჩს სამუშაოს შუამსუბუქებს. შეუძლებელია მან მთელი სეზონი შესვენების გარეშე მარტომ ჩაატაროს. გუნდს მისი სრულფასოვანი დუბლიორი სჭირდება. გვჭირდება ასევე მაღალი კლასის თავდამსხმელი. კარაჩოლო? ჩვენ "ბრეშასთან" უკვე ყველაფერზე მოლაპარაკებულები ვიყავით, ფეხბურთელთან შეთანხმებული გვქონდა ასევე პირადი კონტრაქტიც. ის ჩამოვიდა კიევში, ნახა ბაზა, დაათვალიერა კიევი და გაფრინდა სამშობლოში. იქიდან შემოგვითვალა, ბოდიში, ნოემბერში ჩემმა ცოლმა უნდა იმშობიაროს და მირჩევნია საკუთარი თავი ოჯახს მივუძღვნაო. ვიფიქრეთ, რომ ღირდა მასთან კიდევ ერთხელ დალაპარაკება, მაგრამ სიომინმა გამოგვიცხადა: რაკი არ მოინდომა, ასეთი ფეხბურთელი არ მჭირდებაო. ვეთანხმები, "დინამოში" ისეთი ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ, რომლებსაც ეს მთელი სულითა და გულით ენდომებათ.

"ბენფიკას" კარდოსოზე რამდენჯერმე შევთავაზეთ ჩვენი პირობები. იცით, როგორ იქცეოდნენ ლისაბონელები? ყოველ ახალ წინადადებაზე შემხვედრი წინადადებით გვპასუხობდნენ და ჩვენს შეთავაზებულზე სამი მილიონით მეტს ითხოვდნენ. რა ხდება? უბრალოდ ფეხბურთელის გაყიდვა არ სურთ, თავად ფეხბურთელსაც არ უნდა ჩვენთან და კლუბი ფულს მხოლოდ იმიტომ ზრდის, რომ იქნება შვცდეთ და დავთანხმდეთ. თუ გახსოვთ, შარშან კარდოსოს ყიდვას "შახტარიც" ცდილობდა, გუნდი, რომელსაც ჩვენზე ბევრად მეტის დახარჯვის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ ბოლოს მათაც უარი თქვეს ამ თავდამსხმელზე.

პარი სენ-ჟერმენი

კლოდ მაკელელეს კარიერის პიკი მადრიდის რეალი იყო

გამეირო პარიზელია

კევინ გამეიროსთან დაკავშირებულ საგას ბოლო მოეღო. მას შემდეგ რაც ფრანგულმა პრესამ კლუბი უმოქმედობაში დაადანაშაულა, ხელმძღვანელობამ საფრანგეთის ნაკრების ორი წევრი უკვე გადაიბირა და მესამეს უმიზნებს. **ნიკოლა დუშეზის** შეძენის შემდეგ, კვირას, გვიან ღამით პარიზულმა კლუბმა დაადასტურა, რომ მომავალი სეზონიდან "სამფეროვანთა" შეტევების ლიდერი **კევინ გამეირო** მათ რიგებში ითამაშებს. ამბობენ, რომ ეს **ანტუან კომბუარეს** პირადი ინიციატივა იყო. 24 წლის თავდამსხმელმა გასულ სეზონში 36 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა და 3 საგოლე გადაცემა მიითვალა. აი, რას აცხადებს თავად ფეხბურთელი: *"ლორიანში" გატარებული სამი შესანიშნავი სეზონი არასდროს დამავიწყდება. აქ მე გავიზარდე როგორც ფეხბურთელი და მივიღე უზარმაზარი გამოცდილება, რაც უფრო ამბიციურ კლუბში დამკვიდრების საშუალებას მომცემს".* პსჟ-ს ვებ გვერდის ცნობით, თავდამსხმელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

პარიზული კლუბის წარმომადგენლები კვალიფიციური საყრდენი ნახევარმცველის ძებნით არიან გართულნი. მოგეხსენებათ **კლოდ მაკელელემ** კარიერა დაასრულა, მისი ღირსეული შემცვლელის მოძებნა კი ურთულესი საქმეა. თავდაპირველად სკაუტებმა მზერა "ბორდოს" 29 წლის ნახევარმცველ **ალუ დიარას** მიაპყრეს, მაგრამ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მის გადასაბირებლად "მარსელიც" იბრძვის და კარიერის გაგრძელება სწორედ სამხრეთში ურჩევნია. სწორედ ამიტომ აქცენტი ახლა უკვე სხვა ფეხბურთელზე კეთდება. ესაა "სენტ ეტიენის" 24 წლის მოთამაშე **ბლეზ მატუიდი**, რომელმაც საფრანგეთის ნაკრების აღმოსავლეთევროპულ ტურნეში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ფასი, რომელსაც "მწვანეები" ("სენტ ეტიენის" მეტსახელი) ითხოვენ, მატუიდის კალიბრის ფეხბურთელში სავსებით მისაღებია – 10 მილიონი ევრო. "ეკიპის" ვარაუდით, ტრანსფერის მოგვარება მხოლოდ დროის საკითხი უნდა იყოს.

ზემოთ კლოდ მაკელელე ვახსენეთ. 38 წლის ფეხბურთელმა თავისი ფანტასტიკური კარიერა დაასრულა და ბუნებრივია, რომ მისი საფეხბურთო ცოდნისა და გამოცდილების პატრონს კლუბი უსამსახუროდ არ დატოვებდა. კლოდი სამართლიანად მიიჩნეოდა 21-ე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საუკეთესო (თუ საუკეთესოდ არა) საყრდენ ნახევარმცველად მთელ მსოფლიოში. მან თავისი კლასი ყველგან დაამტკიცა, სადაც კი უთამაშია, იქნებოდა ეს "ნანტი", მადრიდის "რეალი", "ჩელსი" თუ საფრანგეთის ნაკრები. "პარი სენ-ჟერმენმა" მას სასკაუტო სამსახურში დასაქმება და კლუბის ელჩის საპატიო თანამდებობა შესთავაზა.

ამბები

ტოივონენი ჰოჯსონთან?

"ეინდჰოვენის" წამყვანი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი არა და არ ცხრება, რის გამოც თავად ჰსვ-ს მომავალი სულ უფრო ბურუსით მოცული ხდება. ჰოლანდიურ კლუბს ნამდვილად არ შეუძლია მდიდარი ევროპული კლუბების შემოთავაზებებზე უარი თქვას, რადგან მას ამის ფინანსური რესურსი უბრალოდ არ გააჩნია. "ვესტ ბრომვიჩის" თავკაც **როი ჰოჯსონს** ჯერ კიდევ შარშან "ლივერპულში" მუშაობისას სურდა თავისთან შვედი **ოლე ტოივონენის** გადაყვანა, მაგრამ მაშინ ამ წინადადებაზე უარი თავად ფეხბურთელმა თქვა და გარიგება ჩაიშალა. ამის მიუხედავად, ჰოჯსონს ფეხბურთელის მიმართ სიმპათია არ განელებია და მისი წაყვანა ახლა უკვე "ვესტ ბრომვიჩში" მოინდომა. ერთადერთი სერიოზული შემაფერხებელი გარემოება, რამაც ტრანსფერი შეიძლება ახლაც ჩაშალოს, ეს ფეხბურთელის ფასია. ამ ფულს შარშან "ლივერპული" იხდიდა, მაგრამ მოეძევება თუ არა ის მეორე ინგლისურ კლუბს, ძნელი სათქმელია – ლაპარაკია 13 მილიონ ევროზე. ოლე "ფილიპს არენაზე" 2009 წლის იანვრიდან თამაშობს და 75 შეხვედრაში 34-ჯერ გამოიჩინა თავი. შეგახსენებთ იმასაც, რომ "ეინდჰოვენმა" უკვე დაკარგა ერთი ლიდერი, უნგრელი **ბალაშ ჯუჯაკი**, ვინც კარიერას მახაჩყალის "ანუიში" განაგრძობს.

მარსელი ირჩევს პაბულს

"მარსელი" **ტაიე ტაივოს** "მილანში" ტრანსფერისა და **გაბრიელ ჰაინცეს** გუნდიდან წასვლის შემდეგ ახალ კვალიფიციურ მცველებს ეძებს. გუნდის სამწვრთნელო შტაბმა უკვე იმსჯელა რამდენიმე კანდიდატურის შესახებ. გამოცემა "ლა პროვანსის" ინფორმაციით, მენეჯერებმა პირველი ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგეს - სამხრეთელებს "ტოტენჰემიდან" საფრანგეთის ნაკრების ცენტრალური მცველის **იუნეს კაბულის** შეძენა სურთ. 26 წლის ახმახ სტოპერს, **ვილიამ გალასისა** და **მაიკლ დოუსონის** გადამკიდეს, "დეზების" რიგებში სათამაშო პრაქტიკა აკლია. პრემიერლიგის ბოლო სეზონში მან სულ 21 შეხვედრა ჩაატარა და აქედან 2-ჯერ შეცვლაზე ითამაშა.

მორიგი ფრანგი არსენალში?

"სენტ ეტიენის" 21 წლის ცენტრალური თავდამსხმელი **ემანუელ რივიერი** აცხადებს, რომ მისთვის უდიდესი პატივია ის, რომ მისი სამსახურით ლონდონის "არსენალი" დაინტერესდა. *"ბუნებრივია, "არსენალის" ინტერესი ჩემდამი დიდი ამბავია. მე ახალგა ზრდა ვარ და ასეთი პერსპექტივა ჩემს კარიერას დიდად წაადგება კიდეც, მჯერა, რომ თუკი არსენ ვენგერი ვინმეთი დაინტერესდა, მას დიდი პოტენციალი აქვს. ჩემთვის დიდი პატივია ისიც, რომ ისეთ გენიალურ თავდამსხმელს მადარებენ, როგორიც ტიერი ანრია. კარიერის მიწურულს ბედნიერი ვიქნები, თუ იმის ნახევარს მივაღწევ, რასაც ის შესწვდა",* – განუცხადა მან "სქაი სპორტს".

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● ბუნდესლიგა. სეზონის შეჯამება: პენალტისტები

ნური შაჰინს პენალტი ამ შემთხვევაში მაინცის მეკარე კრისტიან ვეტკლომ აუღო

რაც შაჰინს არ შეეძლო

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა სამიდან ვერც ერთი თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა

დასრულდა თუ არა სეზონი, „კიკერმა" ბუნდესლიგა 2010/2011-ის სტატისტიკისა და შედეგების შეჯამება დაიწყო და ტრადიციული ბალანსიც გამოაქვეყნა, თუმცა აქამდე თქვენი ყურადღება სეზონის შემაჯამებელ ციფრებზე და ანალიზებზე არ გაგვიმახვილებია, რადგან სასაუბრო და განსახილველი სხვაც ბევრი იყო. ახლა კი, როცა შედარებით „მკვდარი სეზონია" და სატრანსფერო ორომტრიალიც არ გახურებულა ისე, როგორც ეს ივლის-აგვისტოშია ხოლმე, თამამად შეგვიძლია, ესა თუ ის საინტერესო ფაქტები მიმოვიხილოთ. დღეს რუბრიკის მთავარი თემა ბუნდესლიგის გასულ სეზონში შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმებია.

მეკარეებს, მცველებს და საერთოდ გუნდებს პენალტების აკიდება ყველაზე ნაკლებად „ლევერკუზენთან" მატჩების დროს სურდათ, რადგან სწორედ „ლევერკუზენშია" ფეხბურთელი, რომელიც თერთმეტმეტრიანი დარტყმების ნამდვილი ოსტატია. ეს გახლავთ ზოგადად მთელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, „ლევერკუზენის" 24 წლის ჩილელი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** (სწორედ ის, რომელსაც ახლა „ბაიერნი" და „ნაპოლი" ეპატიჟებიან), რომელმაც ამ სეზონში ყველაზე მეტი, ექვსი პენალტი დაარტყა და ექვსივე გაიტანა. მისი ანტიპოდი კი არც მეტი, არც ნაკლები, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული **ნური შაჰინია** (დორტმუნდის „ბორუსიადან" მადრიდის „რეალში" გადავიდა) – ამ უკანასკნელმა 3 პენალტი დაარტყა და ვერცერთი (!) ვერ გაიტანა.

ვიდალს „კიკერის" გოლს პლუს პასის რეიტინგში 22 ქულა დაუგროვდა (10 გოლი, 12 პასი) და ამ მხრივ საუკეთესო ხუთეულში შევიდა, რაშიც, ცხადია, პენალტებიც ძალიან წაადგა. აღსანიშნავია ისიც, რომ არტურომ ექვსივე თერთმეტმეტრიანი პირველ წრეში გაიტანა, სეზონის მეორე ნახევარში კი ლევერკუზენელებს ერთი პენალტიც კი არ მოუპოვებიათ.

პენალტისტების რეიტინგში ვიდალს სამი ისეთი ფეხბურთელი მოსდევს, რომელთა გუნდები მთელი სეზონის განმავლობაში გადარჩენისთვის იბრძოდნენ – **თეოფანის გეკასი** (აინტრახტი), **ზდრავკო კუჟმანოვიჩი** (შტუტგარტი) და **ფილიპ დემსი** (მიონხენგლადბახის ბორუსია). ამ სამიდან ორის გუნდი მართლა გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას, გეკასი და „აინტრახტი" კი ელიტიდან გავარდნენ. რაც შეეხება რეიტინგს: სამივემ ოთხ-ოთხი პენალტი დაარტყა და ყველა გაიტანა.

ვიდალის დარი შედეგის ჩვენება (ექვსი გატანილი პენალტი) „ფრაიბურგის" გოლეადორ **პაპის დემბა სისეს** და „ვერდერის" ვეტერან კაპიტან **ტორსტენ ფრინგსსაც** შეეძლოთ, მაგრამ პირველმა ექვსი მცდელობიდან ოთხი გაიტანა, მეორემ კი სულაც მხოლოდ სამი.

ყველაზე მეტი გაცუდებული თერთმეტმეტრიანი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნური შაჰინისაა – ფეხბურთელი, რომელიც პირველ, მეორე და მესამე ბუნდესლიგებში მოასპარეზე მოთამაშეებმა სეზონის საუკეთესოდ აღიარეს, ჯიუტად ურტყამდა პენალტებს და ვერც ერთი ვერ გაიტანა. ისე, „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** მესამე გაცუდებული თერთმეტმეტრიანის შემდეგაც თქვა, ასჯერ რომ დაარტყას და ვერც ერთი ვერ შეაგდოს, ჩვენი პენალტისტი მაინც ნური შაჰინი იქნებაო – აი, ასეთი კარგი ფსიქოლოგია კლოპი. სამაგიეროდ, შაჰინმა მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ამიტომაც იყიდა „რეალმა". მთავარია, თამაში გააგრძელოს ასე, თორემ პენალტებს სხვები დაარტყამენ...

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ორჯერ ისე მოხდა, შაჰინი მოედანზე არ იმყოფებოდა, დორტმუნდელებს კი პენალტი უნდა დაერტყათ. ნიშნულთან ერთხელ **ლუკას ბარიოსი** მივიდა, ერთხელ კი - **დედე**. გაგიკვირდებათ და თერთმეტმეტრიანები მათაც ვერ გამოიყენეს. მოკლედ, გერმანიის ჩემპიონებს ამ სეზონში პენალტების გატანა არ ეწერათ.

გასული სეზონის ყველა პენალტისტი

ფეხბურთელი	დაარტყა/გაიტანა
არტურო ვიდალი (ლევერკუზენი)	6/6
თეოფანის გეკასი (აინტრახტი)	4/4
ფილიპ დემსი (ბორუსია მ)	4/4
ზდრავკო კუჟმანოვიჩი (შტუტგარტი)	4/4
პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი)	4/6
ანდრე შიურლე (მაინცი)	3/4
ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი)	3/6
დიდიე ია კონანი (ჰანოვერი)	2/2
სეიად სალიხოვიჩი (ხოფენჰაიმი)	2/2
გილფი სიგურდსონი (ხოფენჰაიმი)	2/2
ლუკას პოდოლსკი (კიოლნი)	2/2
ფლორიან გრუნსი (ზტ. პაული)	2/2
სანდრო ვაგნერი (ვერდერი)	2/3
ფილიპ ლამი (მაინრი)	2/3
აარონ ჰანტი (ვერდერი)	1/1
მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი)	1/1
რუუდ ვან ნისტელროი (ჰამბურგი)	1/1
ზე რობერტო (ჰამბურგი)	1/1
სერჟიო პინტუ (ჰანოვერი)	1/1
ვედად იგიშევიჩი (ხოფენჰაიმი)	1/1
ივო ილიჩევიჩი (კაიზერსლაუტერნი)	1/1
ტიმი სიმონსი (ნიურნბერგი)	1/1
მანუელ ხურადო (შალკე)	1/1
მათიას ლემანი (ზტ. პაული)	1/1
ტიმო გეგჰარდტი (შტუტგარტი)	1/1
კრისტიან მენტნერი (შტუტგარტი)	1/1
მარიო გომეზი (მაინრი)	1/2
ხავიერ პინოლა (ნიურნბერგი)	1/2
კლაუს იან ჰუნტელაარი (შალკე)	1/2
ლუკას ბარიოსი (ბორუსია დ)	0/1
დედე (ბორუსია დ)	0/1
სრდიან ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი)	0/1
ოიგენ პოლანსკი (მაინცი)	0/1
გასტიან შვაინშტაიგერი (მაინრი)	0/1
კრისტიან ვოლფი (ნიურნბერგი)	0/1
ედინ ჯეკო (ვოლფსბურგი)	0/1
გრაფიტე (ვოლფსბურგი)	0/1
კაკუ (შტუტგარტი)	0/2
დიეგო (ვოლფსბურგი)	0/2
ნური შაჰინი (ბორუსია დ)	0/3

● ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერი

შვაინშტაიგერი ერთიანულ ბიბლიოთეკა მილანში?

როსონერიმ 40 მილიონი გაამზადა

„ბაიერნი" უკვე დატოვეს ჰამით ალთინთოფმა (მადრიდის „რეალში" გადავიდა) და მიროსლავ კლოზემ (რომის „ლაციოს" მიაშურა). ახლა კი ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ შესაძლოა, რეკორდმაისტერი ერთ-ერთმა უმთავრესმა ფეხბურთელმა, ბასტიან შვაინშტაიგერმაც დატოვოს. ჩვენი იტალიელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ლიდერს „მილანი" უმიზნებს. „კორიერე დელო სპორტი" გუშინდელ ნომერში წერდა, „როსონერი" მზადაა, გერმანელ ნახევარმცველში დიდი თანხა გაისროლოსო.

35-დან 40 მილიონამდე

ხსენებულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ „მილანი" მზადაა, შვაინშტაიგერში 35-დან 40 მილიონამდე გადაიხადოს. აქტიურობას ჯერ მხოლოდ იტალიური მხარე იჩენს, მიუნხენში კი ეს ცნობა სასაცილოდაც არ ეყოთ – ბავარიელებმა მხოლოდ ის თქვეს, რომ შვაინის გაყიდვა გამორიცხულია. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რას იტყვის თვითონ 26 წლის ნახევარმცველი, რომელიც ბოლო დროს მიუნხენური ყოფით კმაყოფილი არ იყო. თუმცა დეკემბერში შვაინშტაიგერმა „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2016 წლამდე აქვს.

უდიდესი ტკივილებით ვთამაშობ ხოლმე და ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმუმი გავიღო. საბოლოო ჯამში კი მაინც იდიოტი გამოვდივარ - ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად დიდი ხანია, „ბაიერნში" ვთამაშობ", - თქვა შვაინშტაიგერმა აპრილში.

სწორედ ეს განცხადება გაახსენდათ ჩვენს გერმანელ კოლეგებს და ამიტომაც ფიქრობენ, რომ სულაც არაა გამორიცხული, ბასტიანმა „მილანში" გადასვლა მართლაც მოისურვოს. ასეთ შემთხვევაში, ბავარიელებს მისი შეჩერება გაუჭირდებათ.

თუმცა ფაქტია ისიც, რომ შვაინშტაიგერი „ბაიერნის" მთავარი ფიგურაა და ახალ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** ის ძალიან სჭირდება. მიუხედავად ნახევარდაცვაში უდიდესი კონკურენციისა (**ჯროსი, ტიმოშჩუკი, პრანიჩი, ლუის გუსტავო**),

ბასტიან შვაინშტაიგერით „მილანი" დაინტერესდა

ბასტიანს არაერთხელ უთქვამს, რომ მიუნხენში ბედნიერია, მაგრამ გასულმა სეზონმა, რომელშიც რეკორდმაისტერმა ყველას იმედები გაუცრუა, შვაინშტაიგერის განწყობაზეც იმოქმედა. ბასტიანი ღიად ალაპარაკდა იმაზე, რომ მიუნხენელი ქომაგები, ჟურნალისტები და კლუბის ხელმძღვანელები მას ჯეროვნად არ აფასებენ.

გაზაფხულზე შვაინშტაიგერს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მას „მოკრძალებული შეფი" უწოდეს, შვაინიზე გაჟღერებული მესიჯები კი ყოველთვის ასეთი შინაარსის იყო: *„ახალი კონტრაქტი, ძველი პრობლემა: ბასტიანი ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილ ლიდერად!"* სხვადასხვა ექსპერტები ალაპარაკდნენ, შვაინის ლიდერობა არ შეუძლიაო, რის გამოც ბასტიანი ძალიან გაბრაზდა და ყველას და ყველაფერს შეუტია.

„მოკრძალებული შეფი სულაც არ ვარ! საკმარისად დიდი ხანია, რაც „ბაიერნში" ვთამაშობ და ვფიქრობ, მეტ დაფასებას ვიმსახურებ. და არა ისე, როგორც სხვები ხედავენ, სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ხანდახან შვაინის სასტარტოში ადგილი „დონ იუპის" ხელშიც გარანტირებული ექნება. ცნობილია ისიც, რომ ბავარიელები „ლევერკუზენის" საყრდენ ნახევარმცველ **არტურო ვიდალსაც** უმიზნებენ.

რიბერიც წავა და მას ნასრი შეცვლის?

ზოგადად, „ბაიერნთან" მიმართებაში სპეკულაციებს ბოლო არ უჩანს. ინგლისურ პრესაში დაიწერა, რომ რეკორდმაისტერი ირლანდიელ თავდამსხმელ **შეინ ლონგს** (რედინგი) და ნიჭიერ შემტევ ნახევარმცველ **დეილ ჯენინგსს** (ტრანმერი) უმიზნებს. გუშინ „დეილი მირორი" წერდა, რომ „ბაიერნმა" „არსენალის" ფრანგ გარემარბ **სამირ ნასრის** დაადგა თვალი – იმის გამო, რომ **ფრანკ რიბერი** წასვლაზე ფიქრობსო. არადა, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ რიბერის „ბაიერნიდან" შესაძლო წასვლაზე ვისაუბროთ – მას რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული.

● ვოლფსბურგი

ფელიქს მაგათმა კრისტიან პანდერს დაუმიზნა

წაიყვანს მაგათი პანდერს?

ფაქტია, შალკეს კრისტიანი აღარ სჭირდება...

ამას წინათაც ვწერდით, რომ **ფელიქს მაგათი** „ვოლფსბურგში" ძირეულ ცვლილებებს გეგმავს. როგორც იცით, 57 წლის სპეციალისტი „მგლებში" გასული სეზონის მიწურულს დაბრუნდა და პროგრამა მინიმუმი წარმატებით შეასრულა – გუნდი, რომელიც 2009 წელს ყველასათვის მოულოდნელად თვითონვე გახადა გერმანიის ჩემპიონი, მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა. ახლა კი, „დესპოტი ფელიქსი" ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას და როგორც უკვე გაუწყეთ, არაერთ ფეხბურთელს უშვებს. უახლესი ინფორმაციით, 32 წლის თავდამსხმელის, **გრაფიტეს** „ალ აჰლიში" გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია და „მგლები" ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონ ევროს მიიღებენ.

„ვოლფსბურგერ ნახრიხთენი" კი წერს, რომ მაგათს „შალკედან" „ვოლფსბურგში" გერმანიის ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველის (ორი მატჩი ბუნდესგუნდში), 27 წლის **კრისტიან პანდერის** წაყვანა უნდა. ფელიქსისთვის დაცვის მარცხენა ფლანგზე ყველაზე სასურველი მოთამაშე ჰამბურგელი **მარსელ იანსენი** გახლდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაგათს უარი შეუთვალა – ჰამბურგში ვრჩებიო. ახლა კი, ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ფელიქსმა პანდერს დაუმიზნა.

დიდი ხანია, პანდერს ფეხბურთი მაღალ დონეზე არ უთამაშია, რადგან ტრავმებმა გატანჯეს. თვითონ განსაჯეთ, ერთ დროს ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა გერმანელმა ფეხბურთელმა მარცხენა მუხლზე ზედიზედ ხუთი (!) ოპერაცია გაიკეთა. პანდერი ამბობს, მაგათთან „შალკეში" ახალ კონტრაქტზე უკვე შეთანხმებული ვიყავი, მაგრამ მერე მწვრთნელი შეიცვალა და ჩემი გელზენკირხენში დარჩენა უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგაო. საქმე ის არის, რომ „შალკემ" ახალი სეზონისთვის „მაინცის" მარცხენა მცველი **კრისტიან ფუხსი** იყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** კრისტიანზე სერიოზულად არ ფიქრობს. ასე რომ, ვოლფსბურგში ტრანსფერი რეალურია...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● რუბრიკის პრემიერა

დღეიდან და ყოველ სამშაბათს გთავაზობთ ახალ იუმორისტულ რუბრიკას

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის გონებრივ შესაძლებლობებზე ბევრს ლაპარაკობენ. როგორც ცნობილია, ტოტი არც ისე განათლებული ადამიანია. თვითონაც აღიარა, მხოლოდ ერთი წიგნი „პატარა უფლისწული“ მაქვს წაკითხულიო. მასზე ბევრ ანეკდოტსაც იგონებენ. ეს სასაცილო ამბები ტოტიმ შეკრიბა და წიგნად გამოსცა. მერე სკეტჩებად დადგა და ფილმად გადაიღო, სადაც მონაწილეობენ მისი მეგობრები — ალესანდრო დელ პიერო, ჯანლუიჯი ბუფონი, კრისტიან ვიერი, ანტონიო კასანო, ალესანდრო ნესტა, მარკო დელ ვეკიო და იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი...

ტოტი და სმოკინგი

ტოტი სმოკინგში გამოწყობილი მივიდა ერთ-ერთ წვეულებაზე, შესასვლელში ნარწერას შეხედა „NO SMOKING“... და გვერდზე მყოფ მეგობარს გადაულაპარაკა: „ხომ გითხარი, სმოკინგი არ უნდა ჩაგვეცვა“...

☺ ☺ ☺

აფერისტ!..

ტოტი ტბაში ბანაობს და დაიხრჩობა. რატომ არავინ მიეშველეთ, რომ ფართხალებდაო. — აბა, რა ვიცით, გვეგონა, აფერისტობდაო — ხალხმა.

☺ ☺ ☺

ორივე მაგარია

ტოტის ჰკითხეს: რას იტყოდით ამერიკა-ერაყის დაპირისპირებაზეო.

— ორივეს მაგარი გუნდი ჰყავს, ვნახოთ! — პასუხობს ტოტი.

☺ ☺ ☺

აქ უკვე წვიმს...

ტოტი თავსხმა წვიმაში აივანზე დგას და სველდება.

ცოლი ეძახის: — ფრანჩე, შემოდი სახლში, წვიმს!

ტოტი: „ჯობია, შენ გამოხვიდე, აქ უფრო კარგად წვიმს!“

☺ ☺ ☺

საიდან მილიონი?

როცა ტოტის უთხრეს, რომ მისი წიგნი მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა, გაოცებულმა თქვა: — „ეს შეუძლებელია, მე ხომ მხოლოდ ერთი წიგნი დავწერე?!“

☺ ☺ ☺

ადვოკატი, ანუ დამცველი

ფრანჩესკო სასამართლოში მოხვდა.

— ვინ არის თქვენი ადვოკატი?

— რა?

მოსამართლე: ანუ, ვინ იქნება თქვენი დამცველი?

ტოტი: პელიცოლი, პანუჩი, კივუ, კანდელა, მანსინი...

მოამზადა **სალომე ხარატიშვილმა**

● რომა

ტოტი: ამ რომას ყველაფერი შეუძლია

ფრანჩესკო ტოტი დარწმუნებულია, რომ მომდევნო სეზონში "რომას" ყველა მწვერვალის დაპყრობა შეუძლია. გუნდის უცვლელ კაპიტანს და უდავო ლიდერს ხშირად უწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, თუმცა მის მიერ გუშინ გაკეთებულ კომენტარს განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა. იტალიური პრესა ბევრს წერდა იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებდა კაპიტანი გუნდის მთავარ მწვრთნელად **ლუის ენრიკეს** დანიშვნის ფაქტს და როგორი ურთიერთობა ექნებათ ამ ორ ადამიანს. ყველასთვის ცნობილია, რომ ტოტი **კარლო ანჩელოტის** კანდიდატურას უჭერდა მხარს და ერთხელ, ესპანელი გამოუცდელ და არაკვალიფიციურ მწვრთნელადაც კი მოიხსენია. ენრიკე რომ გამოუცდელია, ეს ფაქტია და თავადაც აღიარებს, აი მეორე ეპითეტმა კი შეიძლება უკვალოდ არც ჩაიაროს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, "რომას" გულშემატკივრები ტოტის გუშინდელმა კომენტარმა ძალიან გაახარა და თუ რა იყო ასეთი სასიხარულო, ამას ქვემოთ შეიტყობთ:

"მიუხედავად იმისა, რომ ვისვენებ, "რომაში" მიმდინარე პროცესებს ყურადღებით ვადევნებ თვალს. ბევრს ჰგონია, რომ ლუის ენრიკეს მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ არ გამახარა, თუმცა ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება. არ დავმალავ, მართლა მსურდა, რომ კარლო ანჩელოტისთან გამართულიყო მოლაპარაკებები, მაგრამ რაკი კლუბის მესვეურებმა ასე გადაწყვიტეს, მათ არჩევანს ბოლომდე პატივს ვცემ. მით უმეტეს, ლუის ენრიკეზე კარგი წარმოდგენის ვარ და ვიცი, რომ მისი ფორმაციის "ბარსელონა B" საოცარ, ულამაზეს ფეხბურთს თამაშობდა. იმედია, ტრადიციას არც რომში დაარღვევს და ჩვენც ანალოგიურად გავირჯებით. მწვრთნელთან არასდროს მქონია პრობლემები და დარწმუნებული ვარ, რომ ენრიკეს შესანიშნავად გავუგებ. ამასთან, ყველანაირად მხარში დავუდგები, რადგან ახალგაზრდა სპეციალისტია და გარკვეულ საკითხებში დახმარება ნამდვილად დასჭირდება".

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რომაში" დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო **მატეო ბრიგიმ**. 30 წლის საყრდენი ნახევარმცველი "ჯენოაში" გადაბარგებასთან იყო ახლოს, თუმცა ბოლო მომენტში იტალიის დედაქალაქში დარჩენა ამჯობინა. მართალია, ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტიები ვერ მიიღო, მაგრამ გარისკა და კიდევ მინიმუმ ერთი წელი "რომას" ღირსებას დაიცავს. პრინციპში, ბრიგი არც არასდროს ყოფილა სასტარტოს შეუცვლელი წევრი და გამომდინარე აქედან, გარანტიები დიდად არც მოუთხოვია.

სავარაუდოდ, "რომაში" დარჩება **დავიდე პისაროც**, რომლის გადაბირების სურვილიც "ნაპოლიმ" გამოთქვა. ნეაპოლელები მზად არიან ხუთი მილიონი ევრო გადაიხადონ 31 წლის ნახევარმცველში, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ დედაქალაქელებმა ჩილელის გაყიდვა მოისურვონ. ამაზე 'რომას' სპორტული დირექტორის, **ვალტერ საბატინის** სიტყვები მეტყველებს:

"სიმართლე გითხრათ, კონკრეტულ ფეხბურთელებზე ლუის ენრიკესთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ თითქმის დარმწმუნებული ვარ, რომ დავიდ პისაროს გაყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება. ყველამ კარგად ვიცით, რომ ესპანელი "ბარსელონაში" მუშაობდა, ამ გუნდში კი სწორედ დავიდეს ტიპის ფეხბურთელებს აქვთ წამყვანი როლები. პისარო ისეთივე ტანმორჩილია, როგორიც ხავი და ინიესტა, მათსავით სწრაფია და ტექნიკური, არც მოედნის ხედვა დაეწუნება და არც პასი. გამომდინარე აქედან, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ლუის ენრიკემ მასთან განშორება მოისურვოს. დავიდეს მიმართ პირადად მე დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მიკვირდა კლაუდიო რანიერის, რომელიც მას ნაკლებად ენდობოდა. ვინჩენცო მონტელას დროს, ჩილელმა დაიბრუნა ძირითად შემადგენლობაში ადგილი და ვფიქრობ, რომ ის კიდევ არაერთი წელი გამოგვადგება".

ლაშა წიკლაური

● კალიარი

ფედერიკო მარკეტი

მარკეტი მარკეტში

დიდი ხანია, რაც **ფედერიკო მარკეტი** ღიად აცხადებს, რომ "კალიარის" დატოვება და კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება სურს. შეგახსენებთ, რომ ფედერიკო 2010 წლის მუნდიალზე **ჯანლუიჯი ბუფონის** რეზერვისტის სტატუსით გაემგზავრა და რადგან ამ უკანასკნელმა პირველივე შეხვედრაში ტრავმა მიიღო, ძირითადში სწორედ მას უწევდა ასპარეზობა. ეს ერთი შეხედვით ძალიან კარგი ამბავი, მარკეტის ცუდად შეუბრუნდა – მუნდიალზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება და მას შემდეგ სარდინიული გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი. "კალიარის" კარს **მიკელე აგაცი** იცავს და არც მომავალში აპირებს პოზიციების დათმობას. იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, მარკეტი ამ ზაფხულსაც ტრანსფერზე იქნება და სარდინიელები მასში ხუთ მილიონ ევროს მოითხოვენ. აი რა განაცხადა "კალიარის" პრეზიდენტმა, **მასიმო ჩელინომ**:

"უკვე დიდი ხანია მარკეტის წასვლა სურს, მაგრამ რეალური მყიდველი არ გამოუჩნდა და გამომდინარე აქედან, კვლავაც ჩვენთან ერთად უწევს ყოფნა. თუ გასულ ზაფხულს მისი ფასი ათ მილიონ ევროს შეადგენდა, წელს მხოლოდ ხუთზე იქნება ლაპარაკი. რამდენიმე კლუბისგან არის დაინტერესება და ვნახოთ, ყველაფერი მოლაპარაკების პროცესში გამოჩნდება. მარკეტი ნიჭიერი კიპერია, მაგრამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი. ეს აგაცის დამსახურებაა, რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს და როგორც ვატყობ, პოზიციების დათმობას არც მომავალში აპირებს".

თავად მარკეტი იმედგაცრუებულია, თუმცა ფარ-ხმალს არ ყრის და მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. მოვუსმინოთ 28 წლის კიპერს: *"სარდინიაზე მშვენივრად ვგრძნობ თავს, რადგან ეს ჩემი მშობლიური რეგიონია, მაგრამ მაკლია მთავარი: სათამაშო პრაქტიკა. არ არის სწორი, როდესაც ამბობენ, რომ უფრო ამბიციურ გუნდში მსურს კარიერის გაგრძელება – უბრალოდ, თამაში მინდა და "კალიარიდან" აბარგების გადაწყვეტილებაც ამად მივიღე. თუმცა, ერთია სურვილი და მეორე რეალობა. ვიცი, რომ ჩემით არაერთი გუნდი დაინტერესებულა და დღესაც დაინტერესებულია, მაგრამ საქმე მოლაპარაკების საწყის სტადიას ვერ სცდება. არ ვიცი, ამას განგებ აკეთებენ თუ არა "კალიარის" მესვეურები, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე ამ გუნდის რეზერვისტ მეკარედ ვრჩები. ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება ეს კოშმარი და გადავალ იქ, სადაც უფრო მეტად დამფასებენ. ჯერ ახალგაზრდა ვარ, არაერთი წელი შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში და მინდა ყველას დავუმტკიცო, რომ ჩამოსაწერი კიპერი არ ვარ. ასე რომ, დანებებას არ ვაპირებ – პირიქით, ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და ამ ზაფხულს აუცილებლად მოვნახავ ახალ გუნდს".*

ლაშა წიკლაური

საირმეს ღაბაღებბა 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით-ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ დაინტერესებული ადამიანი ვებგვერდის: www.sairme.com.ge შეიტყობთ, ხოლო თუ უკვე გადაწყვიტეთ უნიკალურ კურორტზე დაისვენოთ ან ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, მაშინ უნდა დარეკოთ 240-45-45, 899 09 37 03 ან დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით info@sairme.com.ge

ჭიდაობა. თბილისის საერთაშორისო ტურნირი

ჯურნირმა თავისი თქვა...

ზაზა თურმანიძე

ბექა დარჩია

რაოდენობა და ხარისხი

„ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირი წარმატებული აღმოჩნდა - საორგანიზაციო საკითხებიც კარგად იყო მოგვარებული და შეჯიბრებაც ძლიერი გამოდგა. არ ვამბობთ, რომ ორგანიზაციულად უკეთესი არ არსებობს, მაგრამ ადრინდელებთან შედარებით წინსვლაც აშკარაა და ეს არ უნდა დავუკარგოთ. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირიც მოგვიმრავლდა, რაც სპორტის სასახლესაც დაეტყო - მეტნაკლებად უკვე ყოველთვის მზადაა და თავსაც ართმევს მასპინძლობას.

შეჯიბრებამ წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც გაამართლა. მართალია, გუნდები ბევრნი არ იყვნენ, შესაბამისად - არც მონაწილეები და იყო წონები, სადაც სანუგეშო წრეში პირდაპირ ბრინჯაოსთვის ჭიდაობდნენ, მაგრამ რაოდენობაზე უფრო მნიშვნელოვანი ხომ ხარისხია, თუმცა უკეთესი ნამდვილად შეიძლებოდა. განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ირანის ბერძენ-რომაელთა ნაკრები, რომელიც უპირველესი ვარსკვლავებით გვესტუმრა. ძლიერი შემადგენლობებით იყვნენ აზერბაიჯანელი „თავისუფლები“, უზბეკი ბერძენ-რომაელები, თურქები - ორივე გუნდით, შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ხარისხობრივად ძლიერი შემადგენლობით იყვნენ ეგვიპტე, ბელარუსი, არა უშავდათ სომხებს... რუსეთიდან სულ ორი კაცი გვესტუმრა, თუმცა ერთი მათგანი ახალგაზრდებში ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **კოლი კორტოევი** (84) იყო.

კოჭლი დისციპლინა ხალიჩაზე

შეჯიბრება ბევრად უკეთესი იქნებოდა, დისციპლინარული დარღვევა რომ არ ყოფილიყო. ჩვენი მოჭიდავის მიზეზით გვარიანი ჩხუბი რომ მოხდა, გუშინ ვწერდით. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. კიდევ კარგი, სხვა შემთხვევებში საქმე ჩხუბამდე და აყალ-მაყალამდე არ მისულა, მაგრამ ხშირი იყო კამათი მსაჯებთან, რბილად რომ ვთქვათ, ძიძგილაობა და უდიერი მოქცევა მეტოქისადმი. ერთხელ ფილას კომისარმაც კი მოითხოვა შეხვედრის შეჩერება, უცხოელ მეტოქეს იმდენად უხეშად მოექცა მასპინძელი ფალავანი... სამწუხაროა, რომ დისციპლინა ჩვენს გუნდებში კვლავაც მოიკოჭლებს. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ქართველები ლამის ყველა შემთხვევაში უსაფუძვლოდ კამათობდნენ - როცა ჭიდაობით ვერ ახერხებდნენ მეტოქის ძლევას, რატომღაც ჩხუბით დაშინების გზას ირჩევდნენ. ცუდია, მათში ქუჩური მენტალიტეტი ჯერ ისევ რომ მძლავრობს. ამას მერე უცხოეთშიც ავლენენ, რაც ცუდად აისახება ქვეყნის იმიჯზე, რისი მომსწრენიც ინტერნეტრეპორტაჟებში გავმხდარვართ კიდეც.

ახალგაზრდობა, იმედი ხვალის...

ტურნირის უდავოდ დადებითი მხარე იყო ახალგაზრდა თაობის კარგი გამოსვლა - შეჯიბრებამ არაერთი ასეთი ფალავანი წარმოაჩინა. ისიც ცხადია, რომ გუნდებში თაობათა ცვლა კარს მოგვადგა. „თავისუფლებში“ ეს პროცესი უკვე დაიწყო და ისინი ოლიმპიადაზე აუცილებლად გამოვლენ, ბერძენ-რომაელებში კი სალონდონედ ცოტა დაგვიანდება. ზოგადად საჭიდაო მხარეს რაც შეეხება, ცხადია, ფალავნები ჯერ ფორმის პიკში არ უნდა იყვნენ, მაგრამ მაინც მეტია საჭირო. ისე, ეტყობა, ბერძენ-რომაელებისთვის ჩოქბჯენში ჭიდაობა წლეულსაც „აქილევსის ქუსლი“ იქნება, თუმცა შარშანდელთან შედარებით ცოტა უკეთესი ვითარება ნამდვილად იყო. ახლა ამ მდგომარეობიდან გაცილებით ბევრი ქულა დაფიქსირდა, მაგრამ უცხოელებს, განსაკუთრებით კი აზიელებს მაინც გვარიანად ჩამოვრჩებით. ცხადია, „თავისუფლებსაც“ მეტი მოეთხოვებათ როგორც „ფიზიკაში“, ასევე - ტექნიკაში.

მოვუსმინოთ მწვრთნელებს...

ტურნირის დასრულების შემდეგ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელებს შეჯიბრების შეფასება ვთხოვეთ.

ზაზა თურმანიძე (თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები): „ტურნირი კარგად ჩატარდა, ძლიერიც გამოდგა და კმაყოფილი ვარ. შემადგენლობაც კარგი გამოდიოდა. უკმაყოფილო არც შედეგებით და შეგირდებით ვარ. ალბათ, რაღაც პატარა კორექტივები შევა ნაკრების დაკომპლექტებაში. 55 კილოგრამში გამოჩნდნენ ახალი კადრები. მაგალითად, ქუთაისელი ბავშვები, გოგავა ხონიდან, რომელიც ამ ტურნირისთვის ჩამოვიყვანეთ და საგრძნობი პროგრესი გვაჩვენა. 60 კილოგრამში იქნებ ამდენი სიახლე არ ყოფილა, მაგრამ გარკვეული ხელჩასაჭიდი ნოვაციები იქაც არის. კარგია, რომ ისევ გაიმარჯვა მუზიაშვილმა 66-ში და საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინა. 74-ში ლიდერი დავით ხუციშვილია, ამ ფონზე კი მით უფრო სასიხარულოა გორა ლომთათიძის ფინალში გასვლა. 84-ში ფინალი იჭიდავა აჩიკო ქიტიაშვილმა, თუმცა ამ წონაში ბექა ჭელიძემაც კარგად იასპარეზა. 96-ში ლიდერი გვაკლდა, მაგრამ ფინალი აქაც ვიჭიდავეთ და ბრინჯაოს მედლებიც ჩვენებმა მოიპოვეს. ცოტა მეტი გვინდა მძიმე წონისგან, თუმცა უკმაყოფილო არც ამ წონით ვარ“.

ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები): „მისასალმებელია, რომ ჩამოვიდა ირანის უძლიერესი ნაკრები, რომელიც ბოლო წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. ასევე თურქეთის, უზბეკეთის გუნდები, ეგვიპტიდან მსოფლიოს ჩემპიონი ჩამოვიდა... ხარისხით კარგი შეჯიბრება გამოდგა - ტურნირის ხარისხი ხომ მისი სიძლიერით განისაზღვრება...

იცით, რომ ორი კაცი გავათავისუფლეთ - ევროპის ჩემპიონი რევაზ ლაშხი და ვლადიმერ გეგეშიძე. დანარჩენებს ყველას დავუსახეთ მიზნად, დაემტკიცებინა, რომ ნაკრების ღირსია. მათ შორის კვირკველიასაც თავისი ტიტულების მიუხედავად. როგორც ნახეთ, მანაც დაამტკიცა - გუნდში ყველა კონკურენტს მოუგო. თავის გამოჩენის შანსი ყველას მიეცა და ვის რა შეეძლო, გამოჩნდა კიდეც. მინდა აღვნიშნო ახალგაზრდების კარგი გამოსვლა. მაგალითად, ქაჯაიები, ქემალ ხარაბაძე, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების წევრია, თუმცა უფროსებში ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი წმინდად დაამარცხა; ასევე ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი ვასილ იმერლიშვილი, რომელმაც თურქთა პირველ ნომერს მოუგო, თუმცა მერე 18 წლის ირაკლი ქაჯაიასთან წააგო. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები კარგად მოდიან. თუნდაც შიდა ტურნირები გავიხსენოთ, სადაც მედალოსანთა 70 % ახალგაზრდა იყო. ცუდი ისაა, რომ ლონდონის ოლიმპიადამდე ესენი ვერ მოასწრებენ გუნდში დამკვიდრებას. სასურველი იყო, თაობათა ცვლა ერთი წლით ადრე მომხდარიყო, მაგრამ რას ვიზამთ.

ახლა დღის წესრიგში მსოფლიოს პირველობისთვის მზადება დგას. 16 ივნისს სომხურ ნახკაძორში გავემგზავრებით, სადაც წონაში ორ-ორ კაცს წავიყვანთ და მიზანმიმართულ მუშაობასაც შევუდგებით. ეს იქნება საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება. ის ლიდერები, რომლებმაც ახლანდელი შეჯიბრება გამოტოვეს, შეკრებებზე იქნებიან. წახკაძორის შემდეგ ნაკრების ის წევრები, რომლებმაც „ოქროს დიდი პრიზის“ სუპერფინალის საგზურები მოიპოვეს, ივლისში ბაქოში იასპარეზებენ. იქ მხოლოდ ლაშხი არ გამოვა, რომელსაც ზუსტად იმავე ვადებში ესპანეთში გავგზავნით საერთაშორისო ტურნირზე. ეს ერთგვარი ტაქტიკური ხრიკია - ლაშხი დავუმალოთ მეტოქეებს. თან, მოგეხსენებათ, მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი აზერბაიჯანელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰასან ალიევია, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე მოუგო. არ გვინდა, ჩვენი ფალავანი ბაქოში შევახვედროთ მას - იქ მსაჯები ყველაფერს გააკეთებენ ალიევის მოსაგებად, რაც ამისთვის ფსიქოლოგიურად არ იქნება მომგებიანი. აგვისტოს დასაწყისში ნაკრები პოლონეთშიც გამოვა საერთაშორისო ტურნირში, მერე მინსკშიც იგეგმება ერთობლივი ვარჯიში, ბოლო შეკრებას კი დუშეთში გავიკეთებთ“.

ირაკლი თავაძე

სპორტი ყველასათვის

პირველად...

დღეს თბილისში სტარტს აიღებს „პრეზიდენტის თასის“ გათამაშება თბილისის რაიონული თვითმმართველობებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების 18 ნაკრები გუნდის მონაწილეობით სპორტის 8 სახეობაში. საგულისხმოა, რომ ასეთი ხასიათის კომპლექსური სპორტული ღონისძიება საქართველოში ტარდება პირველად.

პროგრამაშია ფუტსალი, ფრენბურთი, ქვიშის რაგბი, სტრიტბოლი, ბილიარდი, ცურვა, ნარდი და მკლავჭიდი. გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად დანესებულია პრიზები და ფასიანი საჩუქრები. ასპარეზობა 18 ივნისს დასრულდება.

ჭაბუკები - კუშადასში, ახალგაზრდები - ევროპაზე


გენო პეტრიაშვილი

წონაში ორ-ორი მონაწილით

ხვალ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა გუნდები თურქეთში გაემგზავრებიან, სადაც კუშადასში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ესაა ჭაბუკთა საკმაოდ დიდი და წარმომადგენლობითი შეჯიბრება, რომელიც წლეულს მეთოთხმეტედ ტარდება. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თამაზ ბენდიანიშვილს** იქ არასრული გუნდი მიჰყავს - რამდენიმე მოჭიდავეს ახლა წონას არ აკლებინებს და ზედა წონაში აჭიდავებს. შედეგად, ზოგიერთ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვეყოლება. სამაგიეროდ, სხვებში ორ-ორი ფალავანით ვიასპარეზებთ. თუმცა განსხვავებულია მიზეზი, რის გამოც მძიმე წონაში მონაწილის გარეშე დავრჩით - **გენო პეტრიაშვილი** ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული ევროპის ჩემპიონატზე საჭიდაოდ. საბოლოოდ კუშადასში ასეთი გუნდით გამოვალთ: **რამაზ ზოიძე, ტაიფუნ აბდულაევი** (ორივე - 42), **გიორგი პასიკაშვილი, რამაზ დარჩიძე** (ორივე - 46), **შოთა ფანცულაია, შალვა ხუციშვილი** (ორივე - 50), **შოთა ფარტენაძე, რაუფ შაკულ-ოღლი** (ორივე - 58), **შალვა ჭადაშვილი, ომარ გურჯიძე** (ორივე - 69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ბექა როჭიკაშვილი** (85).

და... განსხვავებული მიდგომა

კუშადასში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში **გიზო მელაძე** (42), **ლეონ ხოზრევანიძე** (46), **ედნარ შავაძე** (50), **გიორგი ტოტიკაშვილი** (54), **ლაშა მარიამიძე, შმაგი ბოლქვაძე** (58), **ვლადიმერ ქიქავა** (63), **ნიკა ფირცხალავა** (69), **ლაშა გობაძე** (76), **კუკური კირცხალია, გიორგი კოვზირიძე** (85), **ბექა კანდელაკი** და **თორნიკე ბაბუნაშვილი** (ორივე - +85) იჭიდავებენ. ეს გუნდები თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის არჩევენ კადრებს. როგორც ვხედავთ, მწვრთნელებმა ამ შეჯიბრებისადმი განსხვავებული მიდგომა აირჩიეს - ბენდიანიშვილს თუ ყველა წონაში ორ-ორი კაცი მიჰყავს, კრავეიშვილმა ბევრად კომპაქტური შემადგენლობა შეარჩია და გაორებებს მოერიდა.

ორივე გუნდმა შეკრება ბათუმში გაიარა და თურქეთშიც იქიდან გადავლენ. მათ კალენდარში მომდევნო სტარტი ირანის საერთაშორისო ტურნირია და, სავარაუდოდ, მწვრთნელები იმის შემდეგ დაასახელებენ 9-14 აგვისტოს ვარშავაში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას. ჭიდაობაში მსოფლიო მასშტაბით შექმნილი ქაოსი კარგად მოგეხსენებათ და ჭაბუკებს მსოფლიოს პირველობაც აგვისტოში უწევთ(!), სულ რაღაც 9-დღიანი ინტერვალით - 23-28 აგვისტოს უნგრულ სომბათჰეიში იმართება.

ევროპისა და მსოფლიოს პირველობები ახალგაზრდებში ასევე შემჭიდროებულ ვადებში ტარდება, თუმცა აქ დაახლოებით ერთთვიანი შუალედი მაინცაა - ევროპის პირველობა 21-26 ივნისს სერბულ ზრენჯანინში ტარდება, მსოფლიოსი - 26-31 ივლისს ბუქარესტში. გაირკვა იქ მონაწილე „თავისუფალთა“ ნაკრების შემადგენლობა: **ლაშა ტალახაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თედო ებანოიძე** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120).

მთავარი მოულოდნელობა

„თავისუფლებში“ მთავარი მოულოდნელობა გენო პეტრიაშვილის გამოჩენაა. ამ გუნდის თავკაცი **ნუგზარ სხირელი** მძიმეწონოსნების მომზადებით უკმაყოფილებას არასოდეს მალავდა და ამბობდა, რომ ეს ძალზე სუსტი წონაა. მწვრთნელი აქ ისეთ ფალავნებს იყო მიჩვეული, ნებისმიერი გუნდი ინატრებდა - **გიორგი საკანდელიძემ** ბოლო ორ წელიწადში ევროპაზე ოქრო-ვერცხლი მოიპოვა, მსოფლიოზე - ვერცხლ-ბრინჯაო. მას ღირსეულ სპარინგ-პარტნიორობას **ლევან ბერიანიძე** უწევდა, რომელსაც ახალგაზრდულში გამოსვლა არ დასცალდა, მაგრამ სამაგიეროდ, უფროსებში გახდა მსოფლიოს პრიზიორი. თუმცა სხირელი წლევანდელი კანდიდატების უკმაყოფილო ამათ ფონზე

» გვ-11 გვერდზე

შორენა შავაძე ძიუდოდან მოდის

« მე-10 გვერდიდან

კი არ იყო, ზოგადად არ აკმაყოფილებდა მათი მომზადება, მათი სპორტული მხარე. აქედან გამომდინარე, ისინი რომ შეცვალა, ეს არ გაგვკვირვებია. უბრალოდ, პეტრიაშვილი აქამდე კანდიდატებშიც არ დაუსახელებია. 1994 წელს დაბადებული, 197-სანტიმეტრიანი და 102-კილოგრამიანი პეტრიაშვილი მისი პირადი მოსნავლეა და მნვრთნელი ერთ-ერთ უნიჭიერესადაც მიიჩნევს. თუმცა საზოგადოებამ ეს ფალავანი პირველად არა საჭიდაო წარმატებებით, არამედ, როგორც ადრეც ვწერდით, სულ სხვა კუთხით გაიცნო - მშობლიური სოფლიდან ოსებმა გაიტაცეს და რამდენიმე დღე მათ ტყვეობაში გაატარა. პეტრიაშვილი შეკრებებს აქამდე ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად გადიოდა, რადგან ჭაბუკებში სათანადო სპარინგ-პარტნიორი არ ჰყავს, თუმცა სერბული ტურნირის შემდეგ იმ გუნდს დაუბრუნდება და მის შემადგენლობაში ევროპა-მსოფლიოს იჭიდავებს.

როგორც მძიმეწონოსანთა მაგალითზე ვთქვით, ამ ნაკრებმა თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი განიცადა და შემადგენლობაც გადახალისდა, თუმცა ის დუეტი სხირელის ერთადერთი დანაკლისი არაა - ასევე უფროსებში გადავიდა შარშან ახალგაზრდებში ევროპა-მსოფლიოს მომგები **დავით ხუციშვილიც** (74). ამის მიუხედავად, სხირელს შარშანდელიდან მაინც ბევრი შერჩა და საკმაოდ ძლიერი გუნდიც ჰყავს - ხინჩეგაშვილმა შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობა მოიგო, ევროპაზე კი ფინალი დათმო, ხოლო წლეულს ის და მარსაგიშვილი უკვე უფროსებში გახდნენ ევროპის ვიცე-ჩემპიონები. ჩოჩიშვილმა შარშან ამ ასაკში ევროპაზე ვერცხლი, მსოფლიოზე კი ბრინჯაო მოიპოვა, ხოლო ტალახაძე, პირიქით, ევროპაზე გავიდა მესამეზე და მსოფლიოზე ფინალი დათმო. შარშანდელ გუნდში იყო ტლაშაძეც. ევროპის პირველობაზე შარშან ამ გუნდმა 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. ჩემპიონები საკანდელიძე და ხუციშვილი გახდნენ, ვერცხლის მედალოსნები - ხინჩეგაშვილი და ჩოჩიშვილი, ბრინჯაოს კი ტალახაძე დაეუფლა.

შორენა შარაძე

შარაძე - ყველგან?

რაც შეეხება ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდულ ნაკრებს, **ვლადიმერ ადეიშვილს** სერბეთში **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120) მიჰყავს. თაობათა ცვლა ან გუნდში კიდევ უფრო საგრძნობია - შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ გოგიბერაშვილი, დავითაია და გოგისვანიძე შემორჩნენ. ამ ნაკრების შარშანდელი მონაგარი 1 ოქრო და 2 ვერცხლია. ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი** (96) გახდა, ვიცე-ჩემპიონები - **თორნიკე მახარაძე** (50) და დავითაია.

ევროპის ჩემპიონატი გოგოებშიც ტარდება, თუმცა ჩვენ ევროპაზე მონაწილე, საკარაუდოდ, არ გვეყოლება, აი, მსოფლიოზე კი დიდი შანსია, ბათუმელმა **შორენა შარაძემ** იჭიდაოს, რომელსაც აჭარის მხარე ჰპირდება დაფინანსებას. საკარაუდოდ, გამოსვლის ნებას ქალთა ძიუდოს ნაკრების ხელმძღვანელობაც დართავს, სადაც ამჟამად ვარჯიშობს შარაძე, თუმცა საკითხავი ერთი გარემოებაა - ის ჭიდაობს ძიუდოს, პერიოდულად გამოდის სამბოშიც და ახლა თუ ამას თავისუფალი ჭიდაობაც დაემატება, შეძლებს კი ამდენს?

ირაკლი თავაძე

● კრივი

სრული შემადგენლობით და ახალი ეკიპირებით

მარცხნიდან: რამაზ ფალიანი, შალვა გოგოლაძე, ვლადიმერ ახალკაცი, გია გალდავა

თურქეთის დედაქალაქში 17 ივნისს დაიწყება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 10-კაციანი ნაკრებიც იასპარეზებს მთავარი მწვრთნელის - **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით. ანკარაში გამგზავრების წინ გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ოფიციალურად დასახელდა გუნდის შემადგენლობა ახალი ეკიპირების პრეზენტაციაც მოეწყო, რომელსაც კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **პეტრე ცისკარიშვილი** და სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავაც** დაესწრნენ.

- წლეულს იანვრიდან შვიდი სანვრთნელი შეკრება გავიარეთ, - გვითხრა რამაზ ფალიანმა. - ამ ხნის განმავლობაში ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ - მონდომებით ვარჯიშობდნენ და, ვფიქრობ, მზად არიან საიმისოდ, თურქულ რინგზე წარმატებისთვის იბრძოლონ. შედეგს ნაკრების თითოეული წევრისგან ველოდები. იღბლიანი წილისყრა და მსაჯების ობიექტურობაც არ არის მეორეხარისხოვანი. თუმცა ბოლო დროს ჩვენი ფედერაციის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ არბიტრები იოლად ვერ შემოგვიტევენ. მთავარია, ქართველმა მოკრივეებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინონ.

ანკარის რინგზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ავთანდილ ჭუბაბრია (49 კგ), გიორგი კილანავა (52), ნიკოლოზ იზორია (56), კობა ფხაკაძე (60), ბაკურ გოგოჭური (64), ზაალ კვაჭატაძე (67), ჯაბა ხოსიტაშვილი (75), იაგო კიზირია (81), ლევან გულედანი (91) და მიხეილ ბახტიძე (+91).

ვლადიმერ ახალკაცი, კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომისა და მსაჯთა კოლეგიის წევრი, AIBA-ს ტექნიკური დელეგატი: ქართულ კრივს სახელმწიფოსგან ამგვარი მხარდაჭერა არასდროს ჰქონია: სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა შარშანდელთან შედარებით დაფინანსება გაგვიორმაგეს. შვიდი სანვრთნელი შეკრებიდან ოთხი ერთობლივად ბულგარელებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან და ყაზახებთან, ოთხ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზეთ და სხვადასხვა სინჯის 12 მედალი მოვიპოვეთ. ყოველივე ეს კი გვაძლევს საფუძველს, ოპტიმისტურად განვეწყოთ და ვიფიქროთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე 3 მედალს მაინც მოვიპოვებთ. სახელმწიფოს ზრუნვამ ბიჭების პასუხისმგებლობაც საგრძნობლად აამაღლა. ორიოდე დღის წინათ თითოეულმა მათგანმა პროფესორ ზურაბ კახაბრიშვილის მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება გაიარა. ყველანი მზად არიან ანკარის რინგზე ბოლომდე დაიხარჯონ.

- მსოფლიო კრივში ხშირია არბიტრებისგან სპორტსმენთა დაჩაგვრის შემთხვევები...

- სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ოფიციალურ შეჯიბრებებში არცთუ იშვიათად მედლების ბედი რინგს მიღმა წყდება. ამ უსამართლობის წინააღმდეგ დიდი ხანია, ვიბრძვით საერთაშორისო სარბიელზე. ბოლო დროს ამ საქმეში აქტიურად გვიჭერს მხარს მსოფლიო ფედერაციის ტაივანელი პრეზიდენტი ჩინ კუ ვუ, რომელიც შარშან სეოკ-ის მონვევით თბილისში იმყოფებოდა. დღესაც საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებებითაა და ყოველ შეჯიბრებაზე თანადგომას გვიცხადებს. ამას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც გრძნობენ და ხედავენ. ბოლო დროს ჩვენდამი გამოჩენილი სიმპათიების გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ანკარაში მსაჯადაა მიწვეული AIBA-ს არბიტრი ზურაბ ტიბუა, რომელიც მოკრივეთა ოჯახში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. კარგა ხანს ცხოვრობდა თურქეთში რამაზ ფალიანი, რომელსაც ჩვენი ნაკრების ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ძალ-ღონე არ დაუზოგავს. ფალიანსაც უდიდეს პატივს სცემენ მთელ მსოფლიოში. ყოველივეს მიუხედავად, გამორიცხული არაფერია, თუმცა გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ ჩვენი ბიჭების უსამართლოდ დაჩაგვრას თუ ვინმე მოინდომებს, ევროპის ჩემპიონატი უსკანდალოდ არ ჩაივლის. ჩვენ რინგზე სამართლიანობისთვის ვიბრძვით.

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს გზა დაულოცა და წარმატება უსურვა სპორტის მინისტრის მოადგილემ გია გალდავამ. *„ვიმედოვნებ, რომ ანკარაში ყველაფერი კარგად ჩაივლის. თუმცა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. საამისოდ კი ევროპის პირველობა გენერალურ რეპეტიციად უნდა ჩაითვალოს“*, - თქვა მინისტრის მოადგილემ.

ვაჟა დანელია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ნაკრები გამგზავრების წინ

● ჩოგბურთი

ანამ მირზა ველარ გაიმეორა

ანა ტატიშვილი

გუშინ განახლებულ რეიტინგ-ლისტში ერთდროულად ყველა ქართველმა დაიხია უკან, თან ზოგიერთმა შესამჩნევადაც - 120 (-2) **ანა ტატიშვილი** - 579 ქულა; 194 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 300; 221 (-3) **მაკა ჩახნაშვილი** - 249; 299 (-41) **სოფიო შაფათავა** - 171; 326 (-15) **თათია მიქაძე** - 147; 394 (-27) **სოფიო ქვაცაბაია** - 104; 543 (-49).

გუშინ ანა ტატიშვილმა ისტბორნის საერთაშორისო ტურნირის (618 ათასი დოლარი) მეორე საკვალიფიკაციო წრეში მე-7 ნომრად განთესილ ინდოელ **სანია მირზასთან** (58) სამ სეტში დათმო - 2:6, 6:3, 3:6. ანა ამ ტურნირში ასპარეზობისთვის 8 სარეიტინგო ქულასა და 1,3 ათას ევროს დასჯერდა. შეგახსენებთ, რომ ანამ საჩოგბურთო სამყაროში პირველი სენსაცია სწორედ მირზას დამარცხებით მოახდინა - ეს კი 5 წლის წინანდელი ამბავია, როცა ჩვენებური ჯერ კიდევ 16 წლის იყო.

ქართველები იასპარეზებენ სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. იქ მაკა ჩახნაშვილი პირველ ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში თურქ **ლუტფიე ესენს** ხვდება. სოფიო ქვაცაბაიას პირველი მეტოქე კი რუსი **მარინა შამაიკოა** (426).

უკრაინულ ხარკოვში 25-ათასიან ტურნირშიც პირველ ნომრად ქართველია განთესილი - სოფიო შაფათავა, ვინც მასპინძელ **ნადია კოლბს** (712) ეთამაშება პირველ წრეში. ეკა გორგოძე კი მე-8 ნომრად განთესილ უზბეკ **ვლადა ეკშიბაროვას** (402) დაუპირისპირდება. ნიკოლოზ ბასილაშვილი კი ამერიკაში, კალიფორნიის ქალაქ ჩიკოს ტურნირში (15 ათასი დოლარი) ითამაშებს. ქართველი ძირითად ბადეშია, თუმცა მისი პირველი მეტოქე ჯერ ცნობილი არ არის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჭადრაკი

სამი საგოსანი

ქუთაისში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა (მთავარი მსაჯი **ალეკო არსენიძე),** რომელშიც 31 გოგონა და ვაჟი მონაწილეობს. უკვე გათამაშდა სამი ტური. უდანაკარგოდ ქალთა შორის დიდოსტატი **ქეთი ნაწალაშვილი** მეწინავეობს, რომელმაც გუშინ **მარიამ ჭოლაძეს** სძლია. წარმატებას მიაღწია **მერი არაბიძემაც (სალომე ხაჟომია** დაამარცხა), მაგრამ ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩება - მე-2 ტურში **ანა შამათავას** დაუზავდა. ვაჟებში ორხელისუფლებიანობაა: აქ **დავით ბენიძესა** და მის სეხნია **დავით ლომსაძეს** 3-3 ქულა აქვთ - გუშინ, შესაბამისად, **ირაკლი ჯანიაშვილსა** და **ბექა ახალაძეს** აჯობეს. დღეს სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გოგონებში კი წაწალაშვილისა და არაბიძის დუელი იქნება საინტერესო.

ვაჟა დანელია

გელაშვილის ბრინჯაო

ლას ვეგასის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალში სამი ქართველი დიდოსტატი ასპარეზობდა - **თამაზ გელაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი** და **მიხეილ** კეკელიძე. სხვებზე უკეთ გელაშვილმა ითამაშა: ექვსი შესაძლებლიდან 4,5 ქულით მან მესამე ადგილი დაიკავა - გამარჯვებულებმა - **ლიუკ ვან ველიმ** (ჰოლანდია) და **ვარეჟან აკობიანმა** (სომხეთი) ნახევარ-ნახევარი ქულით გაუსწრეს. ყაჭეიშვილი (4) მეთორმეტე იყო, კეკელიძე (3,5) - ოცდამეერთე.

ვაჟა დანელია

თამაზ გელაშვილი

● სოხუმი

ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲗᲡᲣ-ᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ, ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოს „სოხუმის“ პრესცენტრის ხელმძღვანელმა **თენგიზ პაჭკორიამ** საინტერესო სიახლე გვაცნობა - გუნდთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი **მიხეილ ბერიშვილმა**. გუშინვე გუნდთან ხელახალი ხელშეკრულება გააფორმა ახალგაზრდა უკანახაზელმა **ირაკლი ჩლაიძემ**.

უახლოეს დღეებში მოსალოდნელია **ლაშა ფარღალავას, ლევან ფაცაციას** და **ვახტანგ ქადარიას** გუნდში ჩარიცხვაც. მათ გარდა „სოხუმის“ ხელმძღვანელობა კიდევ სხვა ქართველ და უცხოელ კალათბურთელებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. გუნდში სავარაუდოდ ხუთი ლეგიონერი ითამაშებს. მათ შორის არ იქნებიან გასულ სეზონში „სოხუმში“ მოასპარეზეები ძმები **დამუსები** და **იუჯინ ჰარისი**.

სატრანსფერო სიახლის შესახებ რომ შევიტყვეთ, მიხეილ ბერიშვილს დავუკავშირდით. თუმცა ვიდრე მის ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** მიშას რეგულარულად იძახებს. 2008 წელს სლოვაკეთთან 103:78 გამარჯვებაში ბერიშვილმა სამქულიანი წვლილი შეიტანა - საფინალო ანგარიში შორეული ტყორცნით დააფიქსირა. მას მერე ახალგაზრდა ფორვარდი ესპანეთშიც იყო და „არმიაშიც“, თუმცა საუკეთესო კუთხით მაინც თსუ-ში გამოჩნდა. სტუდენტებთან თამაშის შემდეგ თქვა „სოხუმის“ მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა**, ბერიშვილის მსგავს კალათბურთელს ლატვიის ნაკრებში სიამოვნებით ავიყვანდიო.

- აინარს ბაგაცკისთან არ მილაპარაკია. სოხუმელთა ხელმძღვანელობასთან კი ყველაფერი კარგად შევათანხმე და გადაწყვეტილია, გუნდში ორი სეზონის განმავლობაში ვითამაშებ, - გვითხრა მიხეილ ბერიშვილმა.

- ყოფილი გუნდის, თსუ-ს მწვრთნელებს თუ ელაპარაკე?

- რა თქმა უნდა. ნუგზარ ჭეიშვილი და ნუგზარ მარკოიშვილი ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდნენ. მათაც კარგად ესმით არსებული სიტუაცია. თსუ-ს დატოვების გამო გული მწყდება, რადგან ძალიან მეგობრული, შეკრული გუნდი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი კარიერისთვის ასე სჯობდა - „სოხუმი“ ევროჩელენჯზე ითამაშებს.

- ძლიერ ლეგიონერებსაც დაიმატებს...

- ცხადია, კარგი კალათბურთელების გვერდით თამაშით გამოცდილებასაც მივიღებ და საკუთარი შესაძლებლობების შეფასების საშუალებაც მომეცემა. ამასთან, მწვრთნელიც ძლიერია - აირანს ბაგაცკისი ახალგაზრდა, მაგრამ მეტად გამოცდილი სპეციალისტია.

- საქართველოს ნაკრებისთვის მზადებას ხომ არ შედგომიხარ?

- ამჟამად ვისვენებ. ვარჯიშს დაახლოებით ათ დღეში დავიწყებ.

● დოსიე



ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დაიბადა: 12.04.1987
სიმაღლე: 204 სმ.
წონა: 93 კგ.
ამპლუა: ფორვარდი
2010-11 (თსუ): 13.1 ქულა, 6.9 მოხსნა, 2.1 პასი

● ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐᲐ

„კანტუმ“ სერია A-ს ფინალური სერიის მეორე შეხვედრაც ნააგო. ეს დასაწერად იოლია, სინამდვილეში კი **მანუჩარ მარკოიშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა სიენას „მონტეპასკი“ გვარიანად ანერვიულეს. მათ მეორე პერიოდში „ფორმულა 1-ის სისწრაფე“ განავითარეს, ბურთი შეტევისას კარგად დაატრიალეს, სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს და 41:35 დაწინაურდნენ. „კანტუ“ გაცილებით დიდ უპირატესობას მოიპოვებდა, მეტოქედ „მონტეპასკის“ ნაცვლად იტალიის ჩემპიონატის რომელიმე სხვა გუნდი რომ ჰყოლოდა. სიენელებსაც არანაკლებ აწყობილი გუნდი ჰყავთ, შემთხვევითი როდია მათი მწვრთნელი **სიმონე პიანიჯანი** იტალიის ნაკრების თავკაცად რომ მუშაობს.

დიდი შესვენების შემდეგ „მონტეპასკიმ“ თამაშის ტემპის დაგდება მოახერხა, შესაძლოა, კანტუელები ცოტა დაიღალნენ კიდეც. ასეა თუ ისე, შედარებით მშვიდ თამაშში უპირატესობა კლასით მაღალმა მასპინძლებმა მოიპოვეს - სიენელები მაღალი სიზუსტით ისროდნენ. შედეგად მესამე პერიოდში 10-ქულიან სხვაობას მიაღწიეს, ბოლო რაუნდში უპირატესობა უფრო განავრცეს.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და 23 წუთი ითამაშა. მას მეტ დრო ერგებოდა, სამი ფოლი პირველივე ტაიმში რომ არ მიეღო. მანუმ 9 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი), 3 პასი და 2 მოხსნა მოაგროვა. **მარკო სეკიჩს** „კანტუს“ ბომბარდირობისთვის 12 ქულაც ეყო. ყველაზე მეტი კი „მონტეპასკის“ ლიტველმა მეფარემ **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** ჩააგდო - 16.

სერიის მესამე მატჩი კანტუში 15 ივნისს გაიმართება.

● ᲞᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

2000-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

III-IV ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲞᲘᲣᲜᲓᲐᲜᲘ-ᲝᲠᲑᲘ 19:15

6:1, 2:7, 6:5, 5:2

ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲜᲘ: ჩხაიძე, დ. ქავთარაძე, პაპკიაური, მეფარიძე, აბაშიძე, ქავთარაძე (5ქ), წინგუაშვილი, ხუციშვილი, გოგიტაშვილი, ჭანტურია, ფეიქრიშვილი (12), კუბლაშვილი (2).

ᲝᲠᲑᲘ: ხურცია (4), ტალახაძე (2), ჩაჩანიძე, გიგაური (6), ნიკოლაიშვილი, ჯლარკავა, შეყილაძე, სვანიძე (1), ხაჩიაშვილი (2), ბიჭიაშვილი, მოლოდინი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ-ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 38:24

9:10, 6:6, 14:6, 9:2

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ: ცხვირატაშვილი, გეგუჩაძე (8), ზურაბაშვილინ (18), წერეთელი, კაზანჯიანი (2), ჯღენტი (8), ლეშქაველი (2), მეტრეველი, ადუამვილი, დარჩიაშვილი.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ: ხაჩიძე (2), კვინიკაძე (6), გავაშელიშვილი (2), ქოჩიაშვილი (8), ბარამიძე, კვახაძე (2), არაბული (4), კინწურაშვილი, ბლიაძე, ზედელაშვილი, ვარდიშვილი.

ᲕᲐᲙᲔᲨᲘ მდებარე აკადემიის დარბაზში დასრულდა 2000 წელს დაბადებულ მოზარდთა ფესტივალი. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ქვეჯგუფად იყვნენ გაყოფილები.

ჯგუფებში გამარჯვებულები ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ესენი აღმოჩდნენ „რუსთავი“ და „აკადემია“. ხოლო მესამე ადგილისთვის ერთმანეთს „დაეჭიდნენ“ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები „ჰიუნდაი“ და „ორბი“.

ორივე მატჩი საინტერესო გამოდგა. „ორბი“ ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა გამარჯვების შანსს, მაგრამ საბოლოოდ „ჰიუნდაისთან“ მესამე ადგილი მაინც დათმო. რაც შეეხება ფინალს, „აკადემიამ“ პირველი ტაიმი 15:16 წააგო, თუმცა მეორე ტაიმში უპირატესობის მოპოვება მოახერხა და საბოლოოდ 38:24 იმარჯვა.

კალათბურთის ფედერაციამ გამორჩეული მოთამაშეებისთვის საინტერესო საჩუქრები დააწესა - ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურები. კალათბურთელები, რომლებსაც საჩუქრები უნდა გადასცემოდათ, თავად მწვრთნელებმა შეარჩიეს. ჩემპიონი „აკადემიიდან“ სამი, „რუსთავიდან“ ორი, „ჰიუნდაიდანაც“ ორი, ხოლო „ორბიდან“ ერთი მოთამაშე შეირჩა, რომლებმაც ზაზა ფაჩულიას, მანუჩარ მარკოიშვილის, ვიქტორ სანიკიძისა და სხვათა მაისურები მიიღეს.

საუკეთესოები: მიშიკო ზურაბაშვილი (აკადემია), კახა ჟღენტი (აკადემია), საბა გეგუჩაძე (აკადემია), საბა ქავთარაძე (ჰიუნდაი), ბუკა ფეიქრიშვილი (ჰიუნდაი), ირაკლი ქოჩიაშვილი (რუსთავი), პაპუნა კვინიკაძე (რუსთავი), ვატო გიგაური (ორბი).

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

● საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. პლეი ოფი

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲛᲐᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔᲥᲣᲚᲔ

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲐᲕᲔᲠᲡᲘ 103:99

29:21, 27:29, 29:21, 18:28

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: გრძელიძე (27ქ, 6ჩ, 4პ), ტყაბლაძე (9ქ, 8პ, 3ჩ), ფხაკაძე (22ქ, 8მ, 4ჩ), ცირეკიძე (12ქ, 18მ), დვალიშვილი (26ქ, 6მ, 5პ), გოგოძე (7ქ)

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ: მიქელაძე (19ქ, 8პ, 6მ), ნადირაძე (14ქ, 10მ, 2დ), რამიშვილი (18ქ, 4პ), ბაქრაძე (6ქ, 8მ, 5პ, 3ჩ), იაკობიძე (1ქ), თევზაძე (2ქ), ფეიქრიშვილი (4ქ), თუთიაშვილი, კვანტალიანი (31ქ, 9მ, 3პ), ხეთაგური (4ქ)

ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲘᲒᲔᲒᲔ „ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ“ - 1:0

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ-ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ-95 81:56

21:21, 24:16, 16:11, 20:8

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ: ჩოჩია (13ქ, 6პ, 3ჩ), გაფრინდაშვილი (2ქ, 8მ), დოლიძე (1ქ, 5მ), ძიძიგური (4ქ), რ. როგავა (13ქ, 12პ, 6მ, 5ჩ), დ. როგავა, გოლეთიანი (6ქ), მესხი (15ქ, 5მ), ორმოცაძე (15ქ, 8მ), ბულიავა (12ქ, 13მ)

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ-95: ბოლქვაძე (7ქ, 5მ), ამირხანაშვილი, ლილუაშვილი (12ქ, 5პ, 7ჩ), ჯაყელი, ქობალავა, აბულაძე (16ქ, 3პ), ლომთათაძე, დარახველიძე (5ქ, 6მ), ჰულულუაშვილი (2ქ), ლურწკაია (12ქ, 8მ), ჭიხვარია (2ქ), კენჭიაშვილი (5მ)

ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲘᲒᲔᲒᲔ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ - 1:0

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ-ᲤᲝᲗᲘ 83:63

20:17, 23:16, 24:16, 16:14

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ: ჩოჩია (31ქ, 6ჩ), გაფრინდაშვილი (5ქ, 7მ, 3პ), დოლიძე, ძიძიგური (5ქ), როგავა, გოლეთიანი (5ქ), მესხი (7ქ, 11მ), პაიჭაძე, ორმოცაძე (5ქ, 4ჩ), ბულიავა (11ქ, 9მ), მელაძე (2ქ).

ᲤᲝᲗᲘ: ᲗᲣᲠᲪᲐᲘᲐ, ჯინჭარაძე (47ქ, 20მ, 6ჩ), რუხაია (15ქ, 10მ), კეჭაყმაძე, გვანცელაძე (5მ, 3პ), ფაცია (5მ, 3ჩ), იოსავა (1ქ), მამფორია

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ-95 69:86

20:20, 9:16, 28:22, 12:28

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ: ჯაჯანიძე (24ქ, 3პ, 5მ), ოქროჭელიძე (11ქ, 7მ), გაფრინდაშვილი, ჯოხაძე, გაგნიძე (7ქ, 9მ, 4პ), ჭითავა, უძილაური (7ქ), ზედელაშვილი (17ქ, 20მ), მეტრეველი, წიკლაური, ესებუა, არაბული (3ქ, 14მ, 5პ, 3ჩ)

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ-95: ბოლქვაძე (16ქ, 6მ, 3პ, 5ჩ), ამირხანაშვილი (4ქ), ლილუაშვილი (19ქ, 7პ, 3ჩ), ჯაყელი (1ქ), აბულაძე (9ქ, 5პ), ლომთაძე (2ქ), დარახველიძე (14ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), ჰულულუაშვილი (9ქ, 8მ), ლურწკაია (6ქ, 6მ), ჭიხვარია (2ქ), კენჭიაშვილი (2ქ), ცქიტიშვილი (2ქ)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲝᲠᲑᲘ 20:0

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ-ᲖᲐᲖᲐ 66:64

25:7, 13:13, 16:16, 12:28

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ: ნადირაძე (16ქ, 7მ), რამიშვილი (7ქ, 5მ, 7პ), ბაქრაძე (3ქ, 6მ), იაკობიძე (4ქ, 9მ), თევზაძე, სამნიაშვილი (5ქ, 4ჩ), ფეიქრიშვილი (2ქ, 3პ), კვანტალიანი (22ქ, 13მ), ხეთაგური (7ქ)

ᲖᲐᲖᲐ: გულმაგარაშვილი (24ქ, 5მ, 5ჩ), ეზიაშვილი, გორდულაძე (14ქ, 3ჩ), ნანიტაშვილი, მირზიაშვილი (6ქ, 16მ, 5დ), კენჭიაშვილი (11ქ), გელაზონია (9ქ, 0მ)

ᲓᲦᲔᲡ გაიმართება საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის განმეორებითი მატჩები. შესაძლოა, დღესვე გაირკვეს ფინალისტის, ან ფინალისტების ვინაობა, რადგან სერია ორ მოგებამდეა.

პირველ მატჩებში „სოხუმმა“ და „ქუთაისმა“ იმარჯვეს, შესაბამისად „ნაკრები-95“ და „ავერსი“ დაამარცხეს. სოხუმელებმა კადეტთა ნაკრებს კარგად ჩატარებული მეორე ტაიმის შედეგად მოუგეს, ხოლო „ქუთაისმა“ პირიქით - პირველ ნახევარში უკეთესად ითამაშა, მეოთხე პერიოდი 10 ქულით დათმო და „ფარმაცევტებს“ სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირების უფლება მისცა.

„სოხუმის“ რიგებში მრავალმხრივად სარგებლიანი იყო **რეზო როგავა:** 13 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა და 5 ჩაჭრა მოაგროვა. ქუთათურთა გამარჯვება კი **გრძელიძე-ფხაკაძე-ცირეკიძე-დვალიშვილის** დამსახურებაა. გადახედეთ მათ მონაგარს და თავადაც დარწმუნდებით. ნახევარფინალების სნაიპერი 31 ქულით ავერსელი **კვანტალიანი** გახდა.

ჭაბუკთა ჩემპიონატის მეოთხედფინალები ერთ მოგებამდე იყო. შედეგებს ოქმებში წაიკითხავთ, ჩვენ კი ერთ უნიკალურ მაჩვენებელზე გავამახვილებთ ყურადღებას: „ფოთის“ მიერ ჩაგდებული 63 ქულა სამი კალათბურთელის ანგარიშზეა. მეტსაც გეტყვით - **ჯინჭარაძემ** და **რუხაიამ** ერთობლივად 62 ქულა მიითვალეს, **იოსავამ** კი ერთი ქულა შეაშველა.

ტრადიცია, ანგარიშგება



მარცხნიდან: ლაშა ხურციძე
და გიორგი ნიჟარაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

აღფრთოვანებული სტუმრები, კმაყოფილი მასპინძლები და მოგავლის იმედი

ახლახან თბილისში დასრულდა „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშება, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში ყველაზე მასშტაბური ტურნირი იყო, რაც კი დღემდე გამართულა. დაპირებისამებრ, რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** და შეჯიბრების დირექტორი **ლაშა ხურციძე** ჟურნალისტებსა და ქომაგებს „რაგბის პაბში" შეხვდა. ასეთი სახის შეხვედრების ტრადიციას საფუძველი წლეულს ჩაეყარა. რაგბის კავშირის პრეზიდენტის გარდა მანამდე ქომაგებს საქართველოს ეროვნული ნაკრების შოტლანდიელი თავკაცი **რიჩი დიქსონიც** შეხვდა.

ბოლო შეხვედრის საუბრის თემა, ცხადია, განვლილი ტურნირი, მისი საორგანიზაციო საკითხებისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ასპარეზობის შეფასება იყო. ამასთან, საინტერესო გამოდგა ინფორმაცია ეროვნული ნაკრების მსოფლიოს თასზე ასპარეზობისთვის მზადების გეგმებზე.

გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„ტურნირი ძალიან კარგი გამოვიდა. საამისოდ ბევრი ვიშრომეთ. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე, როგორც ქართულმა, ისე IRB-ს გუნდმა შესანიშნავად იმუშავა. ცხადია, მზადება ერთი ან ორი კვირით ადრე არ დაგვიწყია. ტურნირის ორგანიზებაზე ზრუნვას ოთხი თვით ადრე შევუდექით და ყოველდღე ბეჯითად ვშრომობდით.

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გამართვამ ქართულ რაგბის სერიოზული დივიდენდები მოუტანა. ჩვენი ავტორიტეტი რაგბის საერთაშორისო საბჭოში დიდი იყო, თუმცა ამ ტურნირის შემდეგ ის კიდევ უფრო გაიზარდა. შეჯიბრების დასრულების შემდეგ საბოლოო შეკრებაზე IRB-ს განვითარებისა და საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მარკ იგანმა პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე განაცხადა, რომ აქამდე გამართული ტურნირები თბილისში ჩატარებულ შეჯიბრებასთან ახლოსაც ვერ მივა.

ამ განცხადებით, ცხადია, მან აწყენინა ჩილეს, კენიას და რუსეთს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ, სქართველომ დავამკვიდრეთ ახალი სტანდარტი და ამიერიდან სწორება თბილისში გამართულ ტურნირზე იქნება.

ტურნირის ორგანიზებისას ძალიან ბევრი ვიკამათეთ იმის თაობაზე, თუ რა გვექნა, წავსულიყავით მარტივი, იაფი გზით თუ სტუმრები უმაღლეს დონეზე მიგვეყო. გადავწყვიტეთ, მეორე გზა აგვერჩია და არც შევმცდარვართ. გუნდები და სტუმრები თბილისის ყველაზე მაღალი დონის სასტუმროებში მოვათავსეთ. ყველა მათგანს ჰქონდა შესანიშნავი საცხოვრებელი, სავარჯიშო და დასვენების პირობები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაყურებელი. ყველა - ტურნირში მოასპარზე მორაგბეები, მწვრთნელები და IRB-ს მოხელეები აღფრთოვანებულნი არიან ქართველი ქომაგების ქცევის კულტურით, რაგბის სწორი აღქმით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნამდვილად სარაგბო ქვეყანა ვართ. თბილისიდან ყველა ქვეყნის დელეგაცია უაღრესად კმაყოფილი გაემგზავრა და ეს, ცხადია, ძალიან გვახარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტურნირის გამართვით არა მარტო რაგბის კავშირმა მიიღო „პოლიტიკური" დივიდენდები, არამედ ქვეყანაში დარჩა 600-დან 700 ათას ლარამდე შემოსავალი. ანუ ქვეყანამ ფინანსურადაც იხეირა, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მსგავსი და უფრო მასშტაბური ტუნირების გამართვა ყოველმხრივ საშური საქმეა.

IRB-მ უკვე შემოგვთავაზა ჩავატაროთ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. უნდა ავირჩიოთ 2014, 2015 ან 2016 წელი. აღსანიშნავია, რომ ამ დონის ტურნირის თამასა ბევრად მეტია. საჭიროა ორი სტადიონი, რომელიც მინიმუმ ხუთი ათას მაყურებელს იტევს. რაც ამჟამად ჩვენ არ გაგვაჩნია. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ მალე დასრულდება დიდ დიღომში, რუსთავსა და ბათუმში სარაგბო სტადიონების მშენებლობა. ჩვენ შეგვიძლია ტურნირი, რომელშიც 12 გუნდი ასპარეზობს, ორ ქალაქში, თბილისსა და ბათუმში ჩავატაროთ. კარგი იქნებოდა, ამ შეჯიბრებისთვის ქუთაისსაც ემასპინძლა, მაგრამ იქ სათანადო ინფრასტრუქტურა (აეროპორტი, სასტუმროები) არ აქვთ.

გამორიცხული არ არის, IRB-ს ერთა თასი, რომელიც ამჟამად ბუქარესტში იმართება, თბილისში გადმოვიტანოთ. თუმცა, ალბათ, მოგვიწევს არჩევა, ან შავი ზღვის საკლუბო შეჯიბრება ან IRB-ს ერთა თასი. ვფიქრობთ, რომ რაგბის განვითარებისთვის უპრიანი იქნება თბილისში სანაკრებო ტურნირების ორგანიზება.

რაც შეეხება შეჯიბრების სპორტულ მხარეს, მაყურებელმა საკმაოდ დიდი დონის რაგბი იხილა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. დავინახეთ, რომ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. რადიკალურადაა შესაცვლელი მიდგომა. თუ ბავშვთა ასაკიდან არ დავიწყეთ ცვლილებები, არაფერი გამოგვივა.

ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მეტოქეები რუსეთი, ესპანეთი, რუმინეთი და პორტუგალია აღარ არიან. მაგრამ იმ დონეზეც არ ვართ, რომ ელიტარულ გუნდებს ვეპაექროთ. სადღაც შუაში ვართ გაჩერებული და უკან სვლა რომ არ მოხდეს, სასწრაფოდაა ზომები მისაღები. ვფიქრობთ, და ალბათ, ამის შესახებ რაგბის კავშირის გამგეობაზეც ვიმსჯელებთ, რომ სარაგბო აკადემიის მთავარ მწვრთნელად უცხოელი ჩამოვიყვანოთ. მანვე უნდა უხელმძღვანელოს ასაკობრივ ნაკრებებსაც. მათთან ერთად იმუშავებენ და ისწავლიან რიჩი დიქსონის მიერ ორგანიზებული განვითარების ჯგუფის წევრები, რომლებიც ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. ისინი მიღებულ ცოდნას კლუბების მწვრთნელებს გაუზიარებენ და მათ გააკონტროლებენ კიდეც.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მსვლელობისას თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ ინგლისის „ჰართპულის სარაგბო აკადემიის" ხელმძღვანელები, რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმდა. ამ კონტრაქტის მიხედვით, ჩვენ საშუალება გვეძლევა აკადემიაში თითო წლით ორ-ორი ახალგაზრდა მოთამაშე მივავლინოთ. წლეულს, სეტემბრიდან ჰართპულში გიორგი ტყეშელიაძე (ყოჩები) და მერაბ შარიქაძე (აკადემია) გაემგზავრებიან. ვფიქრობ, ამ აკადემიასთან თანამშრომლობა სასიკეთოდ წაადგება ქართული რაგბის განვითარებას.

წინ ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება გვაქვს. IRB-ს ერთა თასის გათამაშების დასრულების შემდეგ რიჩი დიქსონი მორაგბეებს დასვენების საშუალებას მისცემ და მერე მსოფლიო თასზე წამსვლელთა ვინაობას დაასახელებს. მზადება თბილისში ხუთი ივლისიდან დაიწყება. ორი კვირის შემდეგ კი გუნდი საფრანგეთში გაემგზავრება, სადაც საწვრთნელი შეკრების პარალელურად, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩატარებს ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდებთან. ახალ ზელანდიაში კი ხუთ სექტემბერს ჩავალთ და ცხრა დღეში პირველ მატჩს შოტლანდიის ნაკრებთან გავმართავთ"

ლეგიონერები

პერიგო მიზანს მიუახლოვდა, ბეზიე ისევ საეჭვოა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის უმრავლეს დივიზიონებში გათამაშება დიდი ხანია დამთავრდა. ერთადერთი, ვინც აქამდე ჯერ კიდევ ერთი საფეხურით აღზევებისთვის იბრძვის, ფედერალ 1 დივიზიონის გუნდებია.

აქ პლეი ოფის ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი ასპარეზეობს. **შალვა სუთიაშვილის, არჩილ კობაურის, სანდრო ესაკიასა** და **დავით დადუნაშვილის** „მასი" შინ დამარცხდა **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოსთან" - 17:24.

მასპინძლებმა წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პირველ ნახევარში შეძლეს, თუმცა ტაიმი მაინც წააგეს - 10:14. შესვენების შემდეგ ინიციატივა პერიგოელებმა იგდეს ხელთ და 51-ე წუთისთვის უკვე 21:10-ს იგებდნენ. მასპინძლებმა მდგომარეობის გამოსწორება მატჩის მინურულსღა შეძლეს, მაგრამ მხოლოდ ანგარიშის შვიდ ქულამდე შემცირება მოახერხეს.

აშვეთიამ, სუთიაშვილმა და ზიბზიბაძემ სრულად ითამაშეს, დადუნაშვილი 42-ე წუთზე, სამი წუთის შემდეგ კი მარგველაშვილი ნინიძემ შეცვალა, ესაკია და კობაური განაცხადში არ იყვნენ.

განმეორებითი შეხვედრა ერთი კვირისთავზე პერიგოში გაიმართება. უნდა ვივარაუდოთ, რომ პერიგოელები შვიდქულიან უპირატესობას ქარს არ გაატანენ და პლეი ოფის ფინალში გააღწევენ, რაც ავტომატურად იძლევა ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიე" შინ ეთამაშა „ტიროსს" და 19:15 მოუგო. ლანგედოკელები თავიდან დაეუფლნენ უპირატესობას და 48-ე წუთისთვის 13 ქულით დაწინაურდნენ - 19:6. სამწუხაროდ, ჩვენებურთა გუნდმა ასეთი ხელსაყრელი სხვაობის შენარჩუნება ვერ შეძლო და მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით მოიგო.

მალაღურაძემ შუამარბის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ითამაშა, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო. განმეორებით შეხვედრას ბეზიელები ერთი კვირისთავზე სტუმრად გამართავენ ტისროსში. ორი მატჩის ჯამში გამარჯვების შემთხვევაში „ბეზიე" ფინალის სგზურთან ერთად ელიტურ, მეორე დივიზიონში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ნახევარფინალი	
მასი-პერიგო	**17:24**
ბეზიე-ტიროსი	**19:15**

ბურთით თედო ზიბზიბაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი

ვარსკვლავებით მოჭედილი იტალიის ცა

იტალიაში დაიწყო მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელშიც ელიტური სარაგბო ქვეყნების 12 გუნდი ასპარეზობს. პირველი ტურის შეხვდრებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რაც უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, A ჯგუფში არგენტინის ნაკრების უელსელ თანატოლებთან დიდი ანგარიშით მარცხია - 8:34. ამავე ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი ზელანდიის ნაკრებმა მასპინძელთა გუნდი 64:7 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ „უმცროს ოლ ბლექსში" რამდენიმე ისეთი მორაგბე თამაშობს, რომლებსაც უკვე ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის გამოცდილება აქვთ. ესენია: მეორეხაზელი **სემ ვაითლოქი,** მგეზავი **აარონ კრადენი,** გარემარბი **ზაგ გილფორდი** და შუამარბი **რაიან კროფთი.**

ასევე დიდი ანგარიშით მოიგო B ჯგუფის ფავორიტმა ავსტრალიის ნაკრებმა ტონგელ თანატოლებთან დაპირისპირებაში - 54:7. ფრანგებმა კი გაჭირვებით სძლიეს ფიჯელებს 24:12.

პირველი გამარჯვება მიითვალა ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა. „უმცროსმა ბოკემ", რომელიც C ჯგუფში ასპარეზობს, შოტლანდიის ნაკრებს მშრალი ანგარიშით 33:0 მოუგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ამბიციების საფუძველი. ობა.

ამავე ჯგუფში ინგლისის ნაკრებს, მართალია, ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო ირლანდიელების წინააღმდეგობის დაძლევა - 33:25.

A ჯგუფი

არგენტინა-უელსი 8:34, იტალია-ახალი ზელანდია 7:64,

საბურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია - 5 ქულა, 2. უელსი - 5, 3. არგენტინა - 0, 4. იტალია - 0.

B ჯგუფი

ავსტრალია-ტონგა 54:7, საფრანგეთი-ფიჯი 24:12

საბურნირო მდგომარეობა

1. ავსტრალია - 5 ქულა, 2. საფრანგეთი - 4, 3. ფიჯი - 0, 4. ტონგა - 0

C ჯგუფი

ინგლისი-ირლანდია 33:25, სამხრეთ აფრიკა-შოტლანდია 33:0

საბურნირო მდგომარეობა

1. სამხრეთ აფრიკა - 5 ქულა, 2. ინგლისი - 5, 3. ირლანდია - 0, 4. შოტლანდია – 0.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

ტაისონს ოცნება აუხდა

აღიარებულები

ამერიკის ქალაქ კანასტოტში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც კრივის დიდების საერთაშორისო დარბაზში ახალი წევრები შეიყვანეს - **კონსტანტინ ცზიუ, მაიკ ტაისონი, ხულიო სესარ ჩავესი**, ცნობილი მწვრთნელი **იგნასიო ბერისტაინი**, რეფერი **ჯო კორტესი**, აგრეთვე ცნობილი მსახიობი **სილვესტერ სტალონე**.

ბევრი სპეციალისტის გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ისეთ სახელოვან მოკრივეებს, როგორებიც არიან ტაისონი და ჩავესი, აქამდე არ ერგოთ ეს პატივი. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. მაგალითად, ლეგენდარული სუპერმძიმეწონოსანი **ჯორჯ ფორმენი** საპატიო სიაში მხოლოდ 2003 წელს შეიყვანეს. *„სიმართლე ითქვას, არ მჯერა მომხდარის. მიძნელდება საკუთარი ემოციების შეკავება. ამაზე ვოცნებობდი“*, - განაცხადა საზეიმო ცერემონიაზე ტაისონმა.

საგულისხმოა, რომ კრივის დიდების დარბაზში უკვდავყვეს არა მარტო მოკრივეები, არამედ ის პიროვნებებიც, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კრივის პოპულარიზაციაში. ამ მიმართულებით აღნიშნეს ჰოლივუდის ვარსკვლავის **სილვესტერ სტალონეს** მიღწევები, რომელმაც სახელი გაითქვა კრივზე შექმნილი ფილმით - „როკი“. სურათი ეკრანებზე 1976 წელს გამოვიდა და მომდევნო წლებში მაყურებელმა **როკი ბალბოაზე** ისტორიის კიდევ ხუთი ნაწილი იხილა.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ამერიკელმა **ევანდერ ჰოლიფილდმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მეხუთედ მოგების სურვილი. ცნობილ მძიმეწონოსანს ძმები **კლიჩკოებისთვის** საჩემპიონო ქამრის (ან ქამრების) წართმევა აქვს განზრახული.

„დღეს ბევრი ლაპარაკია ძმებ კლიჩკოებზე. ვინც რა უნდა თქვას, ისინი - შესანიშნავი მოკრივეები არიან. მაგრამ ძმების პრობლემა ის არის, რომ მათ არასოდეს ჰყოლიათ ღირსეული მონინაალმდეგეები.

ამიტომაც არავინ იცის რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ძმები ისეთ მოკრივეებს შეხვდებიან, რომლებსაც პრესინგი და მუდმივად შეტევაში ყოფნა შეუძლიათ. ჩვენ შეიძლება ეს ვერასოდეს გავიგოთ.

მაგრამ მე მზად ვარ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი მაქვს რომელიმე კლიჩკოს დასამარცხებლად. თუ ეს მოხდება, მაშინ ტიტულს მოვიგებ და მშვიდად გავალ პენსიაზე“, - ამბობს თავის ბოლო ინტერვიუში ჰოლიფილდი.

■ ■ ■

ცნობილმა პრომოუტერმა **ბობ არუმმა** ამა წლის 3 დეკემბრისთვის მორიგი საინტერესო ბრძოლა დაგეგმა. ეს იქნება მატჩრევანში **მიგელ კოტოსა** და **ანტონიო მარგარიტოს** შორის.

ცოტა ხნის წინ პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონი, პუერტორიკოელი მიგელ კოტო საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონის, მექსიკელი **ხულიო სესარ ჩავეს-უმცროსის** ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ განიხილებოდა. მაგრამ პრომოუტერული კომპანია Top Rank-ის შეფმა ბობ არუმმა განაცხადა, რომ ჩავესი ჯერ მზად არ არის კოტოს დონის მოკრივესთან საჩხუბრად.

ამიტომაც არუმი პირველად გეგმას დაუბრუნდა: ეს არის რევანში კოტოსა და მსოფლიოს ყოფილ სამგზის ჩემპიონ ანტონიო მარგარიტოს შორის. პუერტორიკოელმა 2008 წლის ზაფხულში ნაგო მექსიკელთან. ტექნიკური ნოკაუტი მე-11 რაუნდში დაფიქსირდა.

მატჩრევანშის გამართვა 3 დეკემბერს ნიუ-იორკშია დაგეგმილი. თავდაპირველი ჩანაფიქრით ბრძოლის ჩატარების თარიღი იყო 17 სექტემბერი, მაგრამ მარგარიტომ შარშან ნოემბერში **მენი პაკიაოსთან** ბრძოლისას თვალი სერიოზულად დაიზიანა და ოპერაცია გადაიტანა. მექსიკელი მხოლოდ ივლისის დასაწყისში შეძლებს სპარინგების ჩატარებას.

● ჩოგბურთი. ტურნირების წინ

ბოლო რეპეტიცია უიმბლდონამდე

უიმბლდონის დაწყებამდე ბოლო მოსამზადებელი კვირა ორ ქალაქში ჩაივლის. ბრიტანეთის ისტბურნსა და ჰოლანდიის ჰერტოგენბოშში პარალელურად ითამაშებენ მამაკაცი და ქალი ჩოგბურთელები.

ATP

UNICEF Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: ნიკოლას ალმაგრო, მარკოს ბაღდატისი, ქსავიე მალისე, ივან დოდიგი, იარკო ნიემინენი, ადრიან მანარინო...

ჰერტოგენბოშში საშუალო დონის მოთამაშეები იკრიბებიან. შარშან აქ უკრაინელმა **სერგეი სტახოვსკიმ** გაიმარჯვა, მაგრამ ამჯერად მან ისტბურნის ტურნირში თამაში ამჯობინა და შარშანდელი სარეიტინგო ქულები დაუცველი დატოვა.

განთესვის ლიდერი იქნება **ნიკოლას ალმაგრო**, რომელსაც კარიერაში ათი ტიტული აქვს მოგებული, მათ შორის სამი მიმდინარე სეზონში, თუმცა ამ ჩამონათვალში არც ერთი არ არის ბალახის შეჯიბრება. ამიტომაც პოტენციურ ფავორიტებს შორის მისი დასახელება შეცდომა იქნებოდა.

მსოფლიოს ყოფილი მერვე ნომერი **მარკოს ბაღდატისი** აქ მეოთხედ ითამაშებს. საუკეთესო მიღწევა 2006 წელს ჰქონდა - ნახევარფინალი, თუმცა მისი დღევანდელი ფორმა ისევე შორს არის იდეალურისგან, როგორც ალმაგროს თამაში ბალახის საფარზე.

AEGON International

ისტბურნი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 410 925 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: ჟოვილფრიდ ცონგა, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, იანკო ტიპსარევიჩი, გილერმო გარსია ლოპესი, სერგეი სტახოვსკი...

გამარჯვებაზე მთავარ პრეტენდენტად აქ **ჟო-ვილფრიდ ცონგა** უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც წინა კვირას ფინალამდე მიაღწია ლონდონში და გუშინ უნდა ეთამაშა გადადებული ფინალი **ენდი მიურეისთან**. რაც ყველაზე მთავარია, ფრანგმა მეოთხედფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანის **რაფაელ ნადალის** დამარცხება შეძლო. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ ზედიზედ ორ ტურნირზე თამაშმა, შესაძლოა, უიმბლდონის წინ არასაჭირო დაღლილობა მოიტანოს, ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ცონგამ დიდად ბრძოლით თავი არ მოიკლას.

სხვათა შორის, შარშან აქ ასევე ფრანგი ჩოგბურთელი გახდა გამარჯვებული - **მიკაელ ლოდრამ** ფინალში **გილერმო გარსია ლოპესი** დაამარცხა.

კიმ კლაისტერსი

WTA

UNICEF Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: კიმ კლაისტერსი, სვეტლანა კუზნეცოვა, იანინა ვიკმაიერი, ფლავია პენეტა, დომინიკა ციბულკოვა, მარია კირილენკო...

ჰერტოგენბოშის ქალთა ტურნირშიც რთულია ფავორიტის დასახელება. ჰოლანდიურ ბალახზე ითამაშებს **კიმ კლაისტერსი** და შეეცდება მაქსიმალურად სწრაფად მოახდინოს ადაპტირება ახალ საფარზე. ნომინალურად ის შეიძლება მოვიხსენიოთ გამარჯვებაზე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად, მაგრამ ჯერ არ ვიცით რამდენად ჯანმრთელია ბელგიელი და რამდენად არის მზად სათამაშოდ.

AEGON International

ისტბურნი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 618 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: ვერა ზვონარევა, ნა ლი, ვიქტორია აზარენკა, ფრანჩესკა სკიავონე, პეტრა კვიტოვა, მარიონ ბარტოლი, სამანტა სტოსური, სერენა უილიამსი, ვენუს უილიამსი...

ამ კვირას გასამართი ტურნირებიდან აქ ყველაზე ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი - რეიტინგის საუკეთესო ათეულის შვიდი წარმომადგენელი ითამაშებს ისტბურნში.

სწორედ აქ უბრუნდებიან პროფესიულ ტურს დები **უილიამსები** - ვენუსი ოთხთვიანი და სერენა ერთწლიანი პაუზის შემდეგ. რა თქმა უნდა, მათ სპორტულ ფორმაზე ლაპარაკი შეუძლებელია - ყველაფერს პირველი წრის მატჩები გამოაჩენს.

განთესვის ლიდერია **ვერა ზვონარევა**, რომელმაც შარშან უიმბლდონის ფინალში ითამაშა. რუსი აქ ფავორიტია, მაგრამ მეტოქეებიც ძალიან ძლიერი ჰყავს.

საინტერესო იქნება **ნა ლიზე** დაკვირვება - როლან გაროსის ახალი ჩემპიონი პარიზული ტრიუმფის შემდეგ პირველად ითამაშებს. ბევრს ელიან **ვიქტორია აზარენკასგან**, რომელიც წელს ძალიან ძლიერად თამაშობს, მაგრამ „დიდი სლემის“ ტურნირებზე მეოთხედფინალი მისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა. ყურადღება უნდა მივაქციოთ **პეტრა კვიტოვასა** და **სამანტა სტოსურსაც**...



მარტინა ნავრატილოვა

ნავრატილოვას პროგნოზი

უიმბლდონის წინ ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდამ **მარტინა ნავრატილოვამ** ინტერვიუ მისცა ბრიტანულ გაზეთ The Daily Mail-ს, სადაც „დიდი სლემის“ მორიგ ტურნირზე დები **უილიამსების** შანსებზე ილაპარაკა, აგრეთვე მამაკაცთა და ქალთა ბადეში საკუთარი ფავორიტები დაასახელა.

„დღეს რთულია ვენუსისა და სერენას სპორტულ ფორმაზე რაიმე გარკვეულის თქმა, მაგრამ არ მგონია, რომელიმე მათგანმა წელს უიმბლდონის მოგება შეძლოს. თუ სერენას საავარაუდო მოგებაზე ვილაპარაკებთ, ეს იგივეა, ფსონს ჩახვიდე ძალიან ჯიშიან ცხენზე, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში დოღში არ მიუღია მონაწილეობა.

დღეს ძალიან კარგ ფორმაშია ჩინელი ნა ლი და ლონდონში გამარჯვებაზე ფიქრი შეუძლია. ბუკმეიკერთა ფავორიტია მარია შარაპოვა. ასევე არ უნდა დავივიწყოთ კაროლინ ვოზნიაცკი და ვიქტორია აზარენკა.

რაც შეეხება მამაკაცთა ბადეს, რეიტინგის საუკეთესო ოთხეულის წევრებს გამოვყოფდი და მათ რობინ სიოდერლინგს დავუმატებდი. ბოლოს დროს ძალიან მოუმატა თამაშს ენდი მიურეიმ, ამიტომაც წარმატებაზე მისი შანსი საკმაოდ გაიზარდა“, - ამბობს ნავრატილოვა.

მარტინას სამწვრთნელო კარიერის შესახებ დაუსვეს კითხვა. ჟურნალისტები გულისხმობდნენ სერბ ანა ივანოვიჩთან სავარაუდო თანამშრომლობას, რაზეც ამერიკელმა უპასუხა, რომ სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს ახალ ამპლუაში. მან აგრეთვე პოზიტიურად შეაფასა როლან გაროსის 2008 წლის ჩემპიონის შესაძლებლობები.

„ეჭვგარეშეა, რომ ანას უდიდესი ნიჭი აქვს“, - განაცხადა ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი



დალასი ჩემპიონია

თასი საიმედო ხელშია

სერიის მეექვსე მატჩში „დალასმა“ სტუმრად მოუგო „მაიამის“ და თავის ისტორიაში პირველად მოიგო NBA-ის ჩემპიონატი. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალური სერიის MVP გერმანელი **დირკ ნოვიცკი** გახდა.

მატჩის წინ „ჰიტის“ დამრიგებელმა **ერიკ სპოელსტრამ** შემადგენლობაში გარკვეული გადაადგილებები მოახდინა. ასე მაგალითად, როგორც იქნა, სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა „მაიამის“ საუკეთესო გამთამაშებელი **მარიო ჩელმერსი**, ფორმიდან ამოვარდნილი **მაიკ ბიბი** კი ღრმა რეზერვში გადაისროლეს. სათადარიგოთა სკამიდან კი მოედანზე ვეტერანი **ედი ჰაუსი** შედიოდა. როგორც აღმოჩნდა, ამ გადაადგილებებმა მხოლოდ სარგებლობა მოუტანა „ჰიტს“.

პირველმა წუთებმა მასპინძელთა კარნახით ჩაიარა. წინა მატჩების ჩაგდებისთვის გვარიანად გაკრიტიკებულმა **ლებრონ ჯეიმსმა** სიტუაციის გამოსწორება სცადა - ფლორიდელთა ფორვარდმა ზედიზედ ჩააგდო თავისი გუნდის პირველი ოთხი სროლა, რითაც „დალასის“ დაცვის პრობლემები გამოაჩინა. ლებრონის გარდა, ჩვეულებრივ აქტიური იყო **დუეინ უეიდი**, რომელიც საფირმო გარღვევებით აწუხებდა „მავერიქსის“ უკანა ხაზს.

თუმცა „დალასი“ ამის გამო დიდად არ დანაღვლიანებულა. ბარეას შესანიშნავი თამაშით სტუმრებმა მეტოქეს შორს წასვლის საშუალება არ მისცეს, ცოტა ხანში კი წინ გასვლაც მოახერხეს. თავის მხრივ, უკან დახევას არც „მაიამი“ აპირებდა. ტაიმ-აუტის შემდეგ მეოთხედის შუა ნაწილიდან მოყოლებული, „ჰიტი“ უკანმოუხედავად გაიქცა. შესანიშნავი შეთამაშება აჩვენეს „დიდი ტრიოს“ წევრებმა და ამან მასპინძლებს ცხრაქულიანი უპირატესობა მოუტანა. **რიკ კარლაილმა** მაშინვე უპასუხა - საუკეთესო სათადარიგო **ჯეისონ ტერი** შეუშვა მოედანზე. მცველი შესანიშნავად ჩაერთო თამაშში და რამდენიმე წუთში გაათანაბრა სიტუაცია. თუმცა სტუმრებს პრობლემები მრავლად ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ დირკ ნოვიცკიმ და **ტაისონ ჩენდლერმა** ორორი სწრაფი ფოლი მიიღეს, გერმანელს სროლა საერთოდ არ მისდიოდა. პირველ ტაიმში „მავერიქსის“ ლიდერმა თამაშიდან 12-ჯერ ისროლა და მხოლოდ ერთი ჩააგდო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ტექსასელები პირველ შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მეორე მეოთხედი „დალასის“ შთამბეჭდავი გაქცევით დაიწყო. წარმოიდგინეთ - ჯერ კიდევ პირველი 12-წუთეულის მსვლელობისას კარლაილის შეგირდები ცხრა ქულას აგებდნენ, მეორე მეოთხედის პირველ წუთებში კი მათი უპირატესობა 12 ქულას შეადგენდა! როგორც ყოველთვის, სტუმრები შორეული ტყორცნებით აწუხებდნენ მეტოქეს, მთავარი სნაიპერი კი **დეშოუნ სტივენსონი** გახდა, რომელმაც მოკლე დროში სამი სამქულიანი მოათავსა კალათში.

თუმცა „ჰიტმა“ მოიგერია შემოტევა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „მაიამიმ“ კონტრდარტყმა მაშინ განახორციელა, როცა სპოელსტრამ სათადარიგოთა სკამზე დასვა ჯეიმსი. მის ნაცვლად შემოსული ედი ჰაუსი შესანიშნავად ჩაერთო გუნდურ თამაშში. მას კარგად გამოსდიოდა საფირმო სამქულიანები. გარდა ამისა, საუკეთესო თვისებები გამოავლინა **კრის ბოშმა**. თავის თანაგუნდელებს შორის მას ყველაზე კარგად მისდიოდა თამაში, მაგრამ მაინც ვერ გახდა თავისი გუნდის წარმატების მთავარი ფაქტორი. ამასობაში, ჰაუსის კიდევ ერთმა სამქულიანმა მასპინძლები წინ გაიყვანა. იქვე დეშოუნ სტივენსონმა ჩხუბი აუტეხა **უდონის ჰასლემსა** და მარიო ჩელმერსს. არბიტრებმა სამივეს ტექნიკური პერსონალურები ჩამოურიგეს. პირველი ტაიმი „დალასის“ მინიმალური უპირატესობით დასრულდა - 53:51.

დიდი შესვენების შემდეგ „ჰიტი“ აგრძელებდა ზეწოლას ტექსასელებზე. თითქოს მასპინძლები დაცვაში ყველაფერს სწორად აკეთებდნენ, მაგრამ **ბარეას** ფანტასტიკური ტყორცნების გადამკიდე ანგარიშს ვერ ათანაბრებდნენ. თანაც გამოფხიზლდა ნოვიცკი. პირველი ტაიმის ჩაგდების შემდეგ გერმანელმა საჭირო რიტმი დაიჭირა და ახლა არა მხოლოდ საჯარიმოს ხაზიდან, არამედ თამაშიდანაც ზუსტად ისროდა. ამავდროულად, ფლორიდელებს სერიოზული და ყოველად აუხსნელი პრობლემები ჰქონდათ საჯარიმოების სროლისას. 33-დან 20 ზუსტი თავისუფალი ტყორცნა - შესაძლოა, სწორედ ეს ქულები არ ეყო „მაიამის“ მატჩის მოსაგებად. საბოლოოდ, სტუმრებმა ბოლო მეოთხედის წინ ცხრაქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

ასეთი ჰანდიკაპის გასაბათილებლად „ჰიტს“ აღმაფრენა სჭირდებოდა, მაგრამ ჯეისონ ტერის ორი სამქულიანის შემდეგ მასპინძლები საბოლოოდ დაიბნნენ. **ბრაიან კარდინალიც** კი სასარგებლო იყო მოედანზე - ის პერსონალურებს იღებდა, რადგან იცოდა, რომ ჯარიმების ასეთი რეალიზაციით „მაიამის“ მეტოქის დაწევის შანსი არ ექნებოდა. „ჰიტის“ უნიათობის პიკი გახდა მეოთხედის შუა ნაწილი, როცა მასპინძლებმა რამდენჯერმე მიიღეს იოლი სამქულიანის შესრულების შანსი, მაგრამ სროლა ვერავინ გაბედა. ფლორიდელები იქვე დაისაჯნენ. თავიდან ტაისონ ჩენდლერმა მოიგო შეტევაში რამდენიმე მოხსნა, რის შემდეგაც დირკმა და კიდმა ზუსტი საშუალო ტყორცნებით საბოლოოდ მოუსპეს „მაიამის“ მატჩის გადარჩენის შანსი.

ასე მოიგო თავისი პირველი ჩემპიონობა „დალასმა“, მისი ლიდერი დირკ ნოვიცკი კი რჩეულთა რიგებში მოხვდა - მან ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი მოიგო. სხვათა შორის, დირკი მეორე ევროპელია **ტონი პარკერის** (2007) შემდეგ, ვინც ეს პრესტიჟული ტიტული მიიღო.

„დალასის“ მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** მადლობა გადაუხადა თავის მოთამაშეებს ბედნიერი წამებისთვის, მატჩის საუკეთესო მოთამაშე ჯეიმსონ ტერი საკუთარ ბიცეპსს კოცნიდა, რომელზეც ჯერ პლეი ოფის დაწყებამდე ამოასვირინგა საჩემპიონო თასი, 38 წლის ჯეისონ კიდი კი კარიერის დასრულების უკეთეს საშუალებას ვერ მოიფიქრებდა. რაც შეეხება ლებრონს, მან კინაღამ იტირა, ბოლოს კი დიდხანს პასუხობდა ჟურნალისტთა შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად ასეთი ხასიათისა იყო - რა ემართება „მეფეს“, როცა გადამწყვეტი მატჩების დრო დგება?!

ფინალი. VI მაჩი

მაიამი-დალასი	**95:105**

27:32, 24:21, 21:28, 15:13

მ: ჯეიმსი (21+6 პასი), ბოში (19+8 მოხსნა), ჩელმერსი (18+7 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (17+8 მოხსნა+6 პასი+2 დაფარება), ჰასლემი (11+9 მოხსნა), ჰაუსი (9), ენგონი, ჰოვარდი, მილერი.

დ: ტერი (27), ნოვიცკი (21+11 მოხსნა), ბარეა (15), მერინონი (12+8 მოხსნა), კიდი (9+8 პასი), სტივენსონი (9), ჩენდლერი (5+8 მოხსნა), მაინმი (4), კარდინალი (3).

სერია: 2-4

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ნორვეგია

ჰაუგესუნდი-ვიკინგი	2:0
ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი	1:1
მიოლდე-სტარტი	5:1
სტაბეკი-ოლესუნდი	1:2
ფრედრიკსტადი-სარპსბორგი	1:1

II დივიზიონი

ალტა-ასკერი	3:4
ჰიოდი-რანჰაიმი	0:0
ჰიონეფოსი-ბოდო გლიმტი	3:2
კონგსვინგერი-სტრიომენი	1:1
მიონდალენი-ჰამ კამი	1:3
ნილი-ლოვ ჰამი	3:1
სანდნესი-რანდაბერგი	4:2

შვედეთი

ჰელსინგბორგი-გაის	1:1
გიოტებორგი-იურგორდენი	0:4
ერებრუ-ტრელებორგი	4:2

II დივიზიონი

იონჩოპინგი-ოსტერი	0:3

ფინეთი

იარო-იუვიასკიულა	1:1
ინტერი-მარიეჰამნი	2:0

II დივიზიონი

ლაჰტი-ჰამეენლინა	4:0

ირლანდია

დანდალკი-სტ. პატსი	1:2
შემროკი-დერი	1:1

ისლანდია

ტორი-ჰაფნარი	2:2

კალათბურთი

იტალია

მონტეპასკი-კანტუ	81:69

ჩოგბურთი

ATP. ლონდონი

მიურეი-ცონგა	3:6, 7:6, 6:4

ATP. ისტბურნი

შტეპანეკი-ფლემინგი	6:3, 6:4
დიმიტროვი-ევანსი	2:6, 7:6, 6:4
დოლგოპოლოვი-ბერლოკი	5:7, 2:6
სეპი-კამკე	3:6, 6:1, 6:4
ანდუხარი-კუნიცინი	5:7, 1:6
ბენეტო-სვიტინგი	6:2, 7:6
კუკუშკინი-ლუ	6:3, 6:3

ATP. პერტოგენბოში

მაუ-მანარინო	7:6, 6:3
ალმაგრო-ბერერი	6:3, 6:7, 4:6
გაბაშვილი-კრავჩუკი	6:4, 1:6, 6:4
გრემელმაირი-ვალტერი	6:3, 7:6
ტურსუნოვი-კენდრიკი	6:2, 7:6
მელო-ვოლანდრი	4:6, 6:7
კლემანი-ბაღდატისი	6:7, 3:6

WTA. ბირმინგემი

ჰანტუხოვა-ლისიცკი	3:6, 2:6

WTA. პერტოგენბოში

ბ. ზახვალოვა-ბაროისი	3:6, 2:6
რობსონი-პარა სანტონხა	5:7, 3:6
დატე-კირილენკო	7:6, 6:2
დულგერუ-ვან უიტვანკი	7:5, 7:6
პენეტა-ა. ბონდარენკო	6:4, 6:4
რუსი-კუზნეცოვა	2:6, 4:6
ბრიანტი-ვიკმაიერი	4:6, 0:6
ამანმურადოვა-ოპრანდი	4:6, 3:6
კლაისტერსი-ნიკულესკუ	7:5, 7:5

WTA. ისტბურნი

პეტკოვიჩი-ვ. უილიამსი	5:7, 7:5, 3:6
კვიტოვა-სევასტოვა	5:7, 6:1, 6:3
ა. რადვანსკა-გაიდოშოვა	7:6, 7:5
აზარენკა-პენგი	6:4, 7:6
სტოსური-პეტროვა	6:1, 6:4
პეერი-მარტინეს სანჩესი	5:7, 3:6

TV პროგრამა

14 ივნისი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
12:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა.
14:00 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
16:00 სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ბაიერნი.
18:00 სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი.
20:00 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი.
21:30 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
23:00 ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექპული-მანჩესტერ იუნაიტედი.
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი

10:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეექვსე მატჩი.

HTB-პლუსი (ონლაინი)

18:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-როსტოვი (LIVE).
20:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ვოლგა (LIVE).

HTB-პლუსი (რვენი ფეხბურთი)

15:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-სპარტაკი (LIVE).
17:30 რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-ტერეკი (LIVE).
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ანჟი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 ATP-ის ტური. II დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
14:30 ATP-ის ტური. II დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
18:30 ATP-ის ტური. II დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).

SPORT+

18:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ნალჩიკი (LIVE).
20:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-დინამო (LIVE).

EUROSPORT

14:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).

კალათბურთი

პოვარდი რჩება და მიდის

ამ ზაფხულს ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო სამიზნე „ორლანდო მეჯიქის“ სუპერცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** იქნება. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კალათბურთელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბში სურს კარიერია გაგრძელება, თუმცა ისიც განაცხადა - არ ვაპირებ „მეჯიქთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას და თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავალო. ჰოვარდი იმასაც ამბობს, რომ თუ „ორლანდოს“ სურს მისი შენარჩუნება, მაშინ სერიოზულად უნდა გადაახალისოს შემადგენლობა, რომელიც NBA-ის ტიტულზე განაცხადებს პრეტენზიას.

„ჩემპიონობის მოგება მინდა, - ამბობს NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ჰოვარდი. - ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობამ ეს კარგად უნდა გააცნობიეროს. ჩვენ გვჭირდება კიდევ 14 კალათბურთელი, რომლებიც ასევე იაზროვნებს. სხვა მიზანი არ მაქვს, სხვა არაფერი მაინტერესებს. ვისურვებდი „ორლანდოში“ დარჩენას, მაგრამ მოქმედი კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებ. აუცილებლად გავალ თავისუფალი აგენტების ბაზარზე, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც მე მსურს და ჩემს დღევანდელ გუნდში დავრჩები“.

■ ■ ■

NBA-ის კიდევ ერთი ცნობილი ცენტრი **ბენ უოლასი** სულ მალე დაუბრუნდება სავარჯიშო პროცესს. ვეტერანი კალათბურთელი უკვე ბევრმა ექსპერტმა გაუშვა პენსიაში, თუმცა თავად „ბიგ ბენი“ ამის გაკეთებას არ აპირებს.

„კარიერის დასრულების შესახებ არ გამომიცხადებია. ასე რომ, არ არის საჭირო ჩემი პენსიაში გაშვება. ერთადერთი, რაც მჭირდება - ფორმის დაბრუნება და ჯანმრთელობაა. სწორედ ამ შემთხვევაში დავბრუნდები თამაშში“, - ამბობს უოლასი.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში ბენი „დეტროიტის“ მაისურით საშუალოდ 2.9 ქულასა და 6.5 მოხსნას აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1

სეზონის საუკეთესო რბოლა

უამრავი პიტსტოპისა და სტიუარდებისგან მიღებული ჯარიმის მიუხედავად, **ჯენსონ ბატონმა** კანადის გრანპრიზე გამარჯვება მოიპოვა, თანაც ბოლო წრეზე გაუსწრო ჩემპიონატის ლიდერ **სებასტიან ფეტელს**.

კანადაში სინოპტიკოსთა პროგნოზი გამართლდა: მონრეალში დილიდან წვიმდა და ტრასა ძალიან სველი იყო. სტარტის წინ ამინდი გამოსწორდა, მაგრამ დირექციამ არ გარისკა და პელოტონმა სტარტი უსაფრთხოების მანქანასთან ერთად აიღო.

რეალური ბრძოლა რამდენიმე წრის შემდეგ დაიწყო და რესტარტისთანავე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ჯერ ერთი, **ლუის ჰემილტონმა** მონაკოს სტილში რბოლა გააგრძელა და პირველივე მოსახვევში დაეჯახა **მარკ უებერს**. არადა, ავსტრალიელმა საკმარისი ადგილი დაუტოვა „მაკლარენის“ პილოტს, მაგრამ კონტრაქტს მაინც ჰქონდა ადგილი. ჰემილტონმა რამდენიმე პოზიცია დაკარგა, უებერის დანაკლისი კი უფრო სერიოზული იყო - სანამ მანქანა შემოატრიალა, მის გვერდით ნახევარმა პელოტონმა ჩაიარა.

ჰემილტონი შემდეგაც ყურადღების ცენტრში იყო. თავიდან **შუმახერს** შეუტია აგრესიულად, მაგრამ მიხაელი მზად აღმოჩნდა: მან არანაკლებ ხისტად დაიცვა ოპტიმალური ტრაექტორია და „მაკლარენის“ პილოტს თანაგუნდელის ჯენსონ ბატონის გატარებამაც მოუწია. ჰემილტონმა მაშინვე სცადა დაკარგული პოზიციის დაბრუნება, მაგრამ ყველაფერი ორი ბრიტანელის შეჯახებით დასრულდა: ლუისი შიდა ტრაექტორიის დაკავებას ცდილობდა, მაგრამ ჯენსონმაც იგივეს გაკეთება მოინდომა და უბრალოდ, კედელს მიანარცხა ლუისი. ერთი შეხედვით, ამ ინციდენტში დამნაშავე ბატონი იყო, თუმცა რადიოში სწორედ ის გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

ჰემილტონმა ნახევარი წრის შემდეგ შეწყვიტა რბოლა და მისმა გაჩერებამ ტრასაზე პესიკარის გამოსვლა გამოიწვია. ბატონმა ავარიის შემდეგ ბოქსებში შესვლა გადაწყვიტა, გარისკა და საშუალედო საბურავები დააყენა. ამასთან, ბრიტანელმა პიტლეინზე სისწრაფეს გადააჭარდა და ამის გამო საჯარიმო დრო მიიღო. ამის შემდეგ „მაკლარენის“ პილოტმა დაკარგული პოზიციების დაბრუნება დაიწყო.

ბოლო, ვისი გასწრებაც ჯენსონმა მოასწრო რუსი **ვიტალი პეტროვი** იყო - ეს გახლდათ ბრძოლა მერვე ადგილისთვის. სულ მალე განვიმდა და უსაფრთხოების მანქანას ისევ მოუწია ტრასაზე გასვლამ.

წვიმა გადაღებას არ აპირებდა. პეისკარმა რამდენიმე წრე ატარა პელოტონი, მაგრამ თითქმის ნული ხილვადობის გამო რბოლის დირექციამ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო - 25-ე წრეზე წითელი დროშები გამოფინა. რბოლა გაურკვეველი ვადით შეწყდა.

პაუზა ძალიან გაინელა: პილოტები თითქმის ორი საათი ისვენებდნენ, სანამ წვიმამ გადაიღო და ტრასამ რბოლის გაგრძელების საშუალება შექმნა. თავიდან პეისკარმა რვა წრე ატარა პელოტონი, რის შემდეგაც ეტაპი ნამდვილად განახლდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგმა რესტარტმა ახალი ავარიები გამოიწვია: ბატონისა და **ფერნანდო ალონსოს** ხისტი ბრძოლა იმით დასრულდა, რომ ბრიტანელმა ესპანელი შეავიწროვა და „ფერარი“ მოცურდა, თანაც ისე, რომ ალონსომ ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. ტრასაზე ისევ უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა.

თუმცა ის დიდი ხანი არ დარჩენილა ტრასაზე და ბრძოლა გაგრძელდა. ფეტელი მაშინვე დაშორდა **კამუი კობაიასისა** და **ფელიპე მასას** წყვილს, ამასთან, ბრაზილიელი ვერაფრით ახერხებდა იაპონელის გასწრებას. მიხაელ შუმახერმა რამდენიმე შეტევის შემდეგ მაინც შეძლო **ნიკ ჰაიდფელდის** გასწრება და მეოთხე ადგილზე გადავიდა.

52-ე წრეზე მიხაელის გულშემატკივრებმა უფრო მეტად გაიხარეს: სანამ მასა და კობაიასი ერთმანეთს ებრძოდნენ, გერმანელი ამ დუეტს დაეწია და ორივეს იოლად აუარა გვერდი: ამით შუმი მეორე ადგილზე გადავიდა!

მასას პრობლემები გაგრძელდა, როცა ბრაზილიელი წრეზე ჩამორჩენილი HRT-ის გასწრებისას ოდნავ მოცურდა და წინა ანტიფრთა დააზიანა - ეს დამატებით პიტსტოპს ნიშნავდა. შემდეგ იგივე შეცდომა დაუშვა ნიკ ჰაიდფელდმა. გერმანელმა მეოთხე ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა, ტრასაზე კი ისევ პეისკარი გამოჩნდა.

ფეტელის უპირატესობა ისევ ნულამდე დავიდა. მას მიჰყვებოდნენ შუმახერი, რომელიც ახერხებდა უებერის შეკავებას, მეოთხე ადგილზე მყოფი ბატონი, კობაიასი, პეტროვი, **ბარიკელო, ალგერსუარი, როსბერგი, მალდონადო** და მასა - მეტად ჭრელი შემადგენლობა. ფინიშამდე 10 წრე რჩებოდა.

რესტარტის შემდეგ ბატონი ყველაზე სწრაფად მოძრაობდა და მალე მან მეორე ადგილზე გადასვლა შეძლო. ბრიტანელს ფეტელზეც უკეთესი ტემპი ჰქონდა და მაქსიმალურად მიუახლოვდა „რედ ბულის“ პილოტს. უებერი ისე მოიხიბლა ჯენსონის მაგალითით, რომ მანაც მოახერხა შუმახერის გასწრება და მესამე ადგილზე გადავიდა.

ჯენსონი კი სულ უფრო და უფრო ამცირებდა ფეტელთან სხვაობას. წინ საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ყველაფერი მარტივად გადაწყდა: სებასტიანი ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა და სანამ მანქანას სწორი მიმართულება მისცა, ბატონმა გვერდით ჩაუარა და სეზონში პირველი გამარჯვებისკენ გაემართა. ექვსი პიტსტოპის მიუხედავად, ჯენსონმა სასწაული მოახდინა და პირველი მივიდა ფინიშთან.

უებერმა პოდიუმის მესამე საფეხურისთვის ბრძოლაში ოდნავ გაუსწრო შუმახერს, მასამ კი ზედ ფინიშის ხაზთან ჩამოიტოვა უჭან კობაიასი და მეექვსე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

ლუის ჰემილტონი: *„პირველ რიგში, მინდა გულწრფელად მივულოცო ჯენსონს - მან ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა და დაიმსახურა გამარჯვება.*

რაც შეეხება ჩემს ავარიებს, უებერის მანქანას მაშინ შევეხე, როცა მან ოდნავ ადრე დაამუხრუჭა პირველ მოსახვევში. საკმარისი ადგილი დამიტოვა, მაგრამ შიდა ბორდიურს შევეხე და არასაკმარისი მანევრირების გამო შევეჯახე მას.

ბატონის გასწრება კი მაშინ ვცადე, როცა ის ცუდად გამოვიდა მოსახვევიდან და შეტევის საშუალება მომცა. შესაძლოა, მან ვერ შემამჩნია და ამიტომაც გადამიკეტა გზა. ადგილი აღარ დამრჩა და კედელს დავეჯახე. რა თქმა უნდა, მას ეს შეგნებულად არ გაუკეთებია: საკმარისად კარგად ვიცნობ ჯენსონს. ის კარგი ბიჭია“.

ჯენსონ ბატონი: *„ბოლო წრეზე ვაინროებდი სებასტიანს, ის ძალიან ფართოდ შევიდა სველ ტრასაზე და ამით კარგად ვისარგებლე. ფანტასტიკური რბოლა იყო. პირველი რომ არ მივსულიყავი ფინიშთან, მაინც კმაყოფილი დავრჩებოდი. შესაძლოა, ეს არის ჩემს კარიერაში საუკეთესო გამარჯვება“.*

სებასტიან ფეტელი: *„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. იმ მოსახვევში მხოლოდ ერთი ტრაექტორია იყო, მე კი ოდნავ დავბლოკე უკანა საბურავები და ტრასის სველ მონაკვეთზე აღმოვჩნდი. ამიტომაც შეძლო ჯენსონმა ასე იოლად გასწრება. მაგრამ მაინც კარგი დღე იყო. ბევრი მანქანა ვერ მივიდა ფინიშთან, მე კი ქულები მოვიპოვე“.*

მიხაელ შუმახერი: *„არ ვიცი, გახარებული ვიყო თუ დამწუხრებული. ფინიშთან ახლოს მეორე ადგილზე ვიყავი და პოდიუმი ძალიან ახლოს იყო. საბოლოოდ ამ პოზიციის შენარჩუნება ვერ შევძელით, თუმცა საბოლოო შედეგით მაინც კმაყოფილები ვართ. გუნდმა ძალიან კარგად იმუშავა“.*

ლუის ჰემილტონი

ჰემილტონი რედ ბულს ელაპარაკება

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში **ლუის ჰემილტონი** და „რედ ბულის“ წარმომადგენლები არაერთხელ ადასტურებდნენ ერთმანეთის მიმართ ინტერესს. ბრიტანელის მოქმედი კონტრაქტი „მაკლარენთან“ 2012 წლის ბოლოს იწურება. ლუისს ბრიტანულ საჯინიბოში ხუთი სეზონი აქვს გატარებული, მაგრამ რეალურად, მხოლოდ ორჯერ ჰყავდა კონკურენტუნარიანი მანქანა. ლუისმა კარიერაში 15 გამარჯვებას მიაღწია და აქედან ათი ტრიუმფი 2007 და 2008 წლებზე მოდის. შემდეგ გამარჯვებებმა იკლო...

მარტის შუაში ლუისმა თავისი ახალი მენეჯერის სახელი გამოაცხადა. ის გახდა **საიმონ ფულერი** - გამოცდილი სპეციალისტი, ფეხბურთელის **დეივიდ ბექჰემისა** და ჩოგბურთელის **ენდი მიურეის** მენეჯერი. სწორედ ამ დროს გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ ჰემილტონი მზად არის სხვა გუნდებთან მოლაპარაკებებისთვის.

პილოტი და „რედ ბულის“ წარმომადგენლები რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. ბოლო შეხვედრა გასულ უქმეებზე მონრეალში იყო - ჰემილტონმა და **კრისტიან ჰორნერმა** 15 წუთი „რედ ბულის“ მოტორჰოუმში ილაპარაკეს.

ლუისს არაერთხელ უთქვამს, რომ უკმაყოფილოა „მაკლარენის“ ბოლიდის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობით, რაც მუდმივად ზღვარზე ბრძოლას აიძულებს. მისი თქმით, სწორედ ამით არის გამოწვეული ბოლო დროს გახშირებული ავარიები.

თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მომავალ სეზონს ჰემილტონი „მაკლარენში“ გაატარებს და კონტრაქტის პირობებს ბოლომდე დაიცავს, მაგრამ შემდეგ შესაძლებელია სატრანსფერო ვარიანტები...

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ბატონის ტრიუმფი

	ავს	მალ	ჩინ	თურ	ესპ	მონ	კან	ევრ 26.06	გრიტ 10.07	გერ 24.07	უნგ 31.07	ბელ 28.08	იტა 11.09	სინ 25.09	იაპ 09.19	ს. კორ 16.10	ინდ 30.10	დუბი 13.11	ბრა 27.11	სულ
ფეტელი (რედ ბული)	25	25	18	25	25	25	18	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	161
ბატონი (მაკლარენი)	8	18	12	8	15	15	25	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	101
უებერი (რედ ბული)	10	12	15	18	12	12	15	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	94
ჰემილტონი (მაკლარენი)	18	4	25	12	18	8	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	85
ალონსო (ფერარი)	12	8	6	15	10	18	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	69
მასა (ფერარი)	6	10	8	--	--	--	8	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	32
პეტროვი (რენო)	15	--	2	4	--	--	10	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	31
ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო)	--	15	--	6	4	4	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	29
მ. შუმახერი (მერსედესი)	--	2	4	--	8	--	12	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	26
როსბერგი (მერსედესი)	--	--	10	10	6	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	26
კობაიასი (ზაუბერი)	--	6	1	1	1	10	6	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	25
სუტილი (ფორს ინდია)	2	--	--	--	--	6	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	8
ბუემი (ტორო როსო)	4	--	--	2	--	1	1	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	8
ალგერსუარი (ტორო როსო)	--	--	--	--	--	--	4	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	4
ბარიკელო (უილიამსი)	--	--	--	--	--	2	2	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	4
პერესი (ზაუბერი)	--	--	--	--	2	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	2
დი რესტა (ფორს ინდია)	1	1	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	2